# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 სექტემბერი **ორშაბათი** 2013
№212 (14 128) ფასი 80 თეთრი




ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ვაჟა სიმონიშვილი
ცელიედან

**ევრობასკეტი 2013**
**წარმოგიდგენთ** europe-bet.com

4-22 სექტემბერი. სლოვენია

**დღეს 16:30 საქართველოს ეროვნული ნაკრები სლოვენიაში ევრობასკეტის ბოლო მატჩს ესპანეთის ნაკრებთან გამართავს**

# გადავიჩეხეთ

## საქართველოსთვის ლიუბლიანის კარი დაიკეტა



8-9

**ჩივაძის მეორე ტური**

4

U21. დღეს:
სლოვაკეთი
საქართველო



13

**ამომავალი მზის ქვეყნის ოლიმპიადა**

2020 წლის
ზაფხულის თამაშები
ტოკიოში გაიმართება



14

**ამერიკის ღიას ნადალი და ჯოკოვიჩი დახურავენ**

## ოლიმპიადაზე ჭიდაობა დაგტოვეს!

საჭიდაო სამყარომ შვებით ამოისუნთქა - ბუენოს აირესში მიმდინარე სოკ-ის 125-ე სესიის დელეგატთა უმრავლესობამ - 49 წევრმა - მხარი დაუჭირა 2020-2024 წლების თამაშებში ამ უძველესი ოლიმპიური სახეობის დარჩენას. მისი კონკურენტებიდან ბეისბოლი-სოფტბოლმა 24, სქვოშმა კი 22 ხმა მიიღო.

ამდენად, ჭიდაობას უახლოესი სამი ოლიმპიადიდან ამოღება არ ემუქრება, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ თუ რეალური რეფორმები არ გაატარა და ამ სახეობას თავდაპირველი სილამაზე არ დაუბრუნა, სამართლიანობა და ობიექტურობა უპირველეს საზრუნავად თუ არ გაიხადა, თამაშებიდან მისი ამოღების საკითხი დღის წესრიგში კვლავაც დადგება.

**ირაკლი თავაძე**



2

*გურამ კაშია:*

## ფინეთთან მხოლოდ მოგებაზე ვითამაშებთ

**ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია და სადაც მეტყვიან, იმ პოზიციაზე უნდა ვითამაშო.**

საქართველოს ნაკრები

# გურამ კაშია: გულშემატკივრებში რწმენა გავაჩინეთ

საფრანგეთთან ფრე ის შედეგია, რომელმაც გულშემატკივარი ეროვნული ნაკრებისკენ უნდა მოაბრუნოს. ამ მატჩის ერთ-ერთი მონაწილე გურამ კაშიაც გახლდათ, საქართველოს ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი და არნემის „ვიტესის" კაპიტანი.

კაშიამ საფრანგეთთანაც საიმედოდ ითამაშა, ორთაბრძოლებში კარგად ირჯებოდა და თანაგუნდელების დაზღვევაც არ ეშლებოდა. დიდიე დეშამის გუნდის სიძლიერეზე ამ ნაკრების ფეხბურთელთა გვარ-სახელებიც მეტყველებს და ასეთ მოწინააღმდეგეს ქართველებმა არაფერი დაუთმეს...

როგორ ემზადებოდა გუნდი საფრანგეთთან მატჩისთვის და რას უნდა ველოდოთ 10 სექტემბერს ფინეთთან შეხვედრაში - კაშიას ამ და სხვა თემებზეც ვესაუბრეთ.

**- რა იყო ჩვენი ნაკრების სტრატეგია საფრანგეთთან მატჩისთვის, რა კონკრეტული ამოცანების გადაჭრა დაგავალათ თემურ ქეცბაიამ?**

- დაცვითი სისტემა ავირჩიეთ. როგორც ნახეთ, ნახევარდაცვაში ვითამაშე და დაცვით ფუნქციებს ვასრულებდი. საფრანგეთთან ამ შესარჩევ ციკლში უკვე გვქონდა ნათამაშები და მეტოქეს კარგად ვიცნობდით. ასევე კარგად ვაცნობიერებდით, თუ რა ფეხბურთელების წინააღმდეგ მოგვიწევდა ბრძოლა. ფრანგებს ახლოს, მჭიდროდ ვეთამაშეთ, დაახლოებით ისე ვმოქმედებდით, როგორც ესპანეთთან შეხვედრაში და ეს კარგად გამოგვივიდა.

**- ფეხბურთელებს ალბათ საგანგებო მითითებები გქონდათ, თუ როგორ უნდა შეგეჩერებინათ ფრანკ რიბერი. ფაქტია, რომ საფრანგეთის ეს ნაკრები დიდად არის დამოკიდებული რიბერის თამაშზე და როცა ის მიიღებდა ბურთს, უჩა ლობჟანიძეს თქვენ და სანდრო კობახიძე ეხმარებოდით...**

- რიბერიც და მატიე ვალბუენაც ტექნიკური, ტანმორჩილი ფეხბურთელები არიან და ასეთების წინააღმდეგ თამაში განსაკუთრებულად რთულია. ჩვენი ამოცანა იყო, რომ ისინი ერთი ერთზე არ დაგვეტოვებინა ჩვენს განაპირა მცველებთან - ლობჟანიძესა და გრიგალავასთან, რომელთა დახმარება კობახიძეს, ჩემი და ჯაბა კანკავას გარდა, ხანდახან ჯანო ანანიძესაც კი უწევდა. როცა რიბერი თუ ვალბუენა მიიღებდნენ ბურთს, მოედნის იმ მონაკვეთში რიცხობრივი უპირატესობა უნდა შეგვექმნა და ერთ მეტოქესთან სამნი უნდა ვყოფილიყავით. ძალიან ბევრი შრომა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ფლანგებზე რიცხობრივი უპირატესობისთვის მიგვეღწია. რიბერი და ვალბუენა ის ფეხბურთელები არიან, სახიფათო მომენტს რომ ქმნიან და კარის გასწვრივ მწვავე ჩაწოდებებს აკეთებენ. რა თქმა უნდა, საყრდენ ნახევარმცველებს - მე და კანკავას, დაცვის ფლანგების დახმარებაც გვევალებოდა, ლობჟანიძემ და გრიგალავამ კარგად ითამაშეს და ჩვენც ყველანაირად ვცდილობდით მათთვის ხელშეწყობას.

**- რიბერიმ მაინც მოახერხა რამდენიმე მწვავე პასის შესრულება, დრიბლინგი და კარში დარტყმა. თამაშიდან მისი ასი პროცენტით გამოთიშვა ალბათ შეუძლებელია...**

- საფრანგეთი ჩვენზე ძლიერი გუნდია, რიბერი კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და მასზე მეტს არაფერს ვიტყვი. რიბერის ნებისმიერი მცველის დაჯაბნა შეუძლია, ნებისმიერი რანგის გუნდთან მოახერხებს მომენტის შექმნას და გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ნაკრებთანაც ამწვავებდა თამაშს.

**- საფრანგეთთან სტუმრად შეხვედრაში რიბერი რამდენჯერმე დარჩა მარტო ქართველ მცველთან, გოლიც მაშინ გაიტანა, როცა ზურაბ ხიზანიშვილთან პირისპირ აღმოჩნდა და ჩვენს მცველს არავინ აზღვევდა. მაშინ რატომ ვერ მოხერხდა ჩვენი ნაკრების მხრიდან დაცვაში ეფექტურად თამაში?**

- მაშინ სტუმრად ვთამაშობდით და ეს უფრო გვირთულებდა საქმეს. როცა შინ თამაშობ, უკვე დიდი უპირატესობა გაქვს, საკუთარი ქომაგების წინაშე გიწევს გამოსვლა. მერწმუნეთ, გულშემატკივრის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. საფრანგეთში გაგვიძნელდა თამაში, შეცდომებიც დავუშვით, თბილისში კი მეტი შემართებით ვითამაშეთ და, ალბათ, დროც იყო, რომ ჩვენი ქომაგისთვის იმედი მიგვეცა. საფრანგეთთან ფრის შემდეგ ალბათ ცოტა ირწმუნეს კიდეც ჩვენი. ფაქტია, რომ მხოლოდ საკუთარი კარის დაცვაზე არ ვფიქრობდით, სამი-ოთხი სახიფათო მომენტიც შევქმენით. საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელისთვის სასიამოვნო იყო ასეთ მატჩში თამაში.



გურამ კაშია — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- 10 სექტემბერს ფინეთთან თამაშობთ. საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ რა მუხტიც იყო, იმის შენარჩუნება რამდენად არის შესაძლებელი?**

- აბსოლუტურად გადართულები ვართ ფინეთთან შეხვედრაზე, ამაზე გუნდში უკვე გვქონდა ლაპარაკი. ახლა ჯგუფში მესამე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ასე რომ, ფინეთთან მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ. საფრანგეთთან ფრე კარგა ხანს არ დაგვავიწყდება, მაგრამ 6 სექტემბრის მატჩი უნდა დავივიწყოთ. საფრანგეთის მერე თავდაჯერებულობა მოგვემატა და ფინეთთანაც უფრო თავისუფლად გავალთ მოედანზე.

**- უკვე კარგა ხანია, რაც ნაკრებში საყრდენ ნახევარმცველად თამაშობთ და შეიძლება იმის თქმა, რომ შეეგუეთ ამ ფუნქციას?**

- ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია და სადაც მეტყვიან, იმ პოზიციაზე უნდა ვითამაშო. მეც ყველანაირად ვცდილობ, შევეგუო საყრდენ ნახევარმცველად თამაშს.

**- „ვიტესზეც" გკითხავთ. წარმატებული სეზონის მერე ცოტა თუ ელოდა, რომ ევროპალიგის ჯგუფში შესასვლელ გზას რუმინული „პეტროლული" გადაგიღობავდათ. მაინც რა მოხდა, რისი ბრალი იყო ეს წარუმატებლობა?**

- „პეტროლული" ურიგო გუნდი ნამდვილად არ არის, თუმცა მიმაჩნია, რომ „ვიტესი" მასზე უკეთესია. სეზონი ისე დავიწყეთ, რომ რუმინელებთან მატჩებამდე ოფიციალური შეხვედრა არ გვქონდა ნათამაშები, ამ ფაქტორის გარდა, იმანაც იმოქმედა, რომ „ვიტესი" ნამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, მოვიდნენ ახალი მოთამაშეები და ახალი მწვრთნელი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდის ხელახლა ჩამოსაყალიბებლად დროა საჭირო. საპასუხო შეხვედრაში რუმინელებმა სტანდარტული სიტუაციიდან გაგვიტანეს გადამწყვეტი გოლი... რაც „პეტროლულთან" დაგვემართა, ასეთი რამ ფეხბურთში ათასში ერთხელ ხდება და მაინცდამაინც ჩვენს შემთხვევაში მოხდა...

**- ვალერი ყაზაიშვილი „ვიტესის" ძირითადში იკიდებს ფეხს...**

- ის მართლაც კარგად თამაშობს, მწვრთნელმა ყაზაიშვილი გამთამაშებლის პოზიციაზე გაამწესა და ამავე დროს დაცვითი ფუნქციების შესრულებასაც ავალებს. პიტერ ბოსი ენდობა და თავად ვაკოც ძალზე მონდომებულია. „ვიტესის" ახალი მწვრთნელი ჭანტურიათიც კმაყოფილი იყო, სანამ გიორგის დისკვალიფიკაციას მისცემდნენ.

**- „ვიტესს" ჯერჯერობით ვერც ჰოლანდიის ჩემპიონატში მისდის კარგად საქმე, ხუთი ტურის შემდეგ მერვე ადგილზეა...**

- „აიაქსსაც" იგივე შედეგი აქვს - ორი მოგება, ორი ფრე და წაგება, პირველ ადგილზე კი ხუთი ტურის შემდეგ „ზვოლე" აღმოჩნდა. მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და ჩვენც იმავე შედეგისთვის ვიბრძოლებთ, რაც წინა სეზონში გვქონდა - ხუთეულში უნდა მოვხვდეთ. ახალი მწვრთნელის ხელში „ვიტესი" კიდევ უფრო შემტევი ფეხბურთის თამაშს ცდილობს. ყოველ მატჩში ბოსი ბურთის ფლობის მინიმუმ 60-პროცენტიან მაჩვენებელს ითხოვს. სამი-ოთხი ტურის შემდეგ ალბათ უკვე შევალთ ფორმაში და კარგი გუნდი ვიქნებით, ისეთი, ბევრ სიურპრიზს რომ შესთავაზებს მეტოქეებს.

**- „ვიტესიდან" თითქოს სხვა გუნდში უნდა გადასულიყავით. ბოლოს ვითომ „ანდერლეხტის" ვარიანტიც გამოჩნდა... ამ მხრივ რა ვითარებაა?**

- საინტერესო ჯერ არაფერი ხდება. „ვიტესში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველო-საფრანგეთი. გამოხმაურება

# ...თურმე, შეგვძლებია!

## ფრთაშესხმული მარადიული ქართული ოპტიმიზმი



ჯაბა კანკავა (მარცხნივ) ფრანკ რიბერის წინააღმდეგ — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გულახდილად ვთქვათ: ჩვენთან ძალიან, ძალიან ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ საქართველოს ნაკრები შეძლებდა და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდთან, საფრანგეთის ნაკრებთან ფრეს ითამაშებდა!

ალბათ, ამას უნდა დავაბრალოთ ის არცთუ სასიამოვნო ფაქტი, რომ ესოდენ ძლიერ მეტოქესთან მატჩზე „დინამო-არენის" ტრიბუნები, ფაქტობრივად, სანახევროდ იყო შევსებული; ყოველივე ეს ზოგმა მატჩზე დასასწრები ბილეთების მაღალი ფასით (10, 15, 20, 30 ლარი) ახსნა; თუმცა, ჩვენი აზრით, ამის მიზეზი საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი წარუმატებლობები უფრო უნდა ყოფილიყო: თემურ ქეცბაიას გუნდი საფრანგეთთან მატჩს ხომ ზედიზედ ოთხი წაგებით შეხვდა! თანაც, საფრანგეთამდე ჩატარებულ ბოლო საკონტროლო შეხვედრაში (ყაზახეთის ნაკრებთან) საქართველოს ნაკრებმა არცთუ დამაჯერებელი შთაბეჭდილება (რბილად ნათქვამია) დატოვა და ქართველ ქომაგთა დიდ ნაწილსაც, ალბათ, ვერაფრით წარმოედგინა ჩვენი გუნდისგან ესოდენ სასიამოვნო სიურპრიზის შემოთავაზება...

ჰო, სიურპრიზი მართლაც სასიამოვნო იყო იმათთვის, ვინც 6 სექტემბრის გვიან ღამეს „დინამო-არენაზე" მისვლა არ დაიზარა! თანაც, მოდი, ამ შემთხვევაშიც გულახდილად ვთქვათ, რომ ეს არ იყო მეტოქის „ნაჩუქარი" ქულა, ანდა, როგორც იტყვიან ხოლმე, „ზღაპარში გაგორებული ფრე", - ჩვენი აზრით, საქართველოს ნაკრები წაგებას არაფრისდიდებით არ იმსახურებდა! უფრო მეტსაც ვიტყვით: დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ფრანგები სულაც უქულოდ დარჩენილიყვნენ და ასე რომ არ მოხდა, თავიანთ მართლაც ჩინებულ მეკარეს უგო ლორისს უნდა უმადლოდნენ.

მართლაც, ლორისმა თავისი მაღალი კლასი თბილისელი გულშემატკივრების წინაშე დროის მოკლე მონაკვეთში მეორედ დაამტკიცა: ჯერ, „დინამო"-„ტოტენჰემის" შეხვედრაში, ახლა კი საქართველოს ნაკრებთან მატჩშიც. თუმცა, ლორისზე არანაკლებ გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა მისმა ქართველმა კოლეგამაც, ისე როგორც საქართველოს ნაკრების სხვა ფეხბურთელებმაც, თუმცა ამ ყველაფერზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი ის გვინდა ვთქვათ, რომ თურმე კიდევ შეგვძლებია მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდთან... წინააღმდეგობის გაწევა კი არა, თითქმის ტოლი-ტოლზე თამაში! თანაც, ზედიზედ ოთხი წაგების მიუხედავად, საფრანგეთთან მატჩის წინათქმაში ნამეტნავად პესიმისტური განწყობა არ გვქონია და ამაში თავად დარწმუნდებით:

„...მართლაც, მარადიული „ქართული ოპტიმიზმის" ამბავი ხომ იცით, აი, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა დღევანდელი მატჩის წინ; ვინ იცის, იქნებ, სწორედ საფრანგეთთან შეძლოს საქართველოს ნაკრებმა ამ წარუმატებელი სერიის დასრულება? თანაც, გამორჩეულად ძლიერ მოწინააღმდეგესთან პაექრობისას ჩვენებს ხომ განსაკუთრებული მოტივაცია უნდა ჰქონდეთ და სწორედ შერჩეული ტაქტიკის წყალობით, შესაძლოა, ჩვენთვის სასურველ შედეგსაც მივაღწიოთ... („ლელო", № 210)"

ჰოდა, ალბათ, არც არავინ იქნება, წინააღმდეგი, ნებისმიერი სანაკრებო მატჩის წინ ქართული მედიის ასეთი ოპტიმიზმი რომ გამართლდეს-ხოლმე...

### ქება ქეცბაიას

არახალი ამბავია, რომ ქართულ სპორტულ მედიასა და **თემურ ქეცბაიას** შორის... არაერთგვაროვანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა; გასაგებია, რომ კრიტიკა (თანაც - ხშირი) არავის სიამოვნებს და ამ მხრივ, გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, ვერც ქეცბაია იქნება. თუმცა, როცა შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხარ, იმასაც უნდა შეეგუო, რომ წაგებული მატჩ(ებ)ის მერე ხოტბას არავინ შეგასხამს; ჰოდა, ძალიან სამწუხაროა, რომ 2011 წლის ზაფხულიდან მოყოლებული (უფრო კონკრეტულად, ხორვატიასთან სტუმრად წაგების მერე), ზემოთ ნახსენები არაერთგვაროვანი ურთიერთობაა „ჩამოყალიბებული":

ხან ქართული სპორტული მედია „უტევს" თემურ ქეცბაიას, ხან კიდევ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი - ქართველ ჟურნალისტებს! ოღონდ, ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, თემურ ქეცბაია ყველგან და ყველასთან გულწრფელია: რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს! ჰო, შესაძლოა, ვინმემ ერთგვარ ნაკლადაც „ჩაუთვალოს" მისი ასეთი „არადიპლომატიურობა", მაგრამ ქარაგმებით თუ მინიშნებით რომ ვინმე „გვაბოლებდეს", ამისთანა მწვრთნელს ყველა ვარიანტში მაინც ქეცბაიას გულახდილობა გვირჩევნია!

ჰო, ურთიერთობებში ზომაზე მეტად ხისტი, მაგრამ - მუდამ გულწრფელი!.. ისე, ვატყობთ, რომ ლამის არის თემურ ქეცბაიას ფსიქოპორტრეტი „დავხატოთ", არადა, ამ შემთხვევაში ხაზგასმით სულ სხვა რამის აღნიშვნა გვინდა: 6 სექტემბერს, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თავის ფრანგ კოლეგას ტაქტიკური „დუელი" პირწმინდად მოუგო! აი, გახსოვთ, 2011 წლის 26 მარტი, როცა თემურ ქეცბაიამ ასევე გონივრულად შერჩეული ტაქტიკის წყალობით დაჯაბნა თავისი ხორვატი კოლეგა **სლავენ ბილიჩი**...

...ასე იყო, არის და იქნება: ამა თუ იმ გუნდისა თუ ნაკრების ნებისმიერი წარმატება კონკრეტულ ფეხბურთელ(ებ)თან ასოცირდება, აი, წაგება კი, მხოლოდ და მხოლოდ, მწვრთნელს ბრალდება-ხოლმე. აი, ახლაც, საფრანგეთთან ნათამაშები ფრე, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელის ინდივიდუალურმა ოსტატობამაც განაპირობა;

მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს მაინც უფრო თემურ ქეცბაიას მიერ „დაგეგმილი" გუნდური თამაშისა და, რაც მთავარია, სწორად შერჩეული ტაქტიკის გამო მოხდა!

### სწორი და ეფექტიანი გათვლები

ყაზახეთთან ამხანაგური მატჩის წაგების მერე რიტორიკული კითხვაც დავსვით: ასეთი უიმედო მდგომარეობა როდემდე უნდა გაგრძელდეს-თქო?!. საბედნიეროდ, იმ წაგებული შეხვედრის მერე ჩვენი ნაკრების თავკაცმა სწორი გათვლა გააკეთა და ყაზახეთზე ძალიან ბევრად ძლიერ მეტოქესთან მატჩმა ეს დაადასტურა კიდეც.

დავიწყოთ მეკარის პოზიციით: ისე როგორც 2011 წელს ხორვატიასთან საშინაო მატჩის წინ, თემურ ქეცბაია ახლაც სერიოზული დილემის წინაშე იდგა, ანუ, მაშინაც და ახლაც რთული განსაჭვრეტი იყო, თუ ვინ დაიცავდა საქართველოს ნაკრების კარს: **ნუკრი რევიშვილი** თუ **გიორგი ლორია**. საბედნიეროდ, ორივე შემთხვევაში ქეცბაიას არჩევანი აბსოლუტურად გამართლებული აღმოჩნდა: ორი წლის წინათ რევიშვილის ჩინებულმა თამაშმაც დიდად განაპირობა ხორვატების დამარცხება, ახლა კი ლორიას არანაკლებ შთამბეჭდავმა თამაშმა ფრანგებთან ქულა მოგვიტანა. არადა, რევიშვილმა ამ ზაფხულს მართლაც გამორჩეულად იასპარეზა ევროტურნირებზე, ყაზახეთთანაც ძირითადში იდგა, მაშინ როცა თბილისის „დინამოს" ბოლოდროინდელ მატჩებში ლორია არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

თუმცა, საფრანგეთთან შეხვედრაში „ნამდვილი" ლორია ვიხილეთ: არც ერთხელ რომ შემცდარა გამოსვლებზე, მეორე ტაიმში **მატიო ვალბუენასა** და **ფრანკ რიბერის** ურთულესი ბურთები რომ აუღო, შეხვედრის მიწურულს კი **ოლივიე ჟირუს** თავურზე რომ რეაქცია გამოავლინა, ამას, მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლესი დონის მეკარეები თუ შესძლებდნენ!

...აბსოლუტურად სწორი გათვლა იყო **აკაკი ხუბუტიას** ძირითადში გამოჩენაც: ამ ტანმაღალ ცენტრალურ მცველს რუსეთის პირველ ლიგაში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა აქვს და ფრანგების ასევე ტანმაღალ ცენტრფორვარდს **ოლივიე ჟირუს** მეურვეობა სწორედ ხუბუტიასნაირი ფიზიკური მონაცემების მქონე ფეხბურთელს უნდა გაეწია;

...ყაზახეთთან მატჩში **გურამ კაშია** მარჯვენა მცველი გახლდათ, **სანდრო კობახიძე** კი - საყრდენი; აი, ფრანგებთან შეხვედრაში კაშიამ ნახევარდაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი და **ჯაბა კანკავას** შეუწყვილდა, კობახიძემ კი... ლამის ყველა პოზიციაზე მოასწრო თამაში! ისე, სუბიექტური აზრია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კარგა ხანია ასეთი ენერგიული ფეხბურთელი ჩვენს ნაკრებს არ ჰყოლია: კობახიძემ თამაში მარჯვენა გარემარბად დაიწყო, მეორე ტაიმში ცენტრალურ შუამარბად მოგვევლინა, მერე მცირე ხნით ისევ მარჯვნივ გადმოინაცვლა, რასაც ის ჩინებული რეიდი მოჰყვა, **თორნიკე ოქრიაშვილს** სულ მცირედი რომ დააკლდა გოლის გასატანად!



თემურ ქეცბაია

...ბევრისთვის უცნაური იყო ის ფაქტი, რომ მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში თორნიკე ოქრიაშვილმა მარცხნიდან ცენტრში შემოიწია, მისი ადგილი კი **ჯანო ანანიძემ** დაიკავა. თუმცა, ასეთი გადაადგილებები კიდევ წინ გველოდა და შესვენების შემდეგ (იმ კოშმარულ ათწუთიან მონაკვეთამდე, მეტოქემ რომ შტურმი მოგვიწყო) რომ თამაში ჩვენი კარნახით (!) მიდიოდა, სწორედ ამ ეფექტიან ცვლილებებსაც უკავშირდებოდა.

ასე მაგალითად, **ნიკოლოზ გელაშვილი** თუ პირველ ტაიმში გამოკვეთილი ცენტრფორვარდი იყო, შესვენების შემდეგ მარჯვენა გარემარბად მოგვევლინა და, ჩვენი აზრით, საუკეთესო სანაკრებო მატჩიც ჩაატარა! ბევრისთვის და, პირველ ყოვლისა, **დიდიე დეშამისათვის** იქნებოდა სიურპრიზი მეორე ტაიმში ჩვენი ნაკრების ცენტრფორვარდად თორნიკე ოქრიაშვილის ხილვა - აი, ამ სვლამაც თითქმის 100 პროცენტით გაამართლა!

### ხანდახან ესეც საჭიროა...

...როცა შენზე ბევრად ძლიერ მოწინააღმდეგეს ეთამაშები, ხანდახან პატარ-პატარა „ეშმაკობებიც" საჭიროა სასურველი შედეგის მისაღწევად; აი, თუნდაც, ის ეპიზოდი გავიხსენოთ, როცა მოედანზე შესასვლელად ლადო დვალიშვილი ემზადებოდა; ვიდრე შეცვლა მზადდებოდა, ტრიბუნიდან ნათლად ჩანდა, რომ გელაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან საპირისპიროზე გადაინაცვლა.

ერთი შეხედვით, „ჩვეულებრივი" გადაადგილებები გვეგონა: გელაშვილი ფლანგს უცვლიდა მინდორზე მანამდე შემოსულ **დავით თარგამაძეს**. ხოლო დვალიშვილს თორნიკე ოქრიაშვილი უნდა შეეცვალა. ამასობაში, ჩვენმა სამწვრთნელო შტაბმა ოქრიაშვილის შეცვლა „გადაიფიქრა" და დვალიშვილიც მოედანზე... გელაშვილის ნაცვლად გამოვიდა; ჰოდა, ვიდრე გელაშვილი მარცხენა ფლანგიდან მთელ მოედანს ნელი ნაბიჯებით გამოივლიდა, ამასობაში გარკვეული დროც გავიდა (ისე როგორც, ოქრიაშვილის შეცვლის „გადაფიქრებაში").

ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ შენზე ბევრად ძლიერ მეტოქეებთან ასეთი რამ „მოსულა"; სამაგიეროდ, როცა მატჩის ბოლო 5 წუთსა და მსაჯის მიერ დამატებულ ოთხ წუთში ფრანგებმა რომ უსასტიკესი შტურმი მოგვიწყვეს, არც ერთ ქართველ ფეხბურთელს მოედანზე გორაობა არ დაუწყია და დროის გაყვანაც სამარცხვინოდ არავის უცდია!

### კაპიტანი!

...საქართველოს ნაკრების ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელი ისეთი მატჩები, გრანდებს ქულებს რომ ვაკარგვინებდით; ერთ-ერთი ასეთი, რაღა თქმა უნდა, საფრანგეთთან შეხვედრა იყო, სადაც ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის არჩეულმა ტაქტიკა-სტრატეგიამაც გაამართლა და მოედანზე მყოფმა 14-ვე ფეხბურთელმაც მაქსიმალური მონდომებითა და მოტივაციით ითამაშა.

ჩინებული გახლდათ **გიორგი ლორია** (ჩვენი აზრით, ახლა უფრო შთამბეჭდავი მატჩი რომ ჩაატარა, ვიდრე შარშან - ესპანეთთან), როგორც ყოველთვის, სოლიდურად გამოიყურებოდნენ **ალექსანდრე ამისულაშვილი** და **გურამ კაშია**, მეორე ტაიმში **ჯანო ანანიძემ** ისეთი სოლო-რეიდი განახორციელა, ფრანგებიდან მსგავსი რომ არავის გაუკეთებია, **თორნიკე ოქრიაშვილის** იმპროვიზაციასა თუ **სანდრო კობახიძის** ენერგიულობას საზღვარი არ ჰქონდა, შეცვლაზე შემოსული **ელგუჯა გრიგალაშვილი** ისე ჩაერთო თამაშში, თითქოს ნაკრების სტაჟიანი წევრი ყოფილიყო, არადა, ეს მართლაც უნერვო ნახევარმცველი... პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდა!

მოკლედ, ჩვენებიდან ყველას შექება ალალია, მაგრამ ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე ცალკე გვინდა ვთქვათ: **ჯაბა კანკავამ** ისე ითამაშა, როგორც ნაკრების კაპიტანს შეეფერებოდა! მატჩის პირველიდან ბოლო წუთამდე კანკავა პარტნიორებისათვის მაგალითის მიმცემი გახლდათ: როგორც სჩვევია, მეტოქესთან ორთაბრძოლებში უშიშრად შედიოდა, რამდენჯერმე საკუთარ თავზე აიღო მოწინააღმდეგის საშუალო თუ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთები, ხოლო მის დაუღალავ და ტაქტიკურად სწორ თამაშზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! მოკლედ, 6 სექტემბრის მატჩმა ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ისიც დაგვანახვა, რომ საქართველოს ნაკრებს ღირსეული კაპიტანი ჰყავს - ჯაბა კანკავა!..

**გია ტუხაშვილი**



სტატისტიკა

# საუკეთესოები: ლორია და რიბერი

6 სექტემბერს საქართველომ საფეხბურთო სამყაროს შეახსენა თავი - დიდიე დეშამის გუნდმა, რომელსაც ახლახან ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული ფრანკ რიბერი მოუძღვოდა, ვერაფერი მოახერხა გიორგი ლორიასა და თემურ ქეცბაიას სხვა შეგირდებთან. გთავაზობთ, **whoscored.com-ის მიერ მომზადებულ მატჩის დეტალურ, სტატისტიკურ ანალიტიკას.**

თავიდან გავეცნოთ მატჩის ზოგად სტატისტიკას

| საქართველო | | საფრანგეთი |
|---|---|---|
| 6 | დარტყმა | 22 |
| 2 | კარში | 5 |
| 3 | კუთხური | 10 |
| 2 | გაფრთხილება | 0 |
| 10 | ჯარიმა | 16 |
| 3 | თამაშგარე | 1 |
| 29% | ბურთის ფლობა | 71% |

* საქართველოს ნაკრებმა უგო ლორისის კარისკენ 6-ჯერ დაარტყა ბურთი. აქედან 2 წავიდა კარში, 1 აცდა, 1 მოხვდა ძელს, 2 დაიბლოკა.

* საფრანგეთის ნაკრებმა 22-ჯერ დაარტყა გიორგი ლორიას კარისკენ. აქედან 5 წავიდა კარში, 9 ასცდა, 8 დაიბლოკა.



ფეხბურთელთა რეალური პოზიციები, მარცხნივ საქართველო



| 10. Jano Ananidze | Team Stats / Player Stats | 7. Franck Ribéry |
|---|---|---|
| 85% | Pass Accuracy | 89% |
| - | Aerials Won | 50% |
| 36 | Touches | 103 |
| 2 | Fouls | 2 |
| - | Total Shots | 3 |
| 2 | Dribbles Won | 7 |
| 1 | Tackles | - |
| 6.6 | Rating | 8.5 |

Current Position: AML; Playable Positions: AM(L); Age: 20; Height: 170cm; Weight: 70kg
Current Position: ML; Playable Positions: AM(L); Age: 30; Height: 170cm; Weight: 72kg
See all player statistics

გუნდის ლიდერების სტატისტიკური შედარება

* ქართველი ფეხბურთელების შესრულებით დრიბლინგი 12-ჯერ ვიხილეთ, ფრანგების - 16-ჯერ.

* ქართველები 14 ორთაბრძოლაში გამოვიდნენ გამარჯვებულები, ფრანგები - 13-ში.

* საჰაერო დუელებში ფრანგებმა იმარჯვეს - 55%.

* ქართველთა პასების 70% იყო ზუსტი, ფრანგების - 90%.

* საქართველოს ნაკრებმა 23 აუტი ჩაანოდა, ხოლო საფრანგეთის ნაკრებმა - 31.

* საქართველოს ნაკრების შეტევების 48% მარჯვენა ფლანგიდან, 38% მარცხნიდან, ცენტრიდან - 14%.

* საფრანგეთის ნაკრების შტევების 41% მარცხენა ფლანგიდან, 34% - მარჯვნიდან, 25% - ცენტრიდან.

* თამაშის 42% იყო ცენტრალურ ზონაში, 37% - საქართველოს ნახევარზე, 21% - საფრანგეთის.

#### საქართველო

* 6 დარტყმიდან 4 ოქრიაშვილის ანგარიშზეა, თითო კანკავას და გრიგალაშვილის.

* ორივე ზუსტი დარტყმა თორნიკე ოქრიაშვილმა შეასრულა.

* ეგრეთ წოდებული „მნიშვნელოვანი პასი" ნაკრებში მხოლოდ ერთხელ ალექსანდრე კობახიძემ გააკეთა.

* პასების სიზუსტე - 3 საუკეთესო: დვალიშვილი - 100%, გრიგალაშვილი - 88%, ანანიძე - 85. 3 უარესი - ლობჟანიძე - 45%, გელაშვილი - 53%, ხუბუტია - 67%.

* მოგებული საჰაერო დუელები - 3 საუკეთესო: გელაშვილი - 4, ლორია - 3, ლობჟანიძე - 2.

* ბურთთან შეხება - 3 საუკეთესო: ოქრიაშვილი - 61, გრიგალავა, ლობჟანიძე - 46-46.

* ორთაბრძოლა - 3 საუკეთესო: ლობჟანიძე - 4, გრიგალავა, კობახიძე, ოქრიაშვილი - 2-2.

* ჩაჭრა - 3 საუკეთესო: კანკავა, კაშია - 6, ლობჟანიძე - 4.

* ბურთის გამოტანა - 3 საუკეთესო: ლობჟანიძე - 12, ხუბუტია - 9, გრიგალავა - 8.

* მეტოქის დარტყმის დაბლოკვა - 3 საუკეთესო: ამისულაშვილი, კაშია, ხუბუტია - 2-2.

* ჯარიმა - 3 უარესი: გრიგალავა, დვალიშვილი, ანანიძე - 2-2.

* პასები - 3 საუკეთესო: ოქრიაშვილი - 33, კანკავა - 27, კობახიძე, ამისულაშვილი, გრიგალავა, კაშია - 21-21.

* ჩაწოდება - 3 საუკეთესო: კობახიძე - 4, ანანიძე, თარგამაძე - 3-3.

* ზუსტი ჩაწოდება - არც ერთი!

* გრძელი პასი - 3 საუკეთესო: ლორია - 13, ამისულაშვილი - 7, კანკავა, ხუბუტია, ლობჟანიძე - 3-3.

* ზუსტი გრძელი პასი - 3 საუკეთესო: ამისულაშვილი - 5, კანკავა, ხუბუტია, ლობჟანიძე - 2-2.

* რეიტინგი: ლორია - 8,4, ოქრიაშვილი - 7,9, ლობჟანიძე - 7,2, კანკავა - 7,6, გრიგალავა - 7,2, კაშია - 7,1, ხუბუტია - 7,0, გელაშვილი - 6,8, ამისულაშვილი - 6,7, კობახიძე - 6,6, ანანიძე - 6,5, თარგამაძე - 6,0, დვალიშვილი - 6,0, გრიგალაშვილი - 6,0.

#### საფრანგეთი

* 22 დარტყმიდან 5 გილავოგის ანგარიშზეა, 4 - ჟირუს, 3-3 - რიბერის და ვალბუენას.

* თითო ზუსტი დარტყმა შეასრულეს: რიბერიმ, ვალბუენამ, ბენზემამ, სანიამ და ჟირუმ.

* ეგრეთ წოდებული „მნიშვნელოვანი პასი" რიბერიმ 5-ჯერ გააკეთა, ვალბუენამ - 4-ჯერ, ნასრიმ და სანიამ - 3-3-ჯერ.

* პასების სიზუსტე - 3 საუკეთესო: კოშელნი - 98%, სანია - 96%, ვალბუენა - 94. 3 უარესი - ჟირუ - 64%, ყინიაკი - 80%, ნასრი - 80%.

* მოგებული საჰაერო დუელები - 3 საუკეთესო: ჟირუ - 5, სისოკო - 3, კოშელნი, აბიდალი და სანია - 2-2.

* ბურთთან შეხება - 3 საუკეთესო: რიბერი - 103, ევრა, ვალბუენა - 99-99

* წარმატებული დრიბლინგი - 3 საუკეთესო: რიბერი - 7, სისოკო, ვალბუენა - 3-3.

* ჯარიმა (მათზე) - 2 საუკეთესო: ჟირუ - 4, სანია - 2.

* ბურთის დაკარგვა - 3 უარესი: ვალბუენა - 5, ბენზემა, ევრა - 4-4.

* თამაშგარე - ბენზემა 1.

* ორთაბრძოლა - 3 საუკეთესო: სისოკო - 5, ევრა - 4, გილავოგი - 2.

* ჩაჭრა - 2 საუკეთესო: სისოკო, სანია - 2-2.

* ბურთის გამოტანა - 3 საუკეთესო: აბიდალი - 9, ევრა - 7, სანია - 6.

* მეტოქის დარტყმის დაბლოკვა - გილავოგი - 1.

* ჯარიმა: კოშელნი - 4.

* პასები - 3 საუკეთესო: რიბერი - 75, სისოკო - 74, აბიდალი - 68.

* ჩაწოდება - 3 საუკეთესო: ვალბუენა - 16, სანია - 11, რიბერი - 8.

* ზუსტი ჩაწოდება - 3 საუკეთესო: რიბერი - 5, სანია - 3, ვალბუენა - 2.

* გრძელი პასი - 3 საუკეთესო: ლორია - 13, ამისულაშვილი - 7, კანკავა, ხუბუტია, ლობჟანიძე - 3-3.

* ზუსტი გრძელი პასი - 3 საუკეთესო: ამისულაშვილი - 5, კანკავა, ხუბუტია, ლობჟანიძე - 2-2.

* რეიტინგი: რიბერი - 8,5, სანია - 7,8, სისოკო - 7,6, ვალბუენა - 7,2, აბიდალი - 7,2, ევრა - 7,1, ლორისი - 6,9, ჟირუ - 6,7, კოშელნი - 6,7, გილავოგი - 6,4, ნასრი - 6,4, ბენზემა - 6,2, ყინიაკი - 5,9.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● საქართველო-ფინეთი


ასე გადაუხადა თემურ ქეცბაიამ მადლობა გიორგი ლორიას ფოტო: ipn.ge

# ლორია არ იქნება, მესამე საჭირო არ არის

## საფრანგეთის ნაკრებმა დინამოს ბაზაზე ივარჯიშა, ფინეთი დღეს ჩამოდის

6 სექტემბერს, საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრაში, **გიორგი ლორიამ** ყვითელი ბარათი მიიღო. მიმდინარე შესარჩევ ციკლში თბილისის „დინამოს" მეკარისთვის ეს მეორე გაფრთხილება აღმოჩნდა. პირველად ლორია ბელარუსთან შეხვედრაში გააფრთხილეს. ცხადია, ჭარბი ყვითლების გამო, ლორია ფინეთთან 10 სექტემბრის მატჩს გამოტოვებს.

ამასობაში; **თემურ ქეცბაია** გუნდს ფინელებთან შეხვედრისთვის ამზადებს. უკვე ცნობილია ლორიას სავარაუდო შემცვლელის ვინაობაც - ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ოთარ გიორგაძის** თქმით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი არავის დაიმატებს, რადგან შეკრებაზე სამი მეკარე ვარჯიშობდა, ახლა კი დარჩნენ გორის „დილას" გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი**, რომელიც ფრანგებთან სათადარიგოთა სკამზე იჯდა და „ზესტაფონის" კარის დარაჯი **როინ კვასხვაძე**.

აქვე ვიტყვით, რომ ფინელები დღეს გვესტუმრებიან. დღესვე, 12 საათზე, ქეცბაია მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავს.

საფრანგეთის ნაკრებმა კი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩისთვის მზადება თბილისში გააგრძელა. საქართველოსთან შეხვედრის შემდეგ „მამლები" საქართველოს დედაქალაქში კიდევ ორი დღით გაჩერდნენ. **დიდიე დეშამმა** გუნდი თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე 7 და 8 სექტემბერს ივარჯიშა. პირველი ღია იყო, გუშინ კი ვარჯიში დახურეს.

ფრანგებმა თბილისი გუშინ საღამოს დატოვეს და ბელარუსში გაემგზავრნენ, სადაც 10 სექტემბერს იქაურ ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

● U21. შესარჩევი ეტაპი

**სლოვაკეთი–საქართველო**
09.09. სენეცი. 21:00

# კარგად დაწყებული კარგადვე გავაგრძელოთ

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სლოვაკეთში ადგილობრივ თანატოლებთან ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს გამართავს. შეგახსენებთ, რომ 5 სექტემბერს **ალექსანდრე ჩივაძის** შეგირდებმა ახალი საკვალიფიკაციო ციკლი ლუქსემბურგში გამარჯვებით (3:0) დაიწყეს. გოლები **დავით სხირტლაძემ, მამუკა კობახიძემ** და **გიორგი ჭანტურიამ** გაიტანეს. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ნათქვამია. მიუხედავად იმისა, რომ ლუქსემბურგი სუსტი გუნდია, გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში დადებით ემოციებს იწვევს და იმედია, ჩივაძის ბიჭებს პოზიტიური მუხტი სადღეისოდაც ეყოფათ.

ქართველი და სლოვაკი ახალგაზრდები აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. ჩვენმა დღევანდელმა მეტოქემ პირველ ტურში იმავე ლუქსემბურგს სტუმრად გადაუარა - 7:1. დღევანდელ შეხვედრას რაც შეეხება, ის თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება. მატჩს ქალაქ სენეცის 3000-ანი სტადიონი უმასპინძლებს.

**III ჯგუფი. დღეს**

ლუქსემბურგი-ჰოლანდია 20:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 7-1 | 3 |
| 2. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 3. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 4. შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 5. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-13 | 0 |

**გიორგი ბელაშვილი**

● ფრანგული მედიის გამოხმაურება

# დეშამს გადადგომისკენ მოუწოდებენ

## ქარიმ ბენზემა: საქართველოსთან ძალიან გაგვიჭირდა

**„ბენზემა, თავდასხმის თავსატეხი და გასაღები", - ასე დაასათაურა პოპულარულმა ფრანგულმა გამოცემა „ფიგარომ" საქართველო-საფრანგეთის მატჩისადმი მიძღვნილი წერილი.**

„საქართველოსთან მატჩში შეცვლილი ქარიმ ბენზემა, შესაძლოა, დიდიე დეშამმა ბელარუსში არ ათამაშოს. ხუთი თამაშია (ანუ 479 წუთი), რაც „რეალის"თავდამსხმელს გოლი ვერ გააქვს. ამის გამო დიდიე დეშამმა საქართველოსთან მატჩის მეორე ტაიმში ბენზემა შეცვალა კიდეც. „რეალის"თავდამსხმელის დეგრადაცია აშკარაა და ამის ფონზე გასაკვირია, მწვრთნელი მხარდაჭერას რომ უცხადებს. საფრანგეთმა წლეულს ჩატარებული შვიდი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ამიტომ, არსებობს საფრთხე, რომ გუნდი ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ვერ იასპარეზებს. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოელ ლე გრე ამბობს: „ბენზემა ძალიან მომწონს, მაგრამ პრობლემა სახეზეა. მან ყველას დაგვწყვიტა გული, რადგან მისგან გაცილებით მეტს ველოდით. აშკარაა, რომ ქარიმს რთული პერიოდი დაუდგა". აღსანიშნავია, რომ 1964 წლის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებმა ყველაზე დაბალი შედეგიანობა სწორედ დეშამის ხელმძღვანელობის დროს აჩვენა - საშუალოდ 0,84 გოლი მატჩში", - წერს „ფიგარო"და ვარაუდობს, რომ საქართველოსთან წარუმატებელი მატჩის შემდეგ, შესაძლოა, საფრანგეთმა სათამაშო ტაქტიკა (4-4-2) შეცვალოს და ბელარუსთან 4-2-3-1-ზე გადაეწყოს, ხოლო თავდამსხმელთა სეკვესტრი ბენზემას ხარჯზე მოხდება.

„ფიგარომ" თბილისური მატჩის შეფასება **ქარიმ ბენზემასაც** სთხოვა: „შედეგით იმედგაცრუებული ვარ. ესპანეთს რომ დავწეოდით, სამი ქულა გვჭირდებოდა, მაგრამ ვერ გავიმარჯვეთ. მძიმე პერიოდი დაგვიდგა. ყველა შეხვედრას ვერ მოიგებ, მაგრამ მეტი მოგვეთხოვება... პირველ ადგილზე გასვლა არარეალურია. მეეჭვება, ესპანეთმა დარჩენილ ორ საშინაო შეხვედრაში (საქართველოსა და ბელარუსთან - რედ) საჩუქარი გაგვიკეთოს", - ამბობს ბენზემა.

კითხვაზე, თუ რაზე ილაპარაკა მატჩის შემდეგ **დიდიე დეშამთან**, „რეალის" თავდამსხმელმა ასე უპასუხა: „ის იმედგაცრუებული იყო, როგორც თითოეული ჩვენგანი. მაგრამ რა უნდა ეთქვა? ჩვენ სამი ქულა გვჭირდებოდა, რომელიც ვერ მოვიპოვეთ. რაც შეეხება შეცვლას, ამაზე ლაპარაკი არ მსურს. თავადაც ვიცი, კარგად როდის ვთამაშობდი და რომ ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვარ. საქართველოსთან კი ძალიან რთული თამაში გვქონდა. ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ საშინლად ვითამაშე. მომდევნო თამაშისთვის მეტი კონცენტრირება მჭირდება. თბილისში ჩემი და ჟირუს წყვილი ეფექტური იმიტომ არ იყო, რომ ძალიან ახლო-ახლოს ვთამაშობდით. ჩვენმა თავდასხმამ მხოლოდ მატჩის ბოლოს დაიწყო ფლანგებისკენ მოძრაობა და მომენტებიც შევქმენით. ბელარუსთან სწორედ ასე უნდა ვითამაშოთ", - ასე ჰგონია „რეალის" ფორვარდს.

„სპორტ24" კი დეშამს გადადგომისკენ მოუწოდებს: „როგორ ხდება, რომ რიბერი „ბაიერნში" ჩინებულია, ევრა - „მანჩესტერის" ერთ-ერთი ბურჯია, ნაკრებში კი უფერულად გამოიყურებიან? ან რატომ ვერ ახერხებს ნაკრებში კონცენტრირებას ბაკარი სანია, რომელიც „არსენალში" ღირსეულად გამოიყურება? ხომ არ არის ეს დეშამის ბრალი? ან რატომ არ გახედა შეცვლილ ბენზემას მაშინ, როცა ის სათადარიგოთა სკამზე ჯდებოდა და რატომ არაფერი უთხრა? მთავარი კითხვა კი უცვლელია: რატომ ვერ შთაბერა დეშამმა გუნდს სული? „მე არ მსურს, ჩავიძირო"- განაცხადა დეშამმა, რაც გასაგებია. მაგრამ შესაძლოა, ის თბილისში ფსკერს მიუახლოვდა", - მიაჩნია „სპორტ24-ს".

**მერაბ მამულაშვილი**


დიდიე დეშამი (მარცხნივ) ქარიმ ბენზმას ერთ შანსს კიდევ მისცემს

● დაპირისპირება სტადიონზე

# ფანები: ჩვენ არ ვართ კრიმინალები!

## მთავარი მოთხოვნაა, სტადიონებზე წესრიგი სტიუარდებმა დაიცვან

**საქართველოსა და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრა ქართული ფეხბურთის ისტორიას რალაცნაირად სასიამოვნო მოგონებად დარჩება. ბოლოს და ბოლოს, დიდი ხნის შემდეგ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს ქულა ავართვით. თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით მოვლენაზე, რომელიც მატჩის დასაწყისში სტადიონზე მოხდა...**

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა: სამხრეთი ტრიბუნის მე-17 სექტორს მასპინძელი გუნდის ფანები - „გლადიატორები" (თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები) და „ქართული სპორტის ქომაგები" იკავებენ.

ამჯერადაც ასე მოხდა. მატჩი დაიწყო და ფანებიც აბობოქრდნენ. მაგრამ, რაც ამის მერე მე-17 სექტორში დატრიალდა, ძნელი ასახსნელია - პოლიციელები ფანებს დაერივნენ და მერე ძნელი გასარჩევი გახდა, ვინ ვის ესროდა პლასტმასის სკამებს.

ამის შემდეგ თბილისის „დინამოს" ფან-კლუბის ერთ-ერთმა აქტივისტმა კობა კობაიძემ ფანებისადმი მიმართვა გაავრცელა:

„მოვიდა დრო, ყველა ფან-კლუბი გაერთიანდეს და აღვკვეთოთ სტადიონებზე ძალადობა! მოვითხოვოთ, რომ პოლიციამ გააკონტროლოს გარე პერიმეტრი, ხოლო ტრიბუნებზე იყვნენ სტიუარდები! ჩვენ ვართ არა კრიმინალები, არამედ ფეხბურთის ფანები, გვიყვარს ქართული კლუბები და უზომოდ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა!"

ამ მოწოდებას ყველა ფან-კლუბის წარმომადგენელი გამოეხმაურა და მოიწონა. კომენტარისთვის მის ავტორს დავუკავშირდით: „ეს ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, როცა ჩვენს სექტორში პიროტექნიკა ავანთეთ. რატომღაც, პოლიციის თანამშრომლები მოგვცვივდნენ და ბოლო სიტყვებით გვაგინეს. ხალხი ამან გააღიზიანა, ვითარება ძალიან დაიძაბა და წავიდა სკამების სროლა. ყველაზე მეტად იმან გამაოგნა, რომ ხალხს სკამებს გამეტებით ურტყავდნენ. მერე ხალხი მიაწვა და პოლიციამ უკან დაიხია. ამ კონფლიქტის შედეგად 10 ადამიანი დაზიანდა, მათ შორის - პოლიციელებიც დაშავდნენ. ჩვენთვის ყველა ამ ქვეყნის შვილია, ვითარების გამწვავება და კონფლიქტი არ გვსურს. მაგრამ დროა, სტადიონზე ფანების სექტორთან მხოლოდ სტიუარდები დადგნენ, რომლებმაც იციან, რომ პიროტექნიკის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია და არა - დანაშაული, და ისიც, რომ პოლიციელმა ფანებს არ უნდა აგინოს".

ბექა ნოზაძე, „ქართული სპორტის ქომაგების" ლიდერი: „ბოლო მატჩებში ჩვენი ნაკრების წარუმატებლობის მიუხედავად, „ქართული სპორტის ქომაგები" საფრანგეთთან მატჩისთვის მთელი კვირა ვემზადებოდით. 6 სექტემბერს ნაკრების ფეხბურთელებს და მთავარ მწვრთნელს შევხვდით და გამოვუცხადეთ სრული მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მრისხანე მეტოქე გვყავდა. ჩვენ, „ქართული სპორტის ქომაგები", კრიმინალები არ ვართ, ერთადერთი გრძნობა გვამოძრავებს - ქვეყნის სიყვარული და დაუოკებელი სურვილი, რომ ყოველთვის საქართველოს გვერდით ვიდგეთ. პიროტექნიკა კრიმინალური ატრიბუტი არ არის, ის სპეციალურ მაღაზიებში თავისუფლად იყიდება... ყველაფერი ერთ-ერთმა პოლიციელმა გამოიწვია, რომელიც გვაგინებდა და გვემუქრებოდა - თამაშის შემდეგ ნახავთ, რასაც გიზამთო. ამ ფაქტის შემდეგ ჩვენი მოთხოვნა მკაფიოა - მათ, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს, ტრიბუნებზე წესრიგის დაცვა სტიუარდებს მიანდონ. ჩვენ ვრჩებით საკუთარი პრინციპების ერთგულნი - ვემიჯნებით ყოველგვარ კრიმინალს! აქვე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ფეხბურთის ფედერაციას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ცდილობს, საქართველოში ფან-კულტურის განვითარებას ხელი შეუწყოს".


არეულობა ტრიბუნაზე საფრანგეთის მატჩის დროს თამუნა ყულიჯანაშვილის ფოტო

**მერაბ მამულაშვილი**

მუნდიალი 2014. ევროპა



იტალიის ნაკრებმა ჩეხეთსაც უნდა მოუგოს და მუნდიალზეა

# ვინ იქნება პირველი?

**10 სექტემბერს მუნდიალის მორიგი საკვალიფიკაციო მატჩები გველის ევროპაში, რომელთა შესახებ უფრო დაწვრილებით ხვალ მოგახსენებთ, თუმცა დღეს 9-ვე შესარჩევი ჯგუფის ზოგად სატურნირო მდგომარეობაზე ვილაპარაკებთ...**

* მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობს 53 ქვეყანა, რომელიც ევროპისთვის გამოყოფილი 13 საგზურისთვის იბრძვის.

* აქედან ჯერ არავის მოუპოვებია მუნდიალის საგზური.

* მეტიც, ჯერ არავის გაუნაღდებია პლეი ოფში თამაში მაინც.

* მხოლოდ სამი ნაკრებია, რომელთაც გაინაღდეს მეორე ადგილი (და არა პლეი ოფი): ესპანეთი, ბელგია და ხორვატია. სხვათა შორის, ბოლო ორი ერთ ჯგუფშია (A).

* გუნდების ძირითად ბირთვს (29 ნაკრები) კიდევ შეუძლია საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ადგილზე დასრულება (მათ შორის არის საფრანგეთის ნაკრები).

* 7 ნაკრებს მხოლოდ პლეი ოფით შეუძლია მუნდიალზე მოხვედრა. რაც ყველაზე მთავარია, ამ ჯგუფში არის საქართველოს ნაკრებიც, რომლის შანსიც ძალიან თეორიულია.

* 14 ნაკრები საერთოდ ჩამოცილდა მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლას. ჩვენს ჯგუფში ასეთი ბელარუსის ნაკრებია. სხვათა შორის, A ჯგუფში ასეთი ერთბაშად 4 ნაკრებია.

* უკვე გადაწყვეტილია, რომ მუნდიალზე ვერ ვიხილავთ ისეთ ნაკრებებს, როგორიც სერბეთი და შოტლანდიაა.

*9 შესარჩევი ჯგუფი სატურნირო მდგომარეობების მიხედვით 3 კატეგორიად გავყავით.*

## 1-ლი კატეგორია

A და I (ანუ ჩვენი) ჯგუფები:

*აქ არის მკვეთრად გამორჩეული ორი ნაკრები, რომელთაგან ერთი ფავორიტია და დანარჩენები, რომელთაც პრაქტიკული შანსი აღარ აქვთ (ზოგჯერ არც თეორიული).*

* **A ჯგუფში** ბელგიის ნაკრები 22 ქულით ლიდერია, ორი ტურით ადრე ის ხორვატიას 5 ქულით უსწრებს. დანარჩენ 4 ნაკრებს კი არც პრაქტიკული და არც თეორიული შანსი არა აქვთ: სერბეთი, მაკედონია, უელსი და შოტლანდია. არადა, საკმაოდ ძლიერი კვარტეტია. ასე რომ, მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი **გარეთ ბეილი**, რომელიც სხვათა შორის, ამ ჯგუფის ბომბარდირია 4 გოლით, მუნდიალზე ვერ ითამაშებს.

* **10 სექტემბერს** ამ ჯგუფში არც არაფერი გაირკვევა, მხოლოდ ის გუნდები თამაშობენ, რომელთაც გასვლის შანსი დაკარგული აქვთ.

* **ჩვენს** ქვეჯგუფშიც თითქმის იგივე სიტუაციაა. უბრალოდ საფრანგეთს ჯერ არ აქვს განაღდებული მე-2 ადგილი და შესაბამისად, ფინეთსა და საქართველოს მე-2 ადგილის დაკავების თეორიული შანსი შერჩათ.

* **საკმარისია,** 10 სექტემბერს საფრანგეთის ნაკრებმა მინსკში ქულა აილოს, რომ საქართველო ამ თეორიულ შანსს კარგავს, ან მოიგოს და შანსს ორივე გუნდი დაკარგავს. ამასთან, საფრანგეთის ნაკრების წაგების შემთხვევაშიც კი ის გუნდი, რომელიც 10 სექტემბერს თბილისში ვერ მოიგებს, თეორიულ შანსს გამოეთხოვება.

## მე-2 კატეგორია

B და E ჯგუფები

*ჯგუფები, სადაც ყველაზე დაძაბული სიტუაციაა და მუნდიალზე გასვლის შანსი ჯერ ერთ ნაკრებსაც კი არ დაუკარგავს.*

* **B ჯგუფში** რეალურად მე-2 ადგილისთვის მიდის მთავარი ბრძოლა, რადგან პირველ ადგილზე მყოფი იტალია (17 ქულა) 7 ქულით უსწრებს ბულგარეთს, რჩება 3 ტური.

* **10 სექტემბერს** იტალიის ნაკრებს მუნდიალის საგზურის მოსაპოვებლად შინ ჩეხების დამარცხება ჰყოფნის.

* **მეორე** ადგილისთვის კი ბრძოლა ახლა იწყება: ბულგარეთი მხოლოდ ქულით უსწრებს ჩეხეთს, სომხეთსა და დანიას. თეორიული შანსი მალტის ნაკრებსაც შერჩა.

* **უკვე** მეორე შესარჩევი ციკლია ზედიზედ, როცა სომხეთის ნაკრები გასვლის პრაქტიკულ შანსს ინარჩუნებს ბოლო ტურებამდე!

> 10 სექტემბერს მუნდიალის საგზურის მოპოვება შვეიცარიას, იტალიას, ჰოლანდიას და გერმანიას შეუძლიათ

* **უფრო** დაძაბული სიტუაციაა E ჯგუფში, სადაც ლიდერ შვეიცარიას (15 ქულა) ისე მყარად არ აქვს საქმე, როგორც ზემოთ ნახსენებ ჯგუფში იტალიას. შვეიცარია მხოლოდ 4 ქულით უსწრებს ნორვეგიას და 5-ით ალბანეთსა და ისლანდიას, ხოლო 6-ით სლოვენიას. აქ თეორიული შანსი კვიპროსსაც შერჩა.

* **მაგრამ** ამ ჯგუფის მთავარი საფრთხე ისაა, რომ დღეის გათვლით სწორედ აქ მე-2 ადგილზე გასული ნაკრები ვერ მიიღებს პლეი ოფში თამაშის უფლებას, რადგან მას 9 ჯგუფში უარესი მაჩვენებელი ექნება.

## მე-3 კატეგორია

დანარჩენი ყველა ჯგუფი (C, D, F, G, H)

*ამ ჯგუფების დამახასიათებელია 2-2 გამოკვეთილი აუტსაიდერი, რომლებიც უბრალოდ ჩამოშორდნენ ბრძოლას (5 ჯგუფში ამ აუტსაიდერთაგან მხოლოდ ესტონეთს შერჩა თეორიული შანსი). დანარჩენები კი ბოლომდე იბრძვიან.*

* **C ჯგუფში** გერმანიის ნაკრებს (19 ქულა) 5-ქულიანი უპირატესობა აქვს შვედეთთან და სამი ტური რჩება. მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში კი შვედეთი 3-3 ქულით უსწრებს ავსტრიას და ირლანდიას. ყაზახეთი და ფარერები უკვე გავარდნენ.

* **თუკი** 10 სექტემბერს შვედეთის ნაკრები ვერ მოიგებს ყაზახეთში და გერმანია ფარერის კუნძულებზე იმარჯვებს, **იოახიმ ლიოვის** გუნდი მუნდიალის საგზურს მოიპოვებს.

* **D ჯგუფში** თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ესტონელებმა სენსაციით მცირე კორექტივები შეიტანეს. ჰოლანდიის ნაკრები (19 ქულა) პირველ ადგილზეა და 6 ქულით უსწრებს რუმინეთს.

* **10 სექტემბერს** ჰოლანდია ალბათ დაამარცხებს ანდორას, მაგრამ ამით მხოლოდ პრაქტიკულად გაინაღდებს საგზურს, თუ რუმინეთი შინ მოუგებს თურქეთს.

* **თუ** რუმინეთი ვერ მოიგებს და ჰოლანდია იმარჯვებს, **ლუის ვან გაალის** გუნდი მუნდიალზეა.

* **F ჯგუფში** პირველი ადგილისთვის ძალზე დაძაბული ბრძოლაა - პორტუგალია 2 ქულით უსწრებს რუსეთს, მაგრამ მასზე თამაშით მეტი აქვს გამართული. 10 სექტემბერს აქ მუნდიალის საგზური ვერ დარიგდება.

* **G ჯგუფში** 16-16 ქულით ბოსნია და საბერძნეთი ლიდერობენ. აქაც ყველაფერი წინაა.

* **H ჯგუფშიც** ანალოგიური სიტუაციაა - 15-15 ქულით ლიდერობენ ინგლისი და ჩერნოგორია (1 თამაშით მეტი), 14 ქულა აქვს უკრაინას.

* **10 სექტემბერს** მთავარი მატჩია - უკრაინა-ინგლისი, თუმცა საგზურისთვის ამ ჯგუფშიც ოქტომბერს უნდა დაველოდოთ.

**10 სექტემბერს** მუნდიალის საგზური მოპოვება შეუძლიათ...

**შვეიცარიას** - თუ დაამარცხებს ნორვეგიას.

**იტალიას** - თუ შინ ჩეხეთს დაამარცხებს.

**ჰოლანდიას** - თუ სტუმრად მოუგებს ანდორას და რუმინეთი შინ ვერ მოუგებს თურქეთს.

**გერმანიას** - თუ ფარერებზე მოიგებს და შვედეთი ყაზახეთში ვერ მოიგებს.

ამბები

## რონალდო ბოსტონში არ იქნება

10 სექტემბერს პორტუგალიისა და ბრაზილიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი აშშ-ს ქალაქ ბოსტონში გაიმართება. პორტუგალიის ნაკრების ექიმთა გადაწყვეტილებით, ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს გუნდის კაპიტანი **კრიშტიანო რონალდო**.

ექიმ **ენრიკე ჟონსის** თქმით, „რეალის“ 28 წლის ფორვარდს მიეცა უფლება გამოტოვოს ეს შეხვედრა, რადგან მან ბელფასტში ტკივილით ითამაშა.

*„რონალდო კვირის განმავლობაში ინტენსიურ რეაბილიტაციის პროცესს დაჩქარებით გადიოდა. მან თავი დადო ბელფასტში და ახლა დაიმსახურა დასვენება“*, - განაცხადა ჟონსმა.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიამ მუნდიალის შესარჩევ ჯგუფში 4:2 მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიას, რონალდომ კი ჰეთთრიკი შეასრულა. რონალდომ სამივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა. ეს მის კარიერაში პირველი სანაკრებო ჰეთთრიკი იყო.

პორტუგალიის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მან (43 გოლი) გაუსწრო **ეუსებიოს** (41), წინ მხოლოდ **პედრო პაულეტაა** (47).

## ბოლო შანსი ბენზემას

„ლე პარიზიენის“ ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ **ქარიმ ბენზემამ** თბილისური მატჩი ჩააგდო, მინსკში ისევ ის იქნება სასტარტო შემადგენლობაში, მაგრამ **დიდიე დეშამი** მას ბოლო შანსს აძლევს. 25 წლის ბენზემას საფრანგეთის ნაკრებში უკვე 20 საათი და 26 წუთია, გოლი არ გაუტანია.

თბილისში, დიდიე დეშამმა სასტარტო ფორვარდი მისთვის უჩვეულოდ ადრე გამოცვალა, იმდენად არაეფექტური იყო მადრიდის „რეალის“ ფორვარდი. თუმცა, ვერც **ანდრე-პიერ ჟინიაკმა** შეძლო თავდასხმის გაძლიერება.

თუკი ბენზემა ვერც ბელარუსთან მატჩში გამოიჩენს თავს, დიდიე დეშამი მას სათადარიგო ფორვარდად დააქვეითებს.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრები თბილისში, „დინამოს“ ბაზაზე ემზადებოდა ბელარუსთან მატჩისთვის. ბენზემას 20 საათი და 26 წუთია, ნაკრებში არ გაუტანია.

## საჩუქრად რუნის

„დეილი ტელეგრაფის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 27 წლის **უეინ რუნის** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. რუნის ხელშეკრულება 2015 წელს სრულდება.

ეს იქნება ერთგვარი საჩუქარი იმისთვის, რომ რუნიმ საბოლოოდ აღარ იაქტიურა „ჩელსიში“ გადასვლაზე და „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩა.

„იუნაიტედის“ ხელმძღვანელობას არსად ეჩქარება, ახალ კონტრაქტს რუნის იანვარში შესთავაზებენ და მას კიდევ 4-5 წლით დაიბევებენ კლუბში.

## არსენალი ვენგერს ახალ კონტრაქტს უმზადებს

„სანის“ ინფორმაციით, **არსენ ვენგერი** და ლონდონის „არსენალი“ განაახლებენ ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებას, რის შედეგადაც ფრანგი მწვრთნელი 15 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიიღებს.


იანვარში ვენგერს 40 მილიონ ფუნტს ფორვარდის საყიდლად გამოუყოფენ

ცუდი სატრანსფერო ფანჯარა „არსენალმა“ 2 სექტემბერს დიდებულად დაასრულა - 42,5 მილიონ ფუნტად მადრიდის „რეალისგან“ **მესუთ იოზილი** იყიდა. ამიტომაც ვენგერის შანსები გაიზარდა.

ახალი კონტრაქტი 2-წლიანი იქნება, ფრანგი სეზონში 7,5 მილიონ ფუნტს მიიღებს. მას კონტრაქტი „არსენალთან“ სეზონის ბოლოს უმთავრდება. „სანის“ ინფორმაციითვე, იანვარში ვენგერს 40 მილიონი ფუნტი გადაეცემა ტოპკლასის ფორვარდის საყიდლად.

## ბარსამ აბიდალს უპასუხა

ახლახან **ერიკ აბიდალმა** განაცხადა, რომ „ბარსელონაში“ ავადმყოფობის პერიოდში მას ხელფასსაც არ უხდიდნენ. ბუნებრივია, ასეთი ბრალდებისთვის კლუბს უნდა ეპასუხა და არც კატალონიელთა პასუხმა დაახანა:

„ორივე მხარე აღიარებს, რომ კლუბი თავის ვალდებულებებს, რაც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული ასრულებდა. 2012 წლის იანვარში „ბარსელონამ“ ავადმყოფობის რეციდივის გამოვლენის მიუხედავად, ერიკ აბიდალს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ახალი კონტრაქტი უკეთეს პირობებს ითვალისწინებდა და ხელშეკრულებაც გაფორმდა. 2012 წლის მარტში, როცა აბიდალის ავადმყოფობამ ისევ იჩინა თავი, კლუბს ის ცალმხრივად არ გაუწყვეტია, თუმცა ამის შესაძლებლობა კონტრაქტის მიხედვით ჰქონდა. უბრალოდ, ორივე მხარის შეთანხმებით, კონტრაქტი შეჩერდა, მანამდე, სანამ აბიდალი მოედანს არ დაუბრუნდებოდა. ამ პერიოდში აბიდალი იღებდა შეთანხმებულ ხელფასს, ხოლო მას მერე, რაც პირველ გუნდში დაბრუნდა, ის უკვე იმ ხელფასს იღებდა, რაც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. 2013 წლის ივნისში კონტრაქტს ვადა უმთავრდებოდა და ორივე მხარემ ის შეწყვიტა“, - ვკითხულობთ „ბარსელონას“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

## პუიოლი 3 კვირაში დაბრუნდება


კარლეს პუიოლი

„ბარსელონას“ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** სრულფასოვან ვარჯიშს დაახლოებით 3 კვირაში დაუბრუნდება, ამის შესახებ ესპანური პრესა იუწყება.

35 წლის მცველი უკვე ემზადება ინდივიდუალურად. შეგახსენებთ, რომ პუიოლმა მორიგი ოპერაცია ივნისში გაიკეთა - მუხლიდან კისტა ამოკვეთეს. „ბარსელონას“ საექიმო შტაბი ირწმუნება, რომ პუიოლი, როდესაც საბოლოოდ გამოჯანმრთელდება, ძველ სათამაშო დონეს დაუბრუნდება, რადგან ახლა მისი მუხლი წესრიგშია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ამხანაგური მატჩები

# კაკას წარმატებული დებიუტი

## ალეგრი: რიკი სასტარტოში ითამაშებს

**კიასო–მილანი 0:4**

**გოლები:** 0:1 ნოჩერინო (7), 0:2 სილვესტრი (23), 0:3 რობინიო (40), 0:4 საპონარა (86).

**მილანი (4-3-1-2):** ამელია (57. კოპოლა) - ძაკარდო, მექსე (46. ვერგარა), სილვესტრი (61. პედონე), ემანუელსონი (46. პინატო) - ნოჩერინო (78. რონდაინინი), დე იონგი (46.- პოლი), მუნტარი (46. მოდიჩი) - კაკა (46. ნიანგი) - რობინიო (61. საპონარა), მატრი (74. კლავერია).

„მილანმა“ სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზით ისარგებლა და ამხანაგური მატჩი გამართა, სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება და რაც მთავარია, 4-წლიანი განშორების შემდეგ, **რიკარდო კაკამ** პირველად მოირგო „მილანის“ მაისური. ვთქვათ ისიც, რომ „როსონერი“ შვეიცარიის იტალიური რეგიონის გუნდ „კიასოს“ შეხვდა, სადაც ექს-მილანელი, **ჯანლუკა ძამბროტა** ასპარეზობს. ისიც ალვნიშნოთ, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდში პირველი მატჩი ჩაატარა 21 წლის ნიჭიერმა გამთამაშებელმა **რიკარდო საპონარამ**, რომელმაც სერია A-ს მიმდინარე გათამაშების პირველი ორი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. მიმდინარე სეზონში, საპონარას ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ, კაკას ტრანსფერის შემდეგ კი ბრაზილიელის დუბლიორად მოიაზრება.



რიკარდო კაკამ „მილანს“ უკაპიტნა

მოკლედ, ერთ რიგით ამხანაგურ მატჩში ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა და ჟურნალისტთა გამძაფრებული ინტერესიც ამან გამოიწვია...

„მილანმა“ იოლად სძლია მეტოქეს, ოთხი უპასუხო გოლი გაიტანა და ორჯერ მეტის გატანაც თავისუფლად შეეძლო. განსაკუთრებით იტალიელებმა პირველ ტაიმში გაილალეს, როდესაც ძირითადი შემადგენლობით ასპარეზობდნენ. მეორე ნახევარში, ალეგრიმ ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და თამაშიც შედარებით გათანაბრდა. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას ალვნიშნავთ, რომ კაკამ და საპონარამ თავი შესანიშნავად წარმოაჩინეს. ბრაზილიელი დაუღალავად დარბოდა, ამწვავებდა იერიშებს და გოლის გატანასთანაც ახლოს იყო - რაც მთავარია, ბრწყინვალე საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში. რაც შეეხება საპონარას, ბოლო ნახევარი საათი ითამაშა და გოლის გატანა მოასწრო. მოკლედ, დებიუტანტებმა თავი კარგად წარმოაჩინეს და ეს ნამატჩევს, მასიმილიანო ალეგრიმაც აღნიშნა...

**მასიმილიანო ალეგრი** (მილანი): *„კარგი სპარინგი იყო, რომელმაც საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდა გასაანალიზებლად. ბევრი ფეხბურთელი გამოვცადეთ, რომელთა უმეტესობამაც თავი კარგად წარმოაჩინა. კაკა? - შესანიშნავი იყო და უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სერია A-ს მომდევნო ტურში ძირითად შემადგენლობაში იქნება. დიახ, ჩვენ უფრო ხშირად გამოვიყენებთ 4-3-1-2 სქემას, რიკის კი დირიჟორობა დაევალება“.*

**რიკარდო კაკა** (მილანი): *„დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც თბილად მიმიღეს და „მილანში“ ჩემი ხელმეორე დებიუტი გამიადვილეს. თავს კომფორტულად ვგრძნობდი და ბევრი რამეც გამომივიდა. მწვრთნელმა გამთამაშებლობა დამავალა, ამ პოზიციაზე თამაში კი ყველაზე მეტად მხიბლავს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მწვრთნელის და გულშემატკივრების ნდობა გავამართლო“.*

**ლაშა ნიკლაური**



ავსტრალიელებმა ნეიმარს ვერაფერი მოუხერხეს

# ბრაზილიამ გაილაღა

**ბრაზილია–ავსტრალია 6:0**

**გოლები:** 1:0 ჟო (8), 2:0 ჟო (34), 3:0 ნეიმარი (36), 4:0 რამირესი (58), 5:0 პატო (73), 6:0 ლუის გუსტავო (84)

**ბრაზილია (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი (77. მარკოს როჩა), ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი (61. დანტე), მარსელო (46. მაქსველი) - ლუის გუსტავო, რამირესი, პაულინიო (62. ერნანესი) - ბერნარდი (61. ლუკას მოურა), ნეიმარი - ჟო (67. პატო)

**ავსტრალია (4-5-1):** შვარცერი - ნილი, ოგნენოვსკი, მაკეი, მაკგოვანი - ბრეშიანო, კრუსი, ოარი (59. ა. ტომპსონი), იედინაკი (64. მილიგანი), ჰოლმანი (70. როგიჩი) - კენედი (78. დიუკი)

ბრაზილიის ნაკრებმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და ავსტრალიის საკმაოდ ძლიერი ნაკრები მიწასთან გაასწორა. შვეიცარიასთან წაგების (0:1) შემდეგ, „სელესაო“ ბევრმა სპეციალისტმა გააკრიტიკა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ამ კრიტიკოსებს პასუხი შესანიშნავი თამაშით გასცეს.

დედაქალაქში, ბრაზილიის დამოუკიდებლობის დღეს გამართული მატჩი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. შესანიშნავად ითამაშეს **ჟომ** და **ნეიმარმა** - „ატლეტიკო მინეიროს“ ფორვარდმა დუბლი შეასრულა, „ბარსელონას“ ვარსკვლავმა კი პირველ ტაიმში ერთი გოლი გაიტანა, მეორე ნახევარში კი ორი საგოლე პასი გააკეთა. თავი გამოიჩინა ნაკრებში დაბრუნებულმა **ალეშანდრო პატომაც** - „კორინთიანსის“ შემტევმა ეროვნულ გუნდში ერთწლიანი პაუზის შემდეგ გაიტანა.

მსგავსი შედეგი ამ ორი გუნდის შეხვედრაში უკვე მეორედ დაფიქსირდა. პირველად ბრაზილიამ „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენლებს ექვსი უპასუხო გოლი 16 წლის წინ, 1997 წლის კონფედერაციათა თასის ფინალში გაუტანა.

„სელესაოს“ მთავარი მწვრთნელი გუნდის თამაშით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა და განსაკუთრებით **ბერნარდის** და **რამირესის** კარგი გარჯა გამოჰყო.

*„ის ძალიან სწრაფი და მოქნილია. რამირესის გამოყენება შეიძლება როგორც შემტევი, ასევე დაცვითი სტილის ნახევარმცველის პოზიციაზე. მე უნივერსალი მოთამაშეები მიყვარს და რაც უფრო მეტი ასეთი ფეხბურთელი გვეყოლება ნაკრებში, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი გუნდი,“* - განაცხადა რამირესის შესახებ **სკოლარიმ**. როგორც ალვნიშნეთ, 64 წლის სპეციალისტმა ბერნარდიც შეაქო:

*„ბერნარდმა შესანიშნავად ითამაშა. მას თამაში შეუძლია როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ფლანგზე. ის თანდათან უმატებს და ნელ-ნელა ძირითად შემადგენლობაშიც იმკვიდრებს ადგილს“.*

მომდევნო შეხვედრას ბრაზილია ბოსტონში, 10 სექტემბერს გამართავს - სკოლარი ყოფილ გუნდს, პორტუგალიას დაუპირისპირდება.

**ტატო ბაციკაძე**

● მოსაზრება

# ჯუზეპე მაროტა: ინტერი სკუდეტოსთვის იბრძოლებს

## გამოსავალი? – ფინანსური ფეარ პლეი

„გაძეტა დელო სპორტში“ „იუვენტუსის“ სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** მოკლე ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც საუბარი იტალიურ ფეხბურთში არსებულ პრობლემებს, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას და მომდევნო ტურში დაგეგმილ დიდ იტალიურ დერბის შეეხო.

### სკუდეტოსთვის ბრძოლა

*ამას წინათ, ლუჩანო სპალეტის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც აცხადებდა, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლაში „იუვენტუსის“ ერთადერთი კონკურენტი „მილანია“. ლუჩანოს ნამდვილად ვერ დავეთანხმები, რადგან სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ბევრი ძლიერი გუნდია, რომლებსაც უმაღლესი მიზნები აქვთ დასახული. უპირველესად „ნაპოლი“ უნდა ვახსენოთ, არც რომაული გუნდების და „ფიორენტინას“ დავიწყება ეგების და რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს „ინტერი“. ვალტერ მაცარიმ მილანური გრანდი სულ სხვა დონეზე აათამაშა და ვფიქრობ, ეს გუნდი აუცილებლად იბრძოლებს სკუდეტოსთვის.*

### დიდი იტალიური დერბი

*მომდევნო ტურში სწორედ „ინტერს“ ვხვდებით და თანაც, მილანში. ურთულესი მატჩი იქნება, რომელშიც მიზნად სამი ქულის მოპოვება გვაქვს დასახული. შემთხვევით არ მითქვამს, რომ „ინტერი“ სკუდეტოსთვის ბრძოლაში ერთ-ერთი ფავორიტია - „ნერაძურიმ“ ბრწყინვალედ დაიწყო სეზონი და ეცდება, რომ წარმატებული სერია კიდევ ერთი მოგებით გააგრძელოს. ჩვენი იარაღი გამოცდილებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. დიდი იტალიური დერბი განსაკუთრებული მოვლენაა და ამ მატჩს მოუთმენლად ველოდები.*



ჯუზეპე მაროტა

### ფინანსური ფეარ პლეი

*სატრანსფერო ბაზარზე იტალიურმა კლუბებმა იაქტიურეს, მაგრამ ჩვენ მაინც გვიჭირს ესპანურ და ინგლისურ კლუბებთან კონკურენცია. იტალიაში ფინანსური კრიზისია და ეს ფეხბურთზეც შესაბამისად აისახა. სერია A-ს ვერც ერთი კლუბი ვერ მისცემს თავს უფლებას ფეხბურთელში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს, როგორც ეს მადრიდის „რეალმა“ გააკეთა. გამოსავალი? - ფინანსური ფეარ პლეი, რომლის ამოქმედებასაც უეფა წლებია გვპირდება. დროა, ევროპულ ფეხბურთში ფინანსურად დაბალანსდეს ვითარება და ეს მხოლოდ ფეარ პლეის წესის ამოქმედებას შეუძლია.*

**ლაშა ნიკლაური**

● იტალიის ნაკრები



ინაციო აბატემ ბულგარეთთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო

# ცვლილებები აძურაში

იტალიის ნაკრებმა ბულგარეთთან უმნიშვნელოვანესი ქულები მოიპოვა და პრაქტიკულად გაინაღდა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, მაგრამ ეს გამარჯვება აპენინელებს ორი ფეხბურთელის ტრავმად დაუჯდათ... **ლუკა ანტონელიმ** და **ინაციო აბატემ** თამაში ვერ ჩაამთავრეს და როგორც უკვე გაცხადდა, ვერც ჩეხებთან პაექრობაში მიიღებენ მონაწილეობას. ვთქვათ ისიც, რომ „სკუადრა აძურა“ ჩეხეთის უმთავრეს გუნდს 10 სექტემბერს ტურინში უმასპინძლებს და თუ იმ შეხვედრასაც მოიგებს, ოფიციალურად გაინაღდებს მუნდიალის საგზურს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩეხებთან აბატე და ანტონელი ვერ ითამაშებენ, რომელთა შემცვლეებიც **ჩეზარე პრანდელიმ** გუშინ დაასახელა - ამრიგად, იტალიის ნაკრებს **ლორენცო დე სილვესტრი** (სამპდორია) და **მანუელ პასკუალი** (ფიორენტინა) შეემატნენ, პირველი მარჯვენა მცველია, ხოლო მეორე მარცხენა. ბოლოს დავძინოთ, რომ ჩეხებთან შეხვედრაში **მარიო ბალოტელი, პაბლო ოსვალდო** და **რიკარდო მონტოლივო** მიიღებენ მონაწილეობას, რომლებმაც ბულგარეთთან პაექრობა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს.

**ლაშა ნიკლაური**

● ლაციო

# ახალი კონტრაქტი კლოზეს

„კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ლაციოს“ მესვეურები **მიროსლავ კლოზესთვის** ახალ კონტრაქტს ამზადებენ. საქმე იმაშია, რომ 35 წლის გერმანელ ფორვარდს რომაულ კლუბთან ხელშეკრულების ვადა მომდევნო ზაფხულს ეწურება და როგორც ამბობენ, გერმანიაში დაბრუნების ვარიანტებს განიხილავს. ითქვა ისიც, რომ 2014 წლის მუნდიალის შემდეგ, შესაძლოა მიროს კარიერა დაასრულოს.

აღნიშნულ თემაზე კომენტარი „ლაციოს“ სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** გააკეთა: *„დასამალი ნამდვილად არაა, რომ მიროსლავ კლოზეს შენარჩუნება გვსურს და მისთვის ახალ ხელშეკრულებას ვამზადებთ. კონტრაქტის დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ ყველაფერი მეც არ ვიცი. იმედია, მირო ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც ჩვენ ათასობით გულშემატკივარს გაახარებს“.*

შეგახსენებთ, რომ მიროსლავ კლოზემ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 68-ე გოლი გაიტანა და ამით **გერდ მიულერის** რეკორდი გაიმეორა. მას შესანიშნავი შანსი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონატებზე გატანილი გოლებით რეკორდსმენი გახდეს და ბრაზილიელ **რონალდოს** გადაასწროს. ყველაფერ ამის შემდეგ, ლოგიკურია, რომ კლოზე კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა; ვნახოთ, რას გახდებიან „ლაციოს“ მესვეურები.

**ლაშა ნიკლაური**



კლოზეს რომში ვერ ელევიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები




თითქმის გადაწყვეტილია, რომ იოახიმ ლიოვი გერმანიის ნაკრებს 2016 წლამდე უხელმძღვანელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესმწვრთნელის პოსტზე 10-წლიანი ერა გამოუვა

# ლიოვი 2016 წლამდე!

## იოგიმ საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებები დაადასტურა და ჰუმელსს აიმედებს

გერმანიის ნაკრებმა საშინაო დავალება კარგად შეასრულა - ავსტრიასთან 3:0 მოგებით ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** კმაყოფილია. მატჩის შემდეგ გაზეთმა „ბილდმა" გაავრცელა სანდო წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირსა და ლიოვს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმება უკვე გადაწყვეტილი ამბავია და რომ იოგი და მისი გუნდი ბუნდესნაკრებს 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით უხელმძღვანელებენ (აქტუალურ ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის ზაფხულამდე, მუნდიალის ჩათვლით აქვს).

ეს ცნობა ოფიციალურად არცერთმა მხარემ არ დაადასტურა, თუმცა „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლიოვმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „ბილდის" ინფორმაციით, გერმანიაში ლიოვის კიდევ ორი წლით დარჩენის ამბავს ფარერებთან შეხვედრის შემდეგ გაახმაურებენ.

*„გერმანიის საფეხბურთო კავშირთან პირადად მე მოლაპარაკებები არ გამიმართავს, მაგრამ ჩემს მრჩეველ ჰარუნ არსლანს საფეხბურთო კავშირის გენერალურ მდივან ჰელმუტ ზანდროკთან რამდენიმე ნაყოფიერი შეხვედრა ჰქონდა. მოლაპარაკებები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ უნდა დამთავრდეს. ფაქტია, რომ ყველაფერი მუნდიალამდე გადაწყდება,"* - უთხრა ლიოვმა „კიკერს".

ერთი სიტყვით, შეგვიძლია გადაწყვეტილად მივიჩნიოთ ის, რომ ლიოვი გერმანიის ნაკრებში 2016 წლამდე დარჩება და ბუნდესგუნდს ევრო 2016-ისთვისაც სწორედ იოგი მოამზადებს. მასთან ერთად რჩებიან გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** და მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკეც**. სიახლე ისაა, რომ ლიოვის ამჟამინდელი ასისტენტი **ჰანსი ფლიკი** გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი გახდება და ამ პოსტზე **რობინ დუტს** შეცვლის, რომელიც ცოტა ხნის წინ ბრემენის „ვერდერის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ დუტამდე ამ თანამდებობაზე **მათიას ზამერი** მუშაობდა, რომელიც ახლა მიუნხენის „ბაიერნის" სპორტული დირექტორია.

### მუნდიალის შემდეგ ლიოვის გაშვება გამორიცხული მაინც არაა

ჩვენი გერმანელი კოლეგები კიდევ ერთ საინტერესო ცნობას ავრცელებენ: ლიოვის ახალ კონტრაქტში ჩაიდება სპეციალური პუნქტი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება ორივე მხარეს შეეძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ გამორიცხული არაა, მუნდიალის შემდეგ იოგიმ პოსტი მაინც დატოვოს, ან დაატოვებინონ. ცხადია, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იასპარეზებს გერმანია მუნდიალზე.

გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ლიოვთან ახალი კონტრაქტის გაფორმების ამბავს მშვიდად შეხვდნენ და ეს ლოგიკურ ნაბიჯად მიაჩნიათ. *„ჩვენ შესანიშნავი მწვრთნელი გვყავს, რომელიც ყველას უყვარს. იოგისთან ერთად უდიდესი პროგრესი განვიცადეთ. შესაბამისად, მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება ამ ყველაფრის ლოგიკური გაგრძელებაა. ახლა ყველანი საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით დამთავრებასა და მომავალ მუნდიალზე ვართ კონცენტრირებულები,"* - უთხრა „კიკერს" გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **ფილიპ ლამმა**.

ბუნდესგუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ოფიციალურად ჯერ არ გაუნაღდებია, მაგრამ ავსტრიასთან გამარჯვების შემდეგ ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობაა. სამშაბათს ბუნდესგუნდი ფარერების ნაკრებს სტუმრობს და ლიოვის შეგირდებს არც ამ მატჩის მოგება გაუჭირდებათ. თანაც, დიდი შანსია, რომ ფარერებთან გამარჯვებამ გერმანიას მუნდიალის საგზური უკვე ოფიციალურად გაუნაღდოს. სწორედ ამიტომ ელიან ჩვენი გერმანელი კოლეგები იმას, რომ საფეხბურთო კავშირი ლიოვთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ოფიციალურად სწორედ ფარერებთან მატჩის შემდეგ გაამხელს.

*„თუ ფარერებთან მატჩს სერიოზულად მივუდგებით და ასეც იქნება, უპრობლემოდ მოვიგებთ,"* - ამბობს **სამი ხედირა**, რომელიც **ბასტიან შვაინშტაიგერისა** და **ილქაი გიუნდოგანის** არყოფნაში, ავსტრიასთან ძირითად შემადგენლობაში იყო.

### დაცვა დადგა, ჰუმელსი თამაშგარეში?

საფეხბურთო გერმანია ავსტრიასთან გამარჯვების შემდეგ ყველაზე მეტად იმის გამოა კმაყოფილი, რომ ბუნდესგუნდმა კარი მშრალად შეინახა. ბოლო დროს ლიოვს ისტერიულად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ბუნდესგუნდის დაცვის ხაზს სტაბილურობა მოაკლდა. იოგიმ ავსტრიასთან დაცვის ცენტრში **ჟერომ ბოატენგისა** და **პერ მერტეზაკერის** ტანდემი ათამაშა, დორტმუნდის „ბორუსიას" დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** კი სკამზე დატოვა, რის გამოც ექსპერტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სასტარტოში მსოფლიოს ჩემპიონატზეც ბოატენგი და მერტეზაკერი ითამაშებენ.

*„მინდა ჰუმელსი და მისი გულშემატკივრები დავამშვიდო. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ამ ბიჭს ზურგი ვაქციე. მე ჯერ კიდევ მაქვს მისი იმედი და ძალიან ვგულშემატკივრობ,"* - უთხრა ლიოვმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს, თუმცა ცხადია, რომ ამ ეტაპზე ბოატენგს ანიჭებს უპირატესობას, რაც იმის დამსახურებაა, რომ ჟერომი „ბაიერნში" სტაბილურად, კარგად თამაშობს.

### ლამის მე-100 და კლოზეს 68-ე

ავსტრიასთან მატჩი კაპიტან **ლამისთვის** და გოლეადორ **მიროსლავ კლოზესთვის** განსაკუთრებული იყო. ფილიპმა გერმანიის ნაკრების ფორმა მეასედ მოირგო, მირომ კი ბუნდესგუნდის ფორმით ჩატარებულ 129-ე შეხვედრაში 68-ე გოლი გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეგენდარული **გერდ მიულერის** რეკორდი გაიმეორა.

*„ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. აქამდე საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშ ვიყავი, რადგან ჩემგან მთელი გერმანია ამ გოლს ელოდებოდა, ახლა კი ტვირთი მომეხსნა,"* - აღნიშნა 35 წლის კლოზემ, რომელსაც გერდის რეკორდის გაუმჯობესების შანსი ფარერებთან არაერთხელ მიეცემა. შეგახსენებთ, რომ კლოზეს ამ რეკორდამდე ერთი გოლი 2012 წლის ოქტომბრიდან აკლდა.

### შმელცერი გადარჩა, ფიზიოთერაპევტი დაშავდა

ავსტრიასთან გერმანელებს „დორტმუნდის" მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** დაუშავდათ, რომელიც ლიოვმა შესვენებაზე **ბენედიქტ ჰიოვედესით** შეცვალა. გუშინ ბუნდესგუნდის სამედიცინო შტაბმა გერმანიის ნაკრებისა და „დორტმუნდის" ქომაგები დაამშვიდა: შმელცერის ტრავმა სერიოზული არაა.

სამაგიეროდ, ფარერებზე ვერ მიემგზავრება გერმანიის ნაკრების ფიზიოთერაპევტი **კლაუს ედერი**, რომელიც იმ დროს დაშავდა, როცა მოედანზე შმელცერისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად შევარდა. ედერს ფეხი დაუცდა და კუნთის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო.

ბუცები ლურსმანზე

# ფრინგსი გაატირლეს!

## ტორსტენი სხვებთან ერთად მათეუსმა, ბალაკმა და შუმახერმაც დააფასეს

შაბათს ბრემენში, „ვეზერშტადიონზე" გერმანიის ნაკრების ყოფილი საყრდენი ნახევარმცველის, **ტორსტენ ფრინგსის** გამოსათხოვარი საღამო გაიმართა. 36 წლის ფრინგსთან დასამშვიდობებლად „ვერდერის" სტადიონის ტრიბუნები ბოლომდე შეივსო (42 100 მაყურებელი) - მოედანზე კი ერთმანეთს ტორსტენის მეგობრები და „ვერდერის" ნაკრები დაუპირისპირდნენ. მატჩი „ვერდერის" ნაკრებმა 8:7 მოიგო, თავად ფრინგსმა კი სამი გოლი გაიტანა.

მსოფლიოს 2002 წლის ვიცე-ჩემპიონმა ჯერ „ვერდერის" ნაკრების შემადგენლობაში გაიტანა, მეორე ტაიმში მეგობრების გუნდში თამაშობდა და კიდევ ორი გოლი შეაგდო. ტორსტენის გამოსათხოვარ მატჩში არაერთმა ცნობილმა ფეხბურთელმა და „ვერდერის" პუბლიკის ყოფილმა ფავორიტებმა ითამაშეს. მოედანზე იყო ბრემენელთა ყოფილი, ბრაზილიელი გოლეადორი **აილტონი**, რომელმაც ასევე გაიტანა (პენალტით) და „ვერდერის" ყოფილი მეკარე **ტიმ ვიზე**, რომელიც ახლა „ჰოფენჰაიმის" სარეზერვო გუნდშია გადასროლილი. ფრინგსი ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა, **ლოთარ მათეუსმა**, **მიხაელ ბალაკმა** და **ბერნდ შნაიდერმაც** დააფასეს. ასეთ მატჩებს არასდროს აკლდება ხოლმე ფორმულა 1-ის ლეგენდა **მიხაელ შუმახერი** და სხვათა შორის, გოლი მანაც გაიტანა.

მატჩის წინ „ვერდერის" პრეზიდენტმა **კლაუს-დიტერ ფიშერმა** ფრინგსს დიდი, 22-ნომრიანი მაისურა გადასცა, რომელიც ყველა იმ გუნდის ფორმების ნაზავია, სადაც ტორსტენს უთამაშია: აახენის „ალემანია", „ვერდერი", გერმანიის ნაკრები, დორტმუნდის „ბორუსია", „ბაიერნი" და „ტორონტო". საპატიო წრე ფრინგსმა ქალიშვილებთან და „ვერედრის" ლეგენდარულ თავკაც **თომას შააფთან** ერთად დაარტყა.

*„შააფი იყო პირველი ადამიანი, ვისაც 16 წლის წინ, „ვერდერში" გადმოსვლამდე ვესაუბრე. სწორედ თომასმა დამარწმუნა იმაში, რომ კარიერა ბრემენულ კლუბში უნდა გამეგრძელებინა და როგორც აღმოჩნდა, ეს ჩემი კარიერის ყველაზე სწორი და იღბლიანი გადაწყვეტილება იყო,"* - განაცხადა ფრინგსმა მატჩის შემდეგ.



ტორსტენ ფრინგსმა აქტიური სპორტული კარიერა ოფიციალურად დაასრულა

მწვრთნელი

# გვარდიოლას ინგლისის ნაკრებში უნდოდა!

## ...მაგრამ ინგლისელებმა პეპს ჰოჯსონი ამჯობინეს

ბრიტანული გამოცემა „ინდეპენდენტის" ცნობით, **ხოსეპ გვარდიოლას** ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობა სურდა. ჩვენი ინგლისელი კოლეგები სანდო წყაროსგან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით წერენ, რომ 2012 წელს გვარდოლა თავისი მრჩევლის მეშვეობით ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას დაუკავშირდა და სამსახური შესთავაზა. ეს ის პერიოდია, როცა 2012 წლის თებერვალში **ფაბიო კაპელო** ყველასათვის მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა და ინგლისი უმწვრთნელოდ დარჩა.

„ინდეპენდენტის" ცნობით, გვარდიოლას ჰქონდა იმის სურვილი, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების დამრიგებელი ყოფილიყო, მაგრამ ინგლისელებმა მას უარი შეუთვალეს! როგორც ირკვევა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ პეპს უარი ისე უთხრა, რომ მოლაპარაკებებიც კი არ გაუმართავს, რის შემდეგაც კაპელო **როი ჰოჯსონმა** შეცვალა.

ასოციაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ხსენებული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, კაპელოს წასვლის შემდეგ მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ინგლისის ნაკრები აუცილებლად ინგლისელ სპეციალისტს უნდა გაეწვრთნა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ხოსეპ გვარდიოლა ახლა მიუნხენის „ბაიერნის" დამრიგებელია

europe-bet.com

# მსაჯობამ გვაჯობა!

მსაჯებისთვის თამაშის წაგების დაბრალება მართებულად არასოდეს მიმაჩნდა, ყოველთვის ვერიდებოდი ამ თემაზე წერას, მაგრამ სლოვენიასთან მატჩის არბიტრებმა თითქოს ღია მწვანე სლოვენიური მაისური გადაიცვეს და საქართველოს წითელი აუნთეს. ამას მხოლოდ საკუთარი შეხედულებით არ ვწერ. თამაშის შემდეგ ვესაუბრე სპეციალისტებს (ცხადია, ქართველებს), რომლებიც ამბობენ, მსაჯობამ დიდი გავლენა იქონია მატჩის შედეგზეო. უამრავი ეპიზოდიდან ერთს გავიხსენებ: საფინალო სირენამდე 8 წუთით ადრე საქართველოს ნაკრებმა 13-ქულიანი ჩამორჩენა 4-მდე რომ დაიყვანა, სლოვენიელებს არაფერი გამოსდიოდათ. **გორან დრაგიჩი** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შეიჭრა ჩვენს ფარქვეშ, სადაც **გიორგი ცინცაძე** დახვდა. დაეჯახა, თავი ასწია, მოძრაობა განაგრძო და ბურთი ისროლა. ჩააგდო. მსაჯებმა იმ ეპიზოდში საქართველოსთვის ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება მიიღეს: გიორგი ცინცაძე დააჯარიმეს (მეოთხე ფოლი), ბურთი ჩათვალეს და დრაგიჩს ჯარიმა ასროლინეს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, სლოვენიელს შეტევაში თუ არ დააჯარიმებდნენ, ბურთი არ უნდა ჩათვლილიყო მაინც... ისიც თქვეს, ევრობასკეტი სხვა ქვეყანაში რომ იმართებოდეს, ლიდერი გორან დრაგიჩი მოედნიდან პირველივე ტაიმში გავარდებოდაო (ფოლების სიჭარბით).

## ტყორცნა

ასეა თუ ისე, 15-კაციან (მსაჯები+კალათბურთელები) სლოვენიას, რომელსაც ხავერდოვანი, ამწვანებული დარბაზი ქომაგობდა, საქართველომ კინაღამ მოუგო. სირენამდე 1:01 წუთით ადრე **ვიქტორ სანიკიძემ** მისთვის ჩვეულად მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა (66:69). **დომენ ლორბეკის** ერთი საჯარიმოს შემდეგ **ბესიკ ლეჟავამ** ორქულიანით სხვაობა ორამდე დაიყვანა (68:70, 31 წამით ადრე) და... გადამწყვეტი აღმოჩნდა **ზორან დრაგიჩის** უხერხული სიტუაციიდან ნატყორცნი ბურთის ჩვენს კალათში ჩაშვება - 72:68. დარჩენილ ექვს წამში თამაშის გადარჩენა ვერ შევძელით.

ეს ბოლო წამებზე მოხდა. მანამდე იყო მონაკვეთი, როცა საქართველოს ნაკრები 11 ქულით იგებდა (26:15) და პირიქით, დიდი სხვაობითაც ჩამორჩა - 33:46. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მაინც ბოლო წამებზე გადაწყდა.

## ტაქტიკა

ალბათ ისიც გაინტერესებთ, რამ განაპირობა სხვაობათა ასეთი ცვალებადობა. დავიწყოთ იქიდან, რომ პირველ მეოთხედში საქართველოს ნაკრების საფირმო ზონური დაცვის წინააღმდეგ მასპინძლებმა ვერაფერი გააწყვეს: „ძალიან გაგვიჭირდა შეტევებისას ბურთის დატრიალება, კომბინაციური თამაში ვერ ავაწყვეთ და თავიდან ამიტომაც ჩამოვრჩით", - თქვა ნამატჩევს სლოვენიელმა **იაკა ლაკოვიჩმა** და დასძინა: „მეორე პერიოდში ტაქტიკა შევცვალეთ, აქცენტი სამქულიანებზე გადავიტანეთ და შედეგიც მივიღეთ".

### ქრონოლოგია

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 09:37 | ვილმარი (სლო) 2ქ | 46:56 |
| 09:20 | ცინცაძე (საქ) 2+1ქ | 49:56 |
| 08:37 | პიკმანი (საქ) 1+1ქ | 51:56 |
| 08:07 | პიკმანი (საქ) 3ქ | 54:56 |
| 07:53 | დრაგიჩი (სლო) 2ქ | 54:58 |
| 06:52 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 56:58 |
| 05:16 | ბლაჟიჩი (სლო) 2ქ | 56:60 |
| 04:17 | მარკოიშვილი (საქ) 1ქ | 57:60 |
| 03:27 | მარკოიშვილი (საქ) 2ქ | 59:60 |
| 03:11 | ლორბეკი (სლო) 1+1ქ | 59:62 |
| 02:45 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 61:62 |
| 01:47 | ლორბეკი (სლო) 3ქ | 61:65 |
| 01:34 | ლორბეკი (სლო) 2ქ | 61:67 |
| 01:31 | პიკმანი (საქ) 1+1ქ | 63:67 |
| 01:12 | დრაგიჩი (სლო) 2ქ | 63:69 |
| 01:01 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 66:69 |
| 00:42 | ლორბეკი (სლო) 1ქ | 66:70 |
| 00:31 | ლეჟავა (საქ) 2ქ | 68:70 |
| 00:06 | დრაგიჩი (სლო) 2ქ | 68:72 |

7 სექტემბერი. ცელიე. ცელიე არენა. 4 580 მაყურებელი

## საქართველო 68:72 სლოვენია

19-13, 13-31, 14-10, 22-18

მსაჯები: პეტარ ობრადოვიჩი (ბოსნია), ოლეგს ლატიშევსი (ლატვია), კრის დოდსი (შოტლანდია)

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. ბურჯანაძე | 3 | 0/2 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/2 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -3 | 0 |
| *8. ცინცაძე | 36 | 3/9 | 33,3 | 3/5 | 60,0 | 0/4 | 0,0 | 4/5 | 80,0 | 0 | 1 | 1 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 3 | -1 | 10 |
| *9. შერმადინი | 29 | 2/5 | 40,0 | 2/5 | 40,0 | 0/0 | 0,0 | 3/6 | 50,0 | 2 | 3 | 5 | 0 | 2 | 1 | 0 | 3 | 6 | 0 | 7 |
| 10. პიკმანი | 29 | 6/14 | 42,9 | 4/8 | 50,0 | 2/6 | 33,3 | 5/6 | 83,3 | 3 | 4 | 7 | 1 | 3 | 2 | 0 | 3 | 6 | 1 | 19 |
| *11. მარკოიშვილი | 35 | 3/12 | 25,0 | 2/6 | 33,3 | 1/6 | 16,7 | 3/4 | 75,0 | 1 | 4 | 5 | 3 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 | -5 | 10 |
| *12. ფაცაცია | 16 | 1/3 | 33,3 | 1/2 | 50,0 | 0/1 | 0,0 | 0/1 | 0,0 | 3 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 3 | 2 | 2 |
| *13. სანიკიძე | 37 | 5/11 | 45,5 | 3/6 | 50,0 | 2/5 | 40,0 | 5/6 | 83,3 | 3 | 10 | 13 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 6 | -1 | 17 |
| 14. ლეჟავა | 4 | 1/1 | 100,0 | 1/1 | 100,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -9 | 2 |
| 15. ცქიტიშვილი | 11 | 0/5 | 0,0 | 0/5 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 1/2 | 50,0 | 3 | 1 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | -4 | 1 |
| გუნდი | | | | | | | | | | 4 | 2 | 6 | | 0 | | | 1 | | | |
| ჯამი | | 21/62 | 33,9 | 16/38 | 42,1 | 5/24 | 20,8 | 21/30 | 70,0 | 20 | 25 | 45 | 12 | 13 | 6 | 0 | 23 | 27 | | 68 |

*შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, +/- - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.*

| სლოვენია | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. ლაკოვიჩი | 17 | 2/10 | 20,0 | 0/2 | 0,0 | 2/8 | 25,0 | 0/2 | 0,0 | 0 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 2 | 3 | 0 | 6 |
| *6. ბალაჟიჩი | 11 | 0/3 | 0,0 | 0/2 | 0,0 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 4 | 0 | -4 | 0 |
| 7. იოქსიმოვიჩი | 12 | 2/2 | 100,0 | 1/1 | 100,0 | 1/1 | 100,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 | 1 | -12 | 5 |
| 8. მურიჩი | 4 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -8 | 0 |
| *9. ბლაჟიჩი | 21 | 2/4 | 50,0 | 2/3 | 66,7 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 2 | 2 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 4 |
| 10. ნახბარი | 28 | 3/5 | 60,0 | 2/2 | 100,0 | 1/3 | 33,3 | 0/0 | 0,0 | 1 | 8 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 2 | 8 | 7 |
| *11. გ. დრაგიჩი | 21 | 4/9 | 44,4 | 4/6 | 66,7 | 0/3 | 0,0 | 3/5 | 60,0 | 0 | 1 | 1 | 4 | 0 | 1 | 0 | 4 | 4 | 7 | 11 |
| *12. ზ. დრაგიჩი | 20 | 5/10 | 50,0 | 4/6 | 66,7 | 1/4 | 25,0 | 1/2 | 50,0 | 1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 3 | 7 | 12 |
| 13. დ. ლორბეკი | 26 | 5/9 | 55,6 | 1/4 | 25,0 | 4/5 | 80,0 | 4/6 | 66,7 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 3 | 3 | 14 | 18 |
| 14. ვილმარი | 20 | 2/5 | 40,0 | 2/5 | 40,0 | 0/0 | 0,0 | 1/2 | 50,0 | 3 | 3 | 6 | 0 | 0 | 1 | 2 | 2 | 2 | 0 | 5 |
| *15. ბეგიჩი | 20 | 2/3 | 66,7 | 2/3 | 66,7 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 1 | 2 | 3 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 4 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 27/61 | 44,3 | 18/34 | 52,9 | 9/27 | 33,3 | 9/17 | 52,9 | 10 | 25 | 35 | 12 | 14 | 5 | 3 | 27 | 21 | | 72 |



ფარქვეშ უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა

აი შედეგიც: მეორე პერიოდში სლოვენიამ 6 სამქულიანი ჩააგდო (სულ 11) და 10-წუთიანი მონაკვეთი 31:13 მოიგო.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა დაცვა გამოასწორა, ზონაც კარგად გამოსდიოდა და არც პერიმეტრიდან ტყორცნას ანებებდნენ. შეტევაში კი ისედაც არ გამოიყურებოდა ურიგოდ - ჩამორჩენის აღმოფხვრა დროის საქმე იყო, რადგან სლოვენიელებს ვერც ფარქვეშ ჰქონდათ კარგად საქმე (მეტოქის ფარიდან 20 ბურთი მოვხსენით) და ვერც პერიმეტრზე დაალაგეს თამაში.

...ბოლოს რაც მოხდა, უკვე გითხარით.

## კომენტარი

ბოჟიდარ მალკოვიჩი:

- მატჩამდე ჩვენი გუნდის გენერალურ მენეჯერს ვუთხარი, რომ ეს იქნებოდა რთული მატჩი და მაქსიმუმ 5 ქულით თუ მოვიგებდით. მინდა პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო იგორ კოკოშკოვის მიმართ, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია „ფინიქს სანსში", რათა ჩვენი გუნდის წევრი, გორან დრაგიჩი, როგორც კალათბურთელი, განვითარებულიყო.

იგორ კოკოშკოვი:

- ზოგჯერ, 20 ქულის სხვაობით რომ აგებ, თავს უკეთესად გრძნობ, ვიდრე მინიმალური სხვაობით წაგების შემთხვევაში. მეორე მეოთხედში სოლიდური ლიდერობის დაკარგვისა და 13 ქულით ჩამორჩენის შემდეგ ჩვენს მიერ არჩეული ტაქტიკისთვის არ გვიღალატია. მართალია, სლოვენიელებმა ბევრი სამქულიანი ჩაგვიგდეს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვაკლდებოდა რაღაც, ბოლომდე ვერ ვახერხებდით არჩეული გეგმის შესრულებას. ამიტომაც, მეორე ტაიმში მეტი მონდომებით ჩავატარეთ და მოგების შანსიც გვქონდა.

ვიქტორ სანიკიძე:

- 11-ქულიანი უპირატესობა გვქონდა და თამაშიც მიგვყავდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ სლოვენიელებმა ძალიან ბევრი სამქულიანი ჩაგვიგდეს და ჩვენ აღმოვჩნდით მდევრის როლში. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ ბოლოს არ გაგვიმართლა...

## მეტოქეები

**C ჯგუფი**

**ესპანეთი 60**
18:17, 15:8, 14:12, 13:2
**ჩეხეთი 39**

ე: ფერნანდესი (14+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), რუბიო (10), მ. გასოლი (2+10 მოხსნა).
ჩ: ვესელი (7+14 მოხსნა).
**ორქულიანები:** 16/42 (38,1%) - 12/46 (26,1%)
**სამქულიანები:** 6/26 (23,1%) - 3/16 (18,8%)
**საჯარიმოები:** 10/13 (76,9%) - 6/8 (75,0%)
**მოხსნები:** 45-46. **პასები:** 14-9. **შეცდომები:** 14-20.

**გადამწყვეტი მომენტი:** ესპანეთს თითქმის მთელი თამაში შეტევა არ გამოსდიოდა (მაგალითისთვის, **მარკ გასოლმა** 31 წუთში მხოლოდ 2 ქულ დააგროვა), სამაგიეროდ, დაცვაში ითამაშა ბრწყინვალედ. მეორე ტაიმში იყო მომენტი, როცა ჩეხეთმა ცხრა წუთის განმავლობაში ვერ შეძლო ქულის აღება.

**მატჩის გმირი:** **რუდი ფერნანდესმა** ორივე გუნდში ყველაზე მეტი - 14 ქულა დააგროვა და რვა მოხსნაც შეასრულა. საწყის მეოთხედში მნიშვნელოვანი იყო მისი ხუთი ქულა, აგრეთვე სამქულიანი მეორე მეოთხედში, როცა ჩეხეთმა ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა.

**ხორვატია 74**
24:12, 17:20, 19:12, 12:21
**პოლონეთი 70**

ხ: ბოგდანოვიჩი (23+6 მოხსნა), სიმონი (14+6 პასი), უკიჩი (10+6 პასი).
პ: იგნერსკი (22+12 მოხსნა), შუბარგა (14+4 პასი+3 ჩაჭრა), გორტატი (14+3 დაფარება).
**ორქულიანები:** 15/34 (44,1%) - 17/33 (51,5%)
**სამქულიანები:** 9/23 (39,1%) - 9/29 (31,0%)
**საჯარიმოები:** 17/27 (63,0%) - 9/16 (56,3%)
**მოხსნები:** 37-37. **პასები:** 21-18. **შეცდომები:** 17-17.

**გადამწყვეტი მომენტი:** საფინალო სირენამდე წუთითა და 52 წამით ადრე, ხორვატია მხოლოდ ერთ ქულას იგებდა – 68:67. **ანტე ტომიჩმა** სამწამიანიდან ააცილა, მაგრამ **დამირ მარკოტამ** შეტევაში მოხსნა ბურთი და სამ ქულამდე გაზარდა ხორვატების უპირატესობა. პოლონეთმა სამქულიანით სცადა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ააცილა და ახლა, მარკოტამ საკუთარ ფარზე იყოჩაღა, მისი პასით კი **ბოიან ბოგდანოვიჩმა** საფინალო სირენამდე 12 წამით ადრე 72:67 გახადა ანგარიში.

**მატჩის გმირი:** **კრუნოსლავ სიმონმა** საწყის ექვს წუთში მოწყობი 24:4 სპურტისას რვა ქულა მიითვალა; ბოგდანოვიჩმა 10 ქულა ჩააგდო მესამე მეოთხედში, როცა პოლონეთი პირველად მიუახლოვდა მეტოქეს; და მაინც, მთავარი სიტყვა მარკოტამ თქვა ბოლო 90 წამში შესრულებული სამი მოხსნით.

**პოლონეთი 53**
5:25, 8:24, 17:27, 23:13
**ესპანეთი 89**

პ: ზამოისკი (11), ლამპე (10).
ე: რუბიო (15+5 პასი), ფერნანდესი (13+4 პასი), რეი (12), როდრიგესი (11+4 პასი).
**ორქულიანები:** 12/34 (35,3%) - 21/35 (60%)
**სამქულიანები:** 6/20 (30%) - 12/28 (42,9%)
**საჯარიმოები:** 11/13 (84,6%) - 11/14 (78,6%)
**მოხსნები:** 36-30. **პასები:** 8-23. **შეცდომები:** 21-8.

**გადამწყვეტი მომენტი:** ამ მატჩში ყველაფერი პირველ მეოთხედში გადაწყდა, როცა ესპანელი 15:0 გაიქცა და 10-წუთეული 25:5 მოიგო.

**მატჩის გმირი:** ამ ნომინაციაში უნდა გამოვყოთ ესპანეთის დაცვა. პირენეელებმა კვლავ ბრწყინვალედ დაიცვეს თავი, რაც უკვე ტრადიცია გახდა: ხორვატიასთან 40 ქულა გაუშვეს, ჩეხეთთან - 39, პოლონეთთან - 53.

**სლოვენია 74 (ო)**
20:17, 21:17, 16:20, 8:10, 9:11
**ხორვატია 76**

ხ: გ. დრაგიჩი (23+8 მოხსნა+5 პასი), ლორბეკი (16+6 მოხსნა), ზ. დრაგიჩი (11+8 მოხსნა).
ხ: ბოგდანოვიჩი (24+7 მოხსნა), ტომიჩი (11+15 მოხსნა), უკიჩი (10).
ორქულიანები: 15/43 (34,9%) - 19/50 (38%)
სამქულიანები: 8/30 (26,7%) - 7/21 (33,3%)
საჯარიმოები: 20/28 (71,4%) - 17/25 (68%)
მოხსნები: 53-50. პასები: 14-16. შეცდომები: 8-5.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 286-210 | 7 |
| 2. სლოვენია | 4 | 3 | 1 | 286-273 | 7 |
| 3. ხორვატია | 4 | 3 | 1 | 267-288 | 7 |
| 4. ჩეხეთი | 4 | 2 | 2 | 263-269 | 6 |
| 5. საქართველო | 4 | 1 | 3 | 307-311 | 5 |
| 6. პოლონეთი | 4 | 0 | 4 | 258-316 | 4 |

ბოლო ტური. 9 სექტემბერი. საქართველო-ესპანეთი (16:30), ხორვატია-ჩეხეთი (19:45), სლოვენია-პოლონეთი (23:00).

გია თვალაბეიშვილი

EUROBASKET 2013
სლოვენია. 4-22 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხეთმა ლიუბლიანის კარი დაგვიხურა

8 სექტემბერი. ცელიე. ცელიე არენა. 1 290 მაყურებელი

**საქართველო 79:95 ჩეხეთი**
15-26, 20-28, 19-21, 25-20

**მსაჯები:** მ. იოვჩიჩი (სერბეთი), ი. ლავრინოვიჩუსი (ლიტვა), გ. ჩიჩი (ალბანეთი)

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. მეტრეველი | 2 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -2 | 0 |
| 6. სანაძე | 5 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 7 | 0 |
| 7. ბურჯანაძე | 4 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| *8. ცინცაძე | 38 | 8/19 | 42,1 | 8/13 | 61,5 | 0/6 | 0,0 | 4/6 | 66,7 | 1 | 3 | 4 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 5 | -11 | 20 |
| *9. შერმადინი | 28 | 7/10 | 70,0 | 7/10 | 70,0 | 0/0 | 0,0 | 4/5 | 80,0 | 6 | 3 | 9 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 | 5 | -3 | 18 |
| 10. ჰიქმანი | 26 | 1/4 | 25,0 | 1/2 | 50,0 | 0/2 | 0,0 | 2/2 | 100,0 | 1 | 4 | 5 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | -28 | 4 |
| *11. მარკოიშვილი | 32 | 7/13 | 53,8 | 3/5 | 60,0 | 4/8 | 50,0 | 2/2 | 100,0 | 1 | 0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | -16 | 20 |
| *12. ფაჩულია | 14 | 1/2 | 50,0 | 0/1 | 0,0 | 1/1 | 100,0 | 0/0 | 0,0 | 1 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 1 | 12 | 3 |
| *13. სანიკიძე | 36 | 4/13 | 30,8 | 3/6 | 50,0 | 1/7 | 14,3 | 1/4 | 25,0 | 1 | 4 | 5 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 4 | -11 | 10 |
| 14. ლეჟავა | 5 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | -12 | 0 |
| 15. ცქიტიშვილი | 11 | 2/5 | 40,0 | 2/4 | 50,0 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | -16 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 2 | 2 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 30/68 | 44,1 | 24/41 | 58,5 | 6/27 | 22,2 | 13/19 | 68,4 | 13 | 21 | 34 | 13 | 10 | 3 | 2 | 24 | 18 | | 79 |

*შენიშვნა:* ***წთ*** *- წუთი,* ***ს-თ*** *- სროლა თამაშიდან,* ***2ქ*** *- ორქულიანი,* ***3ქ*** *- სამქულიანი,* ***1ქ*** *- საჯარიმო,* ***მ-მ*** *- მოხსნა მეტოქის ფარზე,* ***მ-ს*** *- მოხსნა საკუთარ ფარზე,* ***მ*** *- მოხსნა სულ,* ***პ*** *- პასი,* ***შ*** *- შეცდომა,* ***ჩ*** *- ჩაჭრა,* ***დ*** *- დაფარება,* ***ფ*** *- ფოლი,* ***ფ-მ*** *- ფოლი მეტოქეს, +/- - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას,* ***ქ*** *- ქულა.*

| ჩეხეთი | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. ბენდა | 11 | 3/3 | 100,0 | 3/3 | 100,0 | 0/0 | 0,0 | 2/2 | 100,0 | 0 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 8 |
| 5. ბალვინი | 11 | 2/2 | 100,0 | 2/2 | 100,0 | 0/0 | 0,0 | 2/2 | 100,0 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 | 1 | -5 | 6 |
| *6. პუმპრლა | 25 | 4/6 | 66,7 | 4/5 | 80,0 | 0/1 | 0,0 | 2/2 | 100,0 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 1 | 24 | 10 |
| *7. პრუბანი | 25 | 0/6 | 0,0 | 0/3 | 0,0 | 0/3 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 1 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 | -2 | 0 |
| *8. სატორანსკი | 28 | 8/15 | 53,3 | 7/11 | 63,6 | 1/4 | 25,0 | 3/5 | 60,0 | 2 | 4 | 6 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5 | 19 | 20 |
| 9. ველში | 17 | 0/4 | 0,0 | 0/4 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/2 | 0,0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 3 | 0 |
| 10. ჰოუსკა | 10 | 2/3 | 66,7 | 2/3 | 66,7 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 9 | 4 |
| 11. ბარტონი | 20 | 1/3 | 33,3 | 0/1 | 0,0 | 1/2 | 50,0 | 6/6 | 100,0 | 0 | 4 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 1 | 4 | 9 |
| 12. ჟელინეკი | 20 | 3/7 | 42,9 | 2/4 | 50,0 | 1/3 | 33,3 | 4/4 | 100,0 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 11 | 11 |
| 13. კუდლაჩეკი | 5 | 0/1 | 0,0 | 0/1 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | -7 | 0 |
| 14. სვრდლიკი | 1 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0/0 | 0,0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *15. ვესელი | 27 | 12/14 | 85,7 | 12/14 | 85,7 | 0/0 | 0,0 | 3/8 | 37,5 | 5 | 5 | 10 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 6 | 24 | 27 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 2 | 2 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 35/64 | 54,7 | 32/51 | 62,7 | 3/13 | 23,1 | 22/31 | 71,0 | 13 | 28 | 41 | 20 | 12 | 6 | 1 | 18 | 22 | | 95 |

– ჩეხებთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრები მზად არ აღმოჩნდა ფიზიკურად, მენტალურად და ფსიქოლოგიურად, რაზეც დიდი გავლენა მოახდინა სლოვენიელებთან წინა დღეს გამართულმა მატჩმა, რომელსაც დიდი ენერგია შევალიეთ. ჩეხეთი ჩვენზე სწრაფად დარბოდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ამის მიუხედავად ჩემი კალათბურთელების მიმართ კომპლიმენტის გარდა არაფერი მეთქმის, მათ ბოლომდე იბრძოლეს ოთხივე შეხვედრაში. წაგებას საკუთარ თავზე ვიღებ - ასეთი იყო ქართველთა მწვრთნელის **იგორ კოკოშკოვის** კომენტარი ჩეხეთთან თამაშის შემდეგ.

## გათვლა

მწვრთნელს უნდა დავეთანხმოთ, სლოვენიასთან ბოლო წამებამდე ბრძოლამ დიდი ენერგია წაიღო, რისი აღდგენაც ერთ დღეში მეტად რთულია. ეს ჩვენც კარგად ვიცოდით და ჩეხეთმაც. ჰოდა, მთავარმა მწვრთნელმა **პაველ ბუდინსკიმ** შეგირდებს თავიდანვე მაღალ ტემპში თამაში დაავალა, რადგან იმედი ჰქონდა, წინა დღის ნაბრძოლ ქართველებს ადრე თუ გვიან დაღლა დაეტყობოდათ. ჩეხებმა ხომ ისიც იცოდნენ, რომ ძირითადად ხუთ კალათბურთელზე გადადის თამაშის სიმძიმე... კიდევ ერთი გათვლა - სწრაფი შეტევის შემთხვევაში ქართველებს დაცვაში დალაგების შანსი მოესპობოდათ. არადა, ჩვენი ზონური დაცვა არათუ პოლონელებისთვის, სლოვენიელებისა და ხორვატებისთვისაც გაუვალი აღმოჩნდა (მათ სამქულიანებით გვაჯობეს).

## შესრულება

ჩვენი მეტოქის გათვლამ შედეგი გამოიღო: ჩეხები საკუთარ ნახევარზე ბურთს დაეუფლებოდნენ თუ არა, თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ ჩვენი კალათისკენ. იყო ისეთი შემთხვევები, როცა გაქცევა არ სჭირდებოდათ - ჩვენს საჯარიმოში ბურთს ერთი ჩეხი ელოდა და გრძელი პასის შემდეგ თავისუფლად ლაშქრავდა კალათს.

მეორე პერიოდის შუაში ტაბლოზე ისეთი ანგარიში ეწერა, იქითკენ გახედვა არ მოგინდებოდა - 39:20. როცა სწრაფ თამაშზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ **ბექა ბურჯანაძის** თანაგუნდელის (ესპანურ „კახასოლში") **ტომას სატორანსკისა** და „ვაშინგტონ უიზარდსის" ცენტრის **იან ვესელის** გარჯას. ტემპს სწორედ გამთამაშებელი ტომასი აკონტროლებდა, ხოლო NBA-ელი იანი საჭირო მომენტში საჭირო ადგილას ჩნდებოდა. უმთავრესად სწორედ მისი დამსახურებაა, მოხსნებში 34:41 რომ წავაგეთ, ხოლო სამწამიანი ზონიდან მიღებულ ბურთებში საერთოდ ანტირეკორდი დაფიქსირდა: ფარქვეშიდან ჩეხეთმა 60 ქულა მოაგროვა.



ბურთით საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე

## ერთიც და...

ჩეხეთთან დამარცხების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა. გუნდის გამოსვლას ევრობასკეტზე ახლო მომავალში კიდევ შევაფასებთ, დასკვნის სახით კი ჩეხების მწვრთნელის პაველ ბუდინსკის სიტყვებს გამოვიყენებთ:

- საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე დიდებულად ითამაშა, სანახაობრივი კალათბურთი უჩვენა და ამიტომ ერთი-ორად გასახარია ასეთ გუნდთან გამარჯვება.

■ ■ ■

დღეს, თბილისის დროით 16:30 საათზე ესპანეთის ნაკრებთან ჯგუფის ბოლო მატჩი გველის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ჩილე და კოლუმბია ბრაზილიას მიუახლოვდნენ

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სამხრეთ ამერიკის ჯგუფში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა და ბევრი რამ გაირკვა...**



ლუის სუარესმა ურუგვაის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამი ქულა მოუტანა

### XV ტური

**კოლუმბია–ეკვადორი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჯ. როდრიგესი (30)

**კოლუმბია (4-4-2):** ოსპინა - სუნიგა, კ. ვალდესი, ლ. პერეა, არმერო - კ. სანჩესი, ა. აგილარი (46. კუადრადო), მ. ტორესი (75. მეხია), ჯ. როდრიგესი - ფალკაო, ტ. გუტიერესი (82. ჯ. მარტინესი)

**ეკვადორი (4-4-1-1):** ბანგერა - რეასკო, ახილიერი, ერასო, ვ. აიოვი - ა. ვალენსია, კასტილიო, ე. მენდესი (46. გაგა), ნობოა - ჯეფერსონ მონტერო (77. იბარა) - ე. ვალენსია (69. როხასი)

პენალტი ვერ გაიტანა: ვ. აიოვი (61. ეკვადორი)

**გაფრთხილება:** კ. ვალდესი, კ. სანჩესი, არმერო - როხასი

**გაძევება:** ახილიერი (28. ეკვადორი)

**პარაგვაი–ბოლივია 4:0**

**გოლები:** 1:0 ფაბრო (16), 2:0 სანტა კრუსი (47), 3:0 რ. ორტისი (80), 4:0 გ. გომესი (84)

**პარაგვაი (3-5-2):** ა. სილვა - კანდია, პ. და სილვა, გ. გომესი - ვ. აიალა, პიტონი (71. ს. აკინო), რ. ორტისი, სამუდიო, ფაბრო (66. სანაბრია) - სანტა კრუსი, ა. რომერო (65. ო. რომერო)

**ბოლივია (5-4-1):** გალარსა - ე. როდრიგესი, სენტენო (46. რ. კარდოსო), რალდესი, კაბრერა, ლ. გუტიერესი - ასოგე, ხ. ჩავესი (68. მაიგა), ბეხარანო, ვ. არსე (46. ხ. არსე) - მ. მორენო

**გაფრთხილება:** - ლ. გუტიერესი, ბეხარანო

**ჩილე–ვენესუელა 3:0**

**გოლები:** 1:0 ე. ვარგასი (10), 2:0 მარკოს გონსალესი (30), 3:0 ვიდალი (85)

**ჩილე (4-4-2):** კ. ბრავო - ისლა, მედელი, მარკოს გონსალესი, მენა - არანგისი (58. დ. პისარო), მ. დიასი, ვიდალი, ვალდივია (73. ბოსეჟური) - ე. ვარგასი (84. ა. ენრიკესი), ა. სანჩესი

**ვენესუელა (4-2-2-2):** დანი ერნანდესი - რ. როსალესი, ვისკარონდო, პეროსო, სიჩერო (44. ა. გონსალესი) - ლუსენა, სეიხასი (79. ოტერო) - ს. გონსალესი (70. ოროსკო), არანგო - ს. რონდონი, ი. მარტინესი

**გაფრთხილება:** - ვისკარონდო, პეროსო, რ. როსალესი

**პერუ–ურუგვაი 1:2**

**გოლები:** 0:1 სუარესი (43-პენ), 0:2 სუარესი (67), 1:2 ფარფანი (84)

**პერუ (4-4-2):** რაულ ფერნანდესი - ადვინკულა (65. ერერა), კ. რამოსი, ა. როდრიგესი, იოტუნი - კრუსადო, ბალიონი (46. ხ. ვარგასი), ლ. რამირესი (66. პ. ურტადო), ფარფანი - კ. პისარო, გერერო

**ურუგვაი (4-3-3):** მუსლერა - მაქსი პერეირა, ლუგანო, გოდინი, მ. კასერესი (81. ფუსილე) - გარგანო (70. ა გონსალესი), არევალო რიოსი, კ. როდრიგესი - ფორლანი (25. სტუანი), სუარესი, კავანი

**გაფრთხილება:** ადვინკულა, ფარფანი - ლუგანო, გოდინი, კავანი

**გაძევება:** იოტუნი (45. პერუ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 13 | 7 | 5 | 1 | 25-9 | 26 |
| 2. კოლუმბია | 13 | 8 | 2 | 3 | 22-7 | 26 |
| 3. ჩილე | 14 | 8 | 0 | 6 | 24-21 | 24 |
| 4. ეკვადორი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-13 | 21 |
| 5. ურუგვაი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-22 | 19 |
| 6. ვენესუელა | 14 | 4 | 4 | 6 | 10-17 | 16 |
| 7. პერუ | 13 | 4 | 2 | 7 | 13-19 | 14 |
| 8. პარაგვაი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-23 | 11 |
| 9. ბოლივია | 14 | 2 | 4 | 8 | 15-28 | 10 |

**ბომბარდირები:** 10 - სუარესი (ურუგვაი); 9 - იგუაინი (არგენტინა); 8 - მესი (არგენტინა); 7 - ფალკაო (კოლუმბია)

### მომდევნო ტური

11 სექტემბერი: **ბოლივია-ეკვადორი, ურუგვაი-კოლუმბია, ვენესუელა-პერუ, პარაგვაი-არგენტინა.**

### თითქმის მუნდიალზე

კოლუმბიამ და ჩილემ მორიგი მატჩები მოიგეს და ფინალური ეტაპისკენ ბოლოსწინა ნაბიჯები გადადგეს. **ხოსე ნესტორ პეკერმანის** გუნდის მეტოქე ეკვადორის ნაკრები იყო, რომელიც გასვლაზე ტრადიციულად ცუდად თამაშობს. კოლუმბიელებმა მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს, მაგრამ ერთ გოლზე მეტი ვერ გაიტანეს და მეტიც, კინაღამ ორი ქულაც დაკარგეს.

ძლიერი წვიმის გამო, შეხვედრა საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო, ხოლო მატჩის დროს განათებაც გამოირთო და თამაში 20 წუთით შეწყდა.

„როდესაც თამაშისთვის ემზადები, გარკვეული გეგმა გაქვს შემუშავებული და უცებ ჯერ ასეთი წვიმა მოდის, შემდეგ კი შუქიც ქრება, ყველაფერი თავდაყირა დგება და ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება ძალიან რთულია," - განაცხადა თამაშის შემდეგ პეკერმანმა.

არგენტინელი მწვრთნელი გუნდის გარჯით კმაყოფილი დარჩა, თუმცა ფინალურ ეტაპზე ჯერ არ საუბრობს: „დღეს ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ საგზური ჯერ არ მოგვიპოვებია".

შეხვედრის ერთადერთი გოლი **ჯეიმს როდრიგესმა** მატჩის 30-ე წუთზე გაიტანა, ამ მომენტამდე ორი წუთით ადრე კი სტუმრებს **გაბრიელ ახილიერი** გაუძევეს. მიუხედავად ამისა, როგორც ალვნიშნეთ, ეკვადორს ქულის მოპოვების შანსი ჰქონდა - 61-ე წუთზე **რეინალდო რუედას** შეგირდებმა პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ სტუმართა ყველაზე გამოცდილმა წევრმა **ვალტერ აიოვიმ** 11-მეტრიანი ძალიან ცუდად შეასრულა.

ამ მოგების წყალობით კოლუმბია სატურნირო ცხრილში არგენტინას წამოეწია და თუ მომდევნო ტურში ურუგვაისთან არ წააგებს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლებასაც მიიღებს.

### ზედიზედ მეოთხე

ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ჩილეს ნაკრებმა. **ხორხე სამპაოლის** შეგირდებმა ვენესუელა გაანადგურეს და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღეს. შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა 2-წლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ გუნდში დაბრუნებულმა **ხორხე ვალდივიამ.** სწორედ „პალმეირასის" 29 წლის ნახევარმცველის გადაცემის შემდეგ გახსნა ანგარიში **ედუარდო ვარგასმა**, რომელმაც ნაკრებში თავის გამოჩენა ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში შეძლო. ამის შემდეგ, ვენესუელამ კი შეუტია, მაგრამ გოლი აქეთ გაუშვა - **არტურო ვიდალის** თავური **დანი ერნანდესმა** კი მოიგერია, მაგრამ ბურთი **მარკოს გონსალესს** მიუვიდა და „ფლამენგოს" ცენტრალურმა მცველმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა - 2:0.

„მიუხედავად ამხელა პაუზისა, მას გუნდთან შეთამაშება და შეგუება არ გასჭირვებია, რადგან ვალდივია უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. ხორხე შეტევებს ინყებდა, ბურთს ანაწილებდა, სანჩესთან და ვიდალთან ერთად მშვენივრად კომბინირებდა... მოკლედ, მისი თამაშით უაღრესად კმაყოფილი ვარ, თანაც გაითვალისწინეთ, რომ ხორხე საუკეთესო ფორმაში ჯერ კიდევ არ არის," - განაცხადა სამპაოლიმ.

მეორე ტაიმში მოედანზე **დავიდ პისაროც** გამოჩნდა, რომელიც ნაკრებს რამდენიმე თვის წინ, 8-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. პისაროს და ვალდივიას დამატებით ჩილეს ნაკრები კიდევ უფრო ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა გახდა, რომელსაც ბრაზილიის მუნდიალზე სერიოზული სიურპრიზის შემოთავაზებაც შეუძლია. შეხვედრის მესამე და უკანასკნელი გოლი კი ვიდალმა გაიტანა. „იუვეს" ნახევარმცველმა შესარჩევი ეტაპის ზედიზედ მესამე მატჩში მოახერხა თავის გამოჩენა.

ამ მარცხის გამო, ვენესუელას მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. **სესარ ფარიასის** შეგირდებმა ორივე დარჩენილი შეხვედრა (ორივე შინ, პერუსთან და პარაგვაისთან) უნდა მოიგონ და იმედოვნონ, რომ კონკურენტები (ეკვადორი და ურუგვაი) ქულებს უხვად დაკარგავენ.

### ურუგვაი ჯერ კიდევ იბრძვის

**ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** გუნდმა უმძიმესი და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ურუგვაიმ სტუმრად პერუ დაამარცხა და მეხუთე პოზიცია შეინარჩუნა, თუმცა მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონებს ძალიან მძიმე კალენდარი აქვთ და არაა გამორიცხული, დარჩენილი სამი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგონ. მომდევნო ტურში ურუგვაი კოლუმბიას მასპინძლობს, შემდეგ სტუმრად ეკვადორს ეწვევა, ბოლო ტურში კი არგენტინას დახვდება. თავადაც ხვდებით, რომ ლიმაში გამართული მატჩი „სელესტესთვის" ე.წ. 6-ქულიან მატჩზე მეტი იყო.

შეხვედრის გმირი **ლუის სუარესი** გახდა - „ლივერპულის" ფორვარდმა დუბლი შეასრულა და შესარჩევი ეტაპის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. სტუმართა გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის **იოშიმარ იოტუნის** გაძევებას - „ვასკო და გამას" ფეხბურთელმა პირველი ტაიმის მიწურულს, ლუის სუარესს ბურთი ესროლა, პირდაპირ წითელი ბარათი მიიღო და საკუთარი გუნდი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. **სერხიო მარქარიანის** შეგირდებმა 84-ე წუთზე სხვაობა კი შეამცირეს (**ფარფანი**), მაგრამ მეტის გასაკეთებლად პერუს არც დრო ეყო და არც რესურსი.

კიდევ ერთ შეხვედრაში, პარაგვაიმ ბოლივია გაანადგურა და მეხუთე ადგილის დაკავების თეორიული შანსი შეინარჩუნა, თუმცა ეს შანსი იმდენად მიზერულია, რომ მასზე საუბარი არც კი ღირს.

● მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

# გრანდების მარცხი

## დე ლა ტორე გააგდეს

**კონკაკაფის ზონის მორიგ ტურში ორივე გრანდი, აშშ და მექსიკა, დამარცხდა, კოსტა რიკის ნაკრებმა კი ფინალური ეტაპის საგზური 90 პროცენტით გაინაღდა...**

### VII ტური

**მექსიკა–ჰონდურასი 1:2**

გოლები: 1:0 პერალტა (5), 1:1 ბენგტსონი (63), 1:2 კოსტლი (66)

**პანამა–იამაიკა 0:0**

გაძევება: ოსტინი (58. იამაიკა)

**კოსტა რიკა–აშშ 3:1**

გოლები: 1:0 ჯ. აკოსტა (2), 2:0 ბორხესი (10), 2:1 დემპსი (43-პენ), 3:1 ჯ. კემპბელი (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსტა რიკა | 7 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 14 |
| 2. აშშ | 7 | 4 | 1 | 2 | 8-6 | 13 |
| 3. ჰონდურასი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-8 | 10 |
| 4. მექსიკა | 7 | 1 | 5 | 1 | 4-4 | 8 |
| 5. პანამა | 7 | 1 | 4 | 2 | 5-7 | 7 |
| 6. იამაიკა | 7 | 0 | 3 | 4 | 2-8 | 3 |

### მომდევნო ტური

11 სექტემბერი: **იამაიკა-კოსტა რიკა, აშშ-მექსიკა, ჰონდურასი-პანამა**

ამ ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილში კოსტა რიკის ნაკრებიც გალიდერდა, რომელმაც შინ აშშ-ს სძლია და ერთი ქულით გადაასწრო. ამ მოგებით, **ხორხე პინტოს** შეგირდებმა მუნდიალის ფინალური ეტაპისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგეს - მიზნის მისაღწევად, დარჩენილ სამ ტურში კოსტა რიკას 3 ქულაც ეყოფა...

დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობაშია აშშ-ის ნაკრებიც. მიუხედავად მარცხისა, **იურგენ კლინსმანის** გუნდი თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს და მეოთხე ადგილზე მყოფ მექსიკას 5 ქულით უსწრებს. მომდევნო ტურში ერთმანეთს სწორედ აშშ და მექსიკა ხვდებიან და სტუმრებს მოედანზე დროებითი მწვრთნელი, **ლუის ფერნანდო ტენა** გაიყვანს.

დიახ, **ხოსე მანუელ დე ლა ტორე** მექსიკის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის, რაც დიდად გასაკვირი არაა - მის გაგდებაზე ხომ ჯერ კიდევ კონფედერაციათა თასის დროს საუბრობდნენ. „ელ ტრიმ" მორიგი შეხვედრა ჰონდურასთან წააგო და მეოთხე ადგილამდე დაეშვა. მომდევნო ტურზე უკვე მოგახსენეთ, ბოლოსწინა შეხვედრაში მექსიკა პანამას უმასპინძლებს, უკანასკნელ ტურში კი კოსტა რიკას ეწვევა. კალენდრის გათვალისწინებით, თავისუფლად შესაძლებელია, რომ მექსიკა მეოთხე ადგილის გარეშეც კი დარჩეს.

შეგახსენებთ, რომ კონკაკაფის ზონიდან პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები მუნდიალზე პირდაპირ ხვდებიან, მეოთხე ადგილზე გასული კი საგზურს პლეი ოფში, ახალ ზელანდიასთან გაითამაშებს.



მექსიკამ მწვრთნელს კარზე მიუთითა

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# თელიანში სეზონი დასრულდა

ქასპის რაიონის სოფელი თელიანი (ადრინდელი ყარალაჯი) ჭიდაობის სიყვარულითაა ცნობილი. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში აქ საქართველოს რამდენიმე გზის ჩემპიონით **სულხან ბახტაძით** ამაყობდნენ, ამჟამად კი ძიუდოში ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** ჰყავთ. სულხან ბახტაძის შვილიშვილებმა ნახერხმოყრილ სარბიელზე წლეულს მეოთხედ ჩაატარეს პაპის მემორიალური ტურნირი შიდა ქართლის რაიონების, ახალციხისა და თბილისის მოჭიდავეების მონაწილეობით. სხვათა შორის, თელიანში საჭიდაო არენა ამირან პაპინაშვილის სახლის გვერდითაა, აქვე ჭიდაობაში პირველი ნაბიჯები მისმა პატარა ძმამ ჯაბამაც გადადგა და აღმოჩნდა, რომ უფროს ძმას ღირსეულად გვერდით დგომას უპირებს. 14 წლის **ჯაბა პაპინაშვილს** ტექნიკა და ფიზიკური მომზადება არ დაეწუნება, თუმცა მოხერხებაც ძალიან კარგი ჰქონია. სწორედ მოხერხების ხარჯზე პატარა ჯაბა მხოლოდ თავის წონაში (40 კგ) კი არა, 45 კგ-შიც გავიდა ფინალში. პირველ წონაში რომ გაიმარჯვა და 45 კგ-შიც გამოიძახეს, მერე გაოცდნენ ორგანიზატორები - „მეორე ფინალში როგორ აღმოჩნდაო“. აუკრძალეს კიდეც ჭიდაობა, მაგრამ ბოლოს ხალხის მოთხოვნით მაინც დართეს ნება და გულაჩუყებულმა, თვალცრემლიანმა მოიგო უკვე მეორე ფინალური დაპირისპირება.


ჯაბა პაპინაშვილი

შეჯიბრება ძიუდოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონების **გიორგი კაციაშვილის** (65, გომი) და **ერეკლე არხოზაშვილის** (60, ქვახვრელი) მონაწილეობამაც გაალამაზა. კაციაშვილმა პირველობა არავის დაუთმო, არხოზაშვილმა კი მხოლოდ მესამე ადგილი იკმარა. საინტერესო იყო 70 კგ-ში თელიანელების **გიგა** და **ბექა ბერიაშვილების** ფინალი. გიგა ბიძაშვილს მთელი შეხვედრა უგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე სუფთა გდებით რომ სცადა წერტილის დასმა, ბექამ „დაუხურა“ და თავად აღმოჩნდა ბეჭებზე. აბსოლიტურ წონაში ხაშურელმა **გიგა ნოზაძემ** იმარჯვა, რომელმაც ფინალში გორელი **გიორგი პაპუნაშვილი** დაამარცხა. სხვა წონებში საუკეთესოები გახდნენ **გიორგი მირუაშვილი** (50, ქვახვრელი), **დავით გეჯაძე** (55, მეტეხი), **გიგა ხორბალაძე** (60, დოესი), **ზვიად კაპანაძე** (80, ქარელი).

ყველა წონაში პირველ ადგილზე გასულ მოჭიდავეებს ფულადი ჯილდო ერგოთ. ორგანიზატორებს კასპის რაიონის სპორტის სამსახურმაც (ხელმძღვანელი **შოთა გოგიაშვილი**) გაუმართა ხელი. ასპარეზობას ფედერაციის ხელმძღვანელები და ცნობილი ვეტერანი მოჭიდავეები **ოთარ ყურაშვილი, შოთა გულიაშვილი** და **იოსებ მალალაშვილი** ესწრებოდნენ.

ამ შეჯიბრებით თელიანში წლევანდელი სეზონი ნახერხმოყრილ სარბიელზე დასრულდა.

**ვასილ ბალახაძე**
თელიანიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

ნიჩბოსნობა

# ვერცხლის დებიუტი

ჩვენთან კანოეში, ფაქტობრივად, გოგონები არ ვარჯიშობენ. ერთადერთია დუშეთის რაიონის სოფელ მლაშედან 14 წლის **მარი ქერდიკაშვილი**, რომელიც წელინადნახევარია, **შალვა მუსოევისა** და **გოჩა ჩიხაშვილის** ხელმძღვანელობით იმაღლებს ოსტატობას ბაზალეთის ტბაზე. ტურნირებზე ვაჟებს ეჯიბრება და არცთუ ურიგოდ. შარშან ერთ-ერთ ევროპულ ტურნირზე კანოეს მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს ქართველ გოგონას და წლეულს თავიანთი ხარჯებით მიიწვიეს ფრანგულ ბულონში ჯერ 10-დღიან საწვრთნელ შეკრებასა და შემდეგ 18 და 23-წლიანთა მსოფლიოს პირველობაზე საასპარეზოდ. მარის თან ახლავს მისი პირადი მწვრთნელი შალვა მუსოევი. ასპარეზობის პირველ დღეს 18-წლიანებში 200-მეტრიან დისტანციაზე 40 მონაწილეს შორის მე-6 ადგილი დაიკავა, არადა, ფაქტობრივად, 3-4 წლით უფროსებს ეპაექრებოდა.

მე-2 დღეს 23-წლამდელებში ოთხადგილიანი ნავებითაც უნდა ესასპარეზათ 500 მეტრზე. რუსეთის ნაკრებს მხოლოდ 3 სპორტსმენი ჰყავდათ და შეჯიბრებაში ვერ ებმებოდა. მსოფლიოს ფედერაციის მესვეურთა წინადადებით ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა **ალისა ნიკიფოროვასთან, ანა მონასტირსკაიასა** და **ელეონორა კოვალჩეკთან** ერთად ქერდიკაშვილი ჩართეს პაექრობაში. ეს ოთხეული მეორე იყო ფინიშთან და მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

გუშინ ქართველმა სპორტსმენმა 18-წლიანებში 3000 მეტრზე იასპარეზა ერთადგილიანი ნავით, თითქმის მთელი დისტანციის განმავლობაში მესამე იყო, მაგრამ ფინიშთან რუსმა სპორტსმენმა გაასწრო და მლაშელი გოგონა მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა

# ნაკრები ცნობილია

მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ ტატიშვილმაც** დაასახელა.

ესენია: **ბაჩანა ფუტკარაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ილია გულბათაშვილი** (74), **გიორგი ცირეკიძე** (84), **ვასილ იმერლიშვილი** (96) და **ლევან არაბული** (120).

როგორც ვხედავთ, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ხელმძღვანელთა დარად, ფედერაციის განკარგულება არც ტატიშვილმა დაარღვია და სეზონის უმთავრეს ტურნირზე მასაც მხოლოდ საქართველოს თასის გამარჯვებულები მიჰყავს.

მსოფლიოს ჩემპიონატი 16-22 სექტემბერს ბუდაპეშტში გაიმართება. ეს ნაკრები და „თავისუფლებიც“ სადღეისოდ ბორჯომში სპორტკომპლექს „ოლიმპში“ არიან დასკვნით შეკრებაზე.

**ირაკლი თავაძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# ფინალში იასპარეზა

კიევში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 97 წარმომადგენელს შორის მრავალჭიდში თბილისელმა **სალომე ფაჟავამაც** იასპარეზა. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან 48.866 ქულით (რგოლი - 16.133 (XXI), ბურთი - 16.050 (XXIII), გურზები - 16.683 (XI), ლენტი - 16.050 (XV) მე-18 ადგილი დაიკავა და ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო. იქ კი 63.907 ქულა დააგროვა და მე-20 ადგილით დაკმაყოფილდა (შეგახსენებთ, რომ ფაჟავა წლეულს ვენაში ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე მე-18 იყო).


სალომე ფაჟავამა

კიევში 73.866 ქულით ჩემპიონობა **იანა კუდრიავცევამ** (რუსეთი) დაიკავა, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **განა რიზატდინოვა** (უკრაინა, 73.041) და **მელიტინა სტანიოუტა** (ბელარუსი, 72.166) გავიდნენ. ცალკეული საგნებით ასპარეზობისას კუდრიავცევამ (ლენტი) და რიზატდინოვამ (რგოლი) თითო ოქროს მედალი შემატეს მონაგარს, ბურთითა და გურზებით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რუსი **მარგარიტა მამუნი** ავიდა. ფაჟავას საკვალიფიკაციო ეტაპზე მცირედი დააკლდა გურზებით ფინალურ რვა საუკეთესოში მოსახვედრად.

**ვაჟა დანელია**

მეკლდეურობა

# პირველი მედალი

**საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მირზა ლიპარტელიანი იტალიიდან გვატყობინებს:**

იტალიის ქალაქ არკოში ჩატარდა მეკლდეურობაში შშმ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე) პირთა ევროპის თასის გათამაშება რთულ ცოცვაში. ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდნენ საქართველოს შშმ სპორტსმენები - **რევაზ ლიპარტელიანი** (ქვედა კიდურ ამპუტირებული) და **დავით ყვირილიანი** (სრულიად უსინათლო).

ლიპარტელიანმა დაიკავა მესამე ადგილი, დავით ყვირილიანი კი მეოთხე იყო. მეკლდეურობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ მადლობით მოიხსენია საქართველოს სპორტის სამინისტრო პროგრამაში სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის.

თარიღები და მოვლენები

## 09-12 სექტემბერი

**09. 1965.** ქ. სან-სებასტიანში (ესპანეთი) **ომარ ფხაკაძე** გახდა პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ველოსპორტში

**09. 1972.** დაიბადა **რუსუდან ხოფერია** - ბატუტზე ხტომა

**09. 2006.** საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 80:65 დაამარცხა ისლანდიის ნაკრები

**10. 1911.** დაიბადა **მოისეი კასიანანკო** - ძალოსნობა. გარდაიცვალა 1988 წელს

**10. 1925.** დაიბადა **ავთანდილ ციბაძე** - სპორტის მკვლევარი, პროფესორი. გარდაიცვალა 2001 წელს

**10. 1933.** დაიბადა **ოთარ მიქელაძე** - ტანვარჯიში, მწვრთნელი

**10. 1939.** დაიბადა **ზარბეგ ბერიაშვილი** - თ\ჭიდაობა

**10. 1943.** დაიბადა **ალექსანდრე ტუტკაევი** - ცურვა

**10. 1944.** დაიბადა **ემზარ ზენაიშვილი** - სპორტის მოღვაწე

**10. 1944.** დაიბადა **ვახტანგ რეხვიაშვილი** – ფეხბურთი. გარდაიცვალა 1986 წელს

**10. 1948.** დაიბადა **მიხეილ ქორქია** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2004 წელს

**10. 1966.** დაიბადა **ახრიკ ცვეიბა** - ფეხბურთი

**10. 1973.** დაიბადა **ბაკურ გოგიტიძე** - ბ\რ ჭიდაობა

**10. 1997.** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი: საქართველო - იტალია 0:0

**10. 2008.** ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: იტალია - საქართველო 2:0

**11. 2007.** რაგბი. მსოფლიოს თასის მატჩი. არგენტინა - საქართველო 33:3

**12. 1958.** დაიბადა **დავით გიგაური** - თ\ჭიდაობა

სუმო

# მხოლოდ ერთი ქართველით ელიტაში

## იაპონელი შოთა, რომელსაც მონღოლ ასაშორიუს ადარებენ


გაგამარუ

25 წლის **ლევან გორგაძე**, რომელიც პროფესიულ სუმოში **ტოჩინოშინ ცუიოშის** საბრძოლო სახელით ჭიდაობს, 2008 წელს გადავიდა უმაღლეს დივიზიონში და დღემდე ელიტაში რჩებოდა. მაგრამ მძიმე ტრავმის გამო, სექტემბრის ბაშოსთვის ლევანი რანგით მე-2, ძურიოს დივიზიონში გამწესეს.

საბედისწერო ივლისის ბაშოს მე-5 დღე იყო, როცა ჩვენებურმა **ტოკუშორიუ** კი დაამარცხა, მაგრამ მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა. ეს ისეთი ტრავმაა, რომელიც სპორტსმენს თვეებს გააცდენინებს. ახალი რეიტინგით, ტოჩინოშინი ძურიოს ნომერ პირველი რიკიშია.

ზუსტად 2008 წლის შემდეგ პირველად მომავალ, აკი ბაშოზე მოხდება, რომ უმაღლეს დივიზიონში მხოლოდ ერთი ქართველი იასპარეზებს - **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. გაგამარუსთვისაც წარუმატებელი იყო ივლისის ბაშო, 3-12 ბალანსის გამო ის რეიტინგში მე-2 მაეგაშირობიდან მე-9 მაეგაშირობამდე დააქვეითეს.

ახალ რეიტინგში ორი სიახლეა აღსანიშნავი - **ტაკაიასუ** გახდა ჰეისეის ეპოქაში (1989 წლის იანვრის შემდეგ) დაბადებული პირველი სპორტსმენი, ვინც სანიაკუს რიგებში ავიდა - კომუსუბი გახდა. მეორე კი **შოთა ენდოა** (ეს სახელი ენდომ შოთა ჩოჩიშვილის საპატივცემლოდ დაარქვა თავის ვაჟს. რედ), ვინც აბსოლუტური რეკორდი დაამყარა - 23 წლის ენდომ ნახევარ წელიწადში მიაღწია ელიტას. ბუნებრივია, ეს შეუძლებელი იქნებოდა (8 დივიზიონის გავლა სამ ბაშოზე), რომ არა გამონაკლისი, რომელიც იაპონელი შოთასთვის დაუშვეს - მოყვარულებში იაპონიის ორგზის ჩემპიონმა აღმასვლა მაკუშიტას დივიზიონიდან დაიწყო, ივლისში კი ძურიო 14-1 ბალანსით მოიგო. შოთა ენდოს ხშირად ადარებენ ცნობილ მონღოლ იოკოძუნა **ასაშორიუს**.

აკი ბაშოს წინ გაიმართა სუმოისტთა ოფიციალური ანონსები. ელიტაში ისევ ჩვენებური გაგამარუა ყველაზე მძიმე რიკიში - თეიმურაზი 203 კილოგრამს იწონის, მაგრამ მას **სადანოფუჯი** (201 კგ) მიუახლოვდა.

აკი ბაშო სუმოს მექა „კოკუგიკანში“ 15-29 სექტემბერს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

### ტრავმამ შეუშალა ხელი

თბილისელი **სოფიო შაფათავა** მოსკოვში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მონაწილეობდა. მან წარმატებით განვლო სამი წრე და ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ უკრაინელ **ანასტასია ვასილიევას** ტრავის გამო სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია - პირველი პერიოდი 0:6 დათმო. მეორეშიც, როცა 0:3-ს აგებდა, ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. საგულისხმოა, რომ მან ტრავმა წყვილთა პაექრობის პირველ წრეში მიიღო - რუს **იულია კალაბინასთან** ერთად მე-4 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ **ამინათ კუშხოვასა** (რუსეთი) და **განა პოზნიხირენკოს** (უკრაინა) დუეტთან შეხვედრისას პირველი სეტიც ვერ ჩაამთავრა.

შაფათავა თბილისში დაბრუნდა და ბათუმის საერთაშორისო ტურნირამდე (16-22 სექტემბერი) ტრავმის მოშუშებას შეეცდება.

### ძირითადში შვიდეული

თელავში ჩოგბურთელ ვაჟთა მე-2 საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს შვიდი წარმომადგენელი (**რობერტ ჩაჩავა-რობა, გიორგი რევაზიშვილი, გიორგი ლოქაფიშვილი, დემურ დავითაძე, ირაკლი მეტრეველი, დავით კვერნაძე** და **კარენ სარქისიანი**) ჩაება. მათგან ძირითად ბადეში მოხვედრა მხოლოდ დავითაძემ შეძლო, რომელმაც ჯერ თანამემამულე გიორგი ლოქაფიშვილს სძლია (6:1, 6:3), შემდეგ კი რუსი **ალექსანდრ კუნინი** ჩამოიშორა გზიდან — 6:4, 6:1. ძირითადი ბადის პირველ წრეში **კონსტანტინ გერლახს** (რუსეთი) დაუპირისპირდება. მთავარი პრიზისთვის, დავითაძის გარდა, ექვსი ჩვენიანიც იბრძოლებს. პირველ წრეში ისინი ასე დაწყვილდნენ: **შოთა მეფარიძე - ივან ანიკანოვი** (უკრაინა, მე-7 ნომერი), **ალექსანდრ ჟურბინი** (რუსეთი) - **მიხეილ ხმიადაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი - არკადიუშ კოსილა** (პოლონეთი, 8), **ალექსანდრე მეტრეველი - გიორგი ცივაძე, ალექსანდრე ბაკშირიოტა კიში** (იაპონია).

**ვაჟა დანელია**

„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გაზეთის ვეტერანი კორესპონდენტის

**სულხან ხარაზიშვილის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. I ტური

# აიას მძიმე სტარტი

**აია-ხარები 17:12**

**აია:** (15-9) ძნელაძე, კვერნაძე, ფრუიძე, ლოსაბერიძე, აბრამიძე, ჯინჭველაშვილი (41.სინაურიძე), როხვაძე (60.თუთბერიძე); (1-8) რატიაშვილი, მატკავა (77.სალდაძე), ულუმბელაშვილი (60.ტ.ჩხიკვაძე), შალამბერიძე, ძაგნიძე (60.ჩიტეიშვილი), რევიშვილი, დანგაძე (60. შამიაშვილი), ყურაშვილი

3ლ: ძნელაძე, ლოსაბერიძე, აბრამიძე 2გ: ჯინჭველაშვილი

**სინბინი:** რატიაშვილი (67)

**ხარები:** (15-9) გულიტაშვილი, მელიქიშვილი, ლამბაშიძე, ნათელაშვილი, კიკნაძე, ბასილაია, ხუციშვილი; (1-8) ნიკლაური (51.შ.მაჭარაშვილი), ალაშვილი, ხაბაშვილი (41.ლამბარაშვილი), ხელია, ქარუხნიშვილი, ქვლივიძე, გოგიაშვილი, მღებრიშვილი (78.ტყეშელაშვილი)

**4ს:** კიკნაძე (3), ვ.ხუციშვილი

**მსაჯი:** გიორგი ტრაპაიძე



აია-ხარების დერეფანი

„აიასა" და „ხარების" დაპირისპირება საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. რუსთაველებმა მასპინძლებს დიდი ბრძოლა გაუმართეს და ბოლო წამებზე რომ გამართლებოდათ, გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ. არადა, მატჩამდე „აია" უპირობო ფავორიტად მოიაზრებოდა და „დინამოს" სტადიონზე შეკრებილი 500-მდე გულშემატკივარი ჩემპიონატის სასტარტო მატჩში საყვარელი გუნდისგან იოლ გამარჯვებას ელოდა.

**ბესიკ ხამაშურიძისა** და **კობა გიორგაძის** გაწვრთნილმა გუნდმა ქომაგი კი ანერვიულა, მაგრამ ხარვეზების მიუხედავად საბოლოოდ გამარჯვება მას დარჩა. საერთოდ, სეზონის დასაწყისში გუნდების უმეტესობა მძიმედ გამოიყურება და, როგორც ჩანს, ჯერ ქუთათურებიც არ არიან სასურველ კონდიციებში. მასპინძლები პირველ ტაიმში საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდნენ, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარი აშკარად ჩააგდეს და მეტოქეს წამოწევის საშუალება მისცეს.

თუმცა აჯობებს ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. თამაში მასპინძლების აქტიურობით დაიწყო და მათი პირველივე შეტევა ლელოთი დაგვირგვინდა. თანაგუნდელებმა „აიას" ფულბეკს **ზურაბ ძნელაძეს** გაუთავისუფლეს სივრცე, რომელიც სტუმრებს ხელიდან დაუსხლტა და ბურთი ჩათვლის მოედანზე დაამიწა. ქუთაისელთა ახალგაზრდა მგეზავმა **მიხეილ ჯინჭველაშვილმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

მასპინძელთა კარგი სტარტის შემდეგ რუსთაველებიც გამოცოცხლდნენ და მათმა „სნაიპერმა" **თორნიკე კიკნაძემ** ზედიზედ ორი საჯარიმო გაიტანა - 7:6 ქუთაისელები მატჩის ასეთი სცენარით განვითარებას არ შეეგუენ და სტუმრებს თითქმის მაშინვე ლელოთი უპასუხეს. თავი „აიაში" წლეულს დაბრუნებულმა შუამარბმა **დავით ლოსაბერიძემ** გამოიჩინა. მან თითქმის ნახევარი მოედანი გაირბინა და შეტევა ჩინებულად დააგვირგვინა. ჯინჭველაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან გარდასახვა ვერ გაიტანა.

რუსთაველები მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადნენ და შეტევაში წავიდნენ, მაგრამ მათ უშედეგო იერიშს ის მოჰყვა, რომ ქუთაისელებმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. **გიორგი აბრამიძემ** მარცხენა ფრთაზე გაილალა, მეტოქეებს გვერდი აუარა და შეტევა ლელოთი დააგვირგვინა. ჯინჭველაშვილმა გარდასახვა კვლავ გააცუდა - 17:6.

სტუმრები მარცხს არ ეგუებოდნენ და შეტევებს განაგრძობდნენ. ტაიმის მიწურულს მათ ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ მიზანმა კიკნაძესაც უმტყუნა. მატჩის მეორე ნახევარი „აიას" შეტევებით დაიწყო და საწყისი 10 წუთის განმავლობაში ბურთს ძირითადად ქუთაისელები ფლობდნენ, მაგრამ რუსთაველებმა თამაში გაათანაბრეს და ანგარიშიც შეამცირეს. კიკნაძემ საჯარიმო ზუსტად დაარტყა და სტუმრებს მატჩის გადარჩენის შანსი დაუბრუნდა - 17:9

რუსთაველები შეტევებს განაგრძობდნენ და კიკნაძემ ზედიზედ ორჯერ ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა, მაგრამ სტუმართა დამრტყმელმა ორივეჯერ უზუსტოდ გაისროლა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ მორიგი საჯარიმო რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის ვაჟმა **ვაჟა ხუციშვილმა** დაარტყა და ჩამორჩენა ხუთ ქულამდე შეამცირა-17:12.

ბოლო წუთებზე რუსთაველებმა „აიას მთელი ძალებით შეუტიეს. მასპინძლები მოედანზე უმცირესობაში იყვნენ, რადგან მსაჯმა „აიას" მარცხენა ბურჯი **მიხეილ რატიაშვილი** გაასინბინა. ქუთათურებს მეტოქის შეჩერება ძალიან უჭირდათ. განსაკუთრებით დაძაბული რუსთაველთა ბოლო იერიში გამოდგა. დრო უკვე დასრულებული იყო, ამიტომ სტუმრებმა ზედიზედ სამი ჯარიმა არ დაარტყეს, მეტოქეს ხუთფაზიანი შეტევა მოუწყვეს, თუმცა ქუთაისელებმა თავის დაცვა მოახერხეს და ბოლოს ბურთიც გადაკიდეს კიდეზე, რაც უკვე მათ გამარჯვებას მოასწავებდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

*ავტორის ფოტო*

# ლოკომოტივმა ძნელად, მაგრამ მაინც მოიგო

**ჯიქები-ლოკომოტივი 17:19**

**ჯიქები:** (15-9) კიკნაძე (სვანიძე 47), ბინაძე, ბერძული, კუპრეიშვილი, ხარაზიშვილი, კალანდაძე, ჭინჭარაული; (1-8) გაგნიძე (ჭინჭარაძე 41), სვანიძე (ოქრომელიძე 41), ოქრიაშვილი (ხატიაშვილი 41), გოგოლიძე, მჭედლიშვილი, შენგელია, მამრიკიშვილი, ტრაპაიძე

**ლ:** მჭედლიშვილი 4ს: ხარაზიშვილი (2), კუპრეიშვილი (2)

**ლოკომოტივი:** (15-9) ნიკლაური, ქავთარაძე, ჭურღულია, კავთიძე, ბინაძე, ჭინჭარაული, ზაბახიძე; (1-8) გასვიანი (ელოშვილი 56), გენებაშვილი, ბალიაშვილი (მარსაგიშვილი 34), გეგია, ხულუაშვილი, ახვლედიანი, თავბერიძე (ჩიტიძე 49), კიკვიძე

**ლელო:** გეგია გ: ნიკლაური ა: ჭინჭარაული 3ს: ნიკლაური

**მსაჯი:** ს. ჩიხლაძე

„ჯიქებისა" და „ლოკომოტივის" დაპირისპირებამ მოლოდინისამებრ უშელავათო ბრძოლაში ჩაიარა და „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" მისული 200-მდე გულშემატკივარი დრამატული და სანახაობრივი მატჩის მომსწრე გახდა.

შეხვედრა რკინიგზელებმა გაცილებით უფრო აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებიდან დაეუფლნენ სათამაშო უპირატესობას, რაც მალე მოპოვებულ 6 ქულადაც აქციეს: ჯერ **ბექა ნიკლაურმა** გაიტანა საჯარიმო, ხოლო მომდევნო შეტევაში მგეზავმა **გოდერძი ჭინჭარაულმა** ზუსტად დაარტყა არეკნი. „ჯიქები" დროულად გამოფხიზლდნენ და უფრო აგრესიულად ამოქმედდნენ. მათმა შერკინებამ მეტოქე სტატიკაში აშკარად დაჩაგრა. მოპოვებული საჯარიმო დარტყმა გარემარბმა **რამაზ ხარაზიშვილმა** ზუსტად დაარტყა და ანგარიშში ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირა - 3:6.

„ლოკომოტივის" თავკაცმა გამოცდილმა **თემურ ბენდიაშვილმა** დროულად იგრძნო საფრთხე და მატჩის მეოცე წუთზე ორივე ბურჯი შეცვალა, რამაც სიტუაცია მყისიერად გამოასწორა. ტაიმის შუაწელში გუნდებმა კიდევ ერთხელ გაცვალეს შედეგიანი საჯარიმო დარტყმები, რის შემდეგაც „ლოკომოტივი" გააქტიურდა. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 10 მეტრში რკინიგზელებმა აუტი მოიგეს, მოლი ააგორეს, რაც საბოლოოდ **გიორგი გეგიას** ლელოთი დამთავრდა, რომელიც **ბექა ნიკლაურმა** ადვილად გარდასახა - 16:6. დარჩენილ მცირე დროში „ჯიქებმა" წარმატებით დაარტყეს საჯარიმო შორი დისტანციიდან და პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს - 9:16.

მატჩის მეორე ნახევარში ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა „ჯიქებმა" შტურმი მოუწყო სახელოვან მეტოქეს მათსავე ნახევარზე. 20 წუთის განმავლობაში **გიორგი ამირხანაშვილის** დამოძღვრილი გუნდი არაერთხელ გახლდათ ახლოს ლელოსთან. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში უპატიებელ შეცდომებს უშვებდა. მეტოქის 5-მეტრიან ზონაში მათ ორჯერ საკუთარი აუტი წააგეს და სამჯერ ბურთი წინ დაუვარდათ, თუმცა მე-60 წუთზე მთავარმა არბიტრმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა ლოკომოტიველთა არასწორი თამაში რაქში, რომელიც **ლადო კუპრეიშვილმა** ამჯერად კარში ზუსტად დაარტყა - 12:16. 10 წუთში „ჯიქებს" თავდადებული თამაში დაუფასდათ. მეორეხაზელმა **გიორგი მჭედლიშვილმა** გაჭრა ხაზი და მარჯვენა კუთხეში, ზედ ალამთან ახლოს ნანატრი ლელო გაიტანა - 17:16. კუპრეიშვილმა ვერ გარდასახა, რაც საბოლოოდ საბედისწერო გამოდგა.

რკინიგზელთა რიგებში ტრავმა მიიღო **ხვთისო ელოშვილმა** და გამოცდილ **დავით გასვიანს** ხელმეორედ მოუწია თამაშში დაბრუნება. 75-ე წუთზე მეტოქის 22-მეტრიან ხაზთან სწორედ მან დაარღვევინა თამაშის წესები სტატიკურ მდგომარეობაში ახალგაზრდა მეტოქეს და უმნიშვნელოვანესი საჯარიმო მოუპოვა საკუთარ გუნდს, რომელიც ნიკლაურმა უპრობლემოდ გაატარა ძელებს შუა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა ს „ლოკომოტივს" - 19:17.

**I ტური**

**არმია-აკადემია 21:9**

**არმია:** 2ლ - ქორიძე, საჯარიმო. 3ს,გ - კობახიძე.

**აკადემიია:** 3ს - დავითაშვილი

**არმაზი-ბათუმი 39:17**

**არმაზი:** 5ლ - მინაშვილი, ლიპარტელიანი, პინაიშვილი, სოსელია, თაგაური. 4გ: კიკნაძე (3), ნიკოლავა. 2ს: კიკნაძე.

**ბათუმი:** 2ლ - კორტავა (2). 2გ - შამული, ოდიშარია. ს - შამული.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არმაზი | 1 | 1 | 0 | 0 | +22 | 5 |
| 2. აია | 1 | 1 | 0 | 0 | +5 | 5 |
| 3. ყოჩები | 1 | 1 | 0 | 0 | +19 | 4 |
| 4. არმია | 1 | 1 | 0 | 0 | +12 | 4 |
| 5. ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | +2 | 4 |
| 6. ჯიქები | 1 | 0 | 0 | 1 | -2 | 1 |
| 7. ხარები | 1 | 0 | 0 | 1 | -5 | 1 |
| 8. აკადემია | 1 | 0 | 0 | 1 | -12 | 0 |
| 9. ლელო | 1 | 0 | 0 | 1 | -19 | 0 |
| 10. ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | -22 | 0 |

**გიორგი ბარბაქაძე**

# გამარჯვების ფასი, ოთხი არეკნი

**ლელო-ყოჩები 13:32**

**ლელო** (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, (პატარაია 51-62), ხეცოიძე 80), კოპაძე, ცერცვაძე, ნიჟარაძე, მჭედლიშვილი (მინდიაშვილი 66). კაჭარავა. (1-8) კვერნაძე (სანიკიძე 49), ლომთაძე, პატარაია (მელიქიძე 50), ხორბალაძე, ქოიავა, კოლელიშვილი (მძინარიშვილი 48), სურგულაძე, ჭყოიძე (ნიკოლაიშვილი 20).

**ლ:** კოპაძე. 2ს,გ: ყიასაშვილი

**სინბინი:** სანიკიძე, სურგულაძე.

**ყოჩები** (15-9) მახარაშვილი, გოგოლაშვილი, ხუციშვილი, ქუმაშვილი (აბდუშელიშვილი 75), ხარშილაძე, სოხაძე, ბეგაძე. (1-8) გოგიშვილი (ესაკია 41), ცუცქირიძე (ხიდეშელი 41), შენგელია, მეტრეველი (ნიკლაური, ტვილდიანი 76), გრძელიშვილი, აფციაური, ტყეშელიაძე, ჩხიკვაძე.

**2ლ:** აფციაური, გოგოლაშვილი. 2ს,2გ: სოხაძე. 4ა: მახარაშვილი (2), სოხაძე (2).

**სინბინი:** ხუციშვილი

**მსაჯი:** სულხან ჩიხლაძე



თემურ სოხაძის მორიგი საჯარიმო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ლელომ" ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურში მარცხი განიცადა. ლელოელები მოულოდნელად დამარცხდნენ ბოლნისის „ყოჩებთან" - 13:32.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ყოჩები" გასულ სეზონში ბოლო ადგილზე გავიდნენ და უმაღლეს ლიგაში ადგილი პლეი ოფში გამარჯვებით შეინარჩუნეს, მათი მხრიდან ჩემპიონების ძლევა მართლაც მოულოდნელი იყო. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შარშანდელი და ამჟამინდელი „ყოჩები" ორი აბსოლუტურად განსხვავებული გუნდია.

საგრძნობლად მოღონიერებული, ამჟამად უკვე ბოლნისური გუნდი, სერიოზულ ძალად იქცა და თუ ასე განაგრძო, ჩემპიონობის ფავორიტადაც მოგვევლინება. თუმცა, ალსანიშნავია, რომ „ლელოსთან" მატჩის პირველი ტაიმის მიხედვით ამას ვერაფრით იტყოდით. ლელოელები გაცილებით აქტიურად თამაშობდნენ და უკეთ ორგანიზებულადაც გამოიყურებოდნენ.

ანგარიში „ლელომ" მე-11 წუთზე გახსნა. მორიგი მრავალფაზიანი შეტევა მარცხენა ფრთაზე გაგრძელდა, სადაც ლელოელები რიცხობრივ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ და შუამარბმა **დაჩი კოპაძემ** ბურთი ალამთან ახლოს დაამიწა. ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გარდასახვა რთული პოზიციიდან გაიტანა - 7:0.

„ყოჩებმა" ამაზე მეტოქეს პასუხი საჯარიმოთი ორ წუთში გასცეს. პოლონეთიდან მშობლიურ გუნდში დაბრუნებულმა მგეზავმა **თემურ სოხაძემ** ზუსტად დაარტყა - 7:3. ალსანიშნავია, რომ „ყოჩები" მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეტოქის 22-მეტრიან ზონაში ერთხელაც არ შესულან. სოხაძემ ტაიმის მიწურულს კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, თუმცა ამ დროისთვის „ლელო" ათი ქულის სხვაობით იგებდა. ორი საჯარიმო ყიასაშვილის ანგარიშზეა. 13:6, ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა. „ყოჩებმა" შერკინების პირველ ხაზში ცვლილება განახორციელეს. მოედანზე მოთამაშე მწვრთნელის **სანდრო ესაკიას** გამოჩენამ გუნდის თამაში მთლიანად გარდაქმნა. ახლა უკვე „ლელოს" უჭირდა შეტევების ორგანიზება და ისე მოხდა, რომ მეტოქის 22-მეტრიან ზონაში მეორე ტაიმში ერთხელაც ვერ შევიდა.

ანგარიში „ყოჩებმა" მეორე ტაიმის დასაწყისშივე, 44-ე წუთზე გაათანაბრეს. მათ ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი შეკრეს, მიაწვნენ, მერე თამაში რაკში გადავიდა. იქ ყველაზე უკეთ მესამეხაზელი **ნიკო აფციაური** გაისარჯა, რომელმაც ლელოში შეღწევა შეძლო. სოხაძემ გარდასახა - 13:13.

რაც ამის მერე მოხდა, ამას მხოლოდ დიდი რაგბის გაბრწყინება შეიძლება ეწოდოს. „ყოჩებმა" მომდევნო 20 წუთის განმავლობაში ზედიზედ სამი არეკნი გაიტანეს და 64-ე წუთისთვის 22:13 დაწინაურდნენ. ამ სამი დიდოსტატური დარტყმიდან ორი ფულბეკის **შავლეგ მახარაშვილის** ანგარიშზეა, ერთიც მგეზავი თემურ სოხაძის.

„ყოჩების" მგეზავმა კიდევ ერთი არეკნი მატჩის მიწურულს 50 მეტრიდან გაიტანა, როცა მისი გუნდი უკვე სოლიდური სხვაობით იგებდა - 29:13. იქამდე ერთი ლელო „ყოჩებს" გარემარბმა **ლევან გოგოლაშვილმა** მოუტანა, რომელმაც მეტოქის შეცდომით ისარგებლა და კონტრშეტევაზე შესანიშნავი რეიდი განახორციელა. „ყოჩებმა" პირველი შთამბეჭდავი გამარჯვება მიითვალეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ წლეულს, სავარაუდოდ, სატურნირო ცხრილის სათავესთან ახლოს იქნებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ოლიმპიზმი

# ამომავალი მზის ოლიმპიადა

## ტოკიო 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძელი გახდა




იაპონიის დედაქალაქი ტოკიო 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად აირჩიეს. მთავარი სპორტული ფორუმი ამ ქალაქში 56 წლის შემდეგ ბრუნდება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე სესია ბუენოს აირესში მიმდინარეობს. დღის წესრიგში სამი მთავარი საკითხი დგას: 2020 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევა, ამ თამაშების პროგრამის დამტკიცება და სოკ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

შაბათი დღე მთლიანად დაეთმო სამ პრეტენდენ ქალაქს - სტამბოლს, ტოკიოსა და მადრიდს შორის არჩევის პროცედურას.

### ტოკიო

ამ სამეულიდან ტოკიო ისე ხშირად არ „აწუხებდა" სოკ-ს, როგორც სტამბოლი, რომელიც ბოლო ექვსი ოლიმპიადიდან მეხუთედ იბრძოდა თამაშების მოსაპოვებლად. თუმცა ტოკიო სულ ცოტა ხნის წინათ ცდილობდა 2016 წლის ოლიმპიადის მიღებას, მაგრამ კენჭისყრის მეორე რაუნდიდან გავარდა - მადრიდთან და რიო-დე-ჟანეიროსთან ნააგო. იაპონიის დედაქალაქის განაცხადის ძლიერი მხარე იყო ყველა ოლიმპიური ობიექტის კომპაქტური განლაგება (მხოლოდ სამი არენა იქნება ოლიმპიური სოფლიდან რვა კილომეტრის მოშორებით) და ულტრათანამედროვე და ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება. გარდა ამისა, იაპონიას 2019 წელს კარგი საორგანიზაციო რეპეტიციის გავლა შეეძლება - იქ თვენახევრის განმავლობაში გაიმართება რაგბიში მსოფლიოს თასის გათამაშება.

რაც შეეხება ტოკიოს განაცხადის სუსტ მხარეს, ეს არის პრობლემა ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებით. იაპონელებმა სცადეს საზოგადოების დამშვიდება - რადიაციით დაბინძურებულია პატარა ოლქი, რომელიც დიდი მანძილით არის დაშორებული ტოკიოსგან. თუმცა იმის გარანტია არავის მიუცია, რომ მორიგი ძლიერი მიწისძვრა ახალ რადიოაქტიურ კატასტროფას არ გამოიწვევს.

### სტამბოლი

სტამბოლი დიდი ხანია ოცნებობს ოლიმპიადის მიღებაზე. 2000-2012 წლებში, ოლიმპიური დედაქალაქის არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა ამ ქალაქის გარეშე. ასეთი „სიჯიუტე" თურქების განაცხადის ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა შეფასებულიყო - სოკ-ის წევრთა უმრავლესობას, ალბათ, ზეპირად ექნებოდა შესწავლილი სტამბოლის ყველა არენა და ინფრასტრუქტურა. ამასთან, თურქები კომიტეტს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერასა და უდიდეს ბიუჯეტს დაჰპირდნენ. ამის დასადასტურებლად, ბუენოს აირესში ჩავიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი და წარსულში სტამბოლის მერი **ერდოგანი**.

სოკ-ის წევრებზე შთაბეჭდილების მოსახდენად თურქებმა ოლიმპიადის საინტერესო კონცეფცია მოიგონეს - ქვეყნის უდიდესმა ქალაქმა, რომელიც ერთდროულად აზიასა და ევროპაში მდებარეობს, აღმოსავლეთი და დასავლეთი უნდა გააერთიანოს. სოკ-ის მუსულმან წევრებს კი მუდმივად ახსენებდნენ, რომ აქამდე ოლიმპიადა არასოდეს ჩატარებულა ისლამის ქვეყანაში.

სტამბოლს რამდენიმე მინუსი ჰქონდა: თურქეთის საგარეო პოლიტიკა, რადგან ქვეყანას რთული ურთიერთობები აქვს საბერძნეთთან, სომხეთთან, ისრაელთან, გარდა ამისა, თურქები მხარს უჭერენ სირიის მიმართ სამხედრო აგრესიას. ქვეყნის შიგნით მოგვარებული არ არის ქურთების პრობლემა, რომლებთან კონფლიქტს, შეიძლება ხელი შეეშალა ოლიმპიადის მშვიდად ჩატარებისთვის. და კიდევ, მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებაში თურქეთს სახელი აქვს გატეხილი, რადგან ქვეყანაში ცუდად ებრძვიან დოპინგს.

### მადრიდი

მადრიდი აქცენტს აკეთებდა ყველა სპორტული ობიექტის 80-პროცენტიან მზადყოფნაზე და მოკრძალებულ ბიუჯეტზე, რომელიც დანარჩენი 20 პროცენტისთვის იყო საჭირო. ამასთან, ესპანეთის დედაქალაქს არ აქვს პრობლემა სასტუმროებთან და სხვა ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. მადრიდს შეიძლებოდა სოლიდური მხარდაჭერა ჰქონოდა სოკ-ის წევრთა ესპანურენოვანი ჯგუფისგან.

მაგრამ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აუცილებლად შეამჩნევდა ესპანეთში 27-პროცენტიან უმუშევრობას და მეშვიდე ადგილს მსოფლიოში საგარეო ვალის რაოდენობით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ შვიდი წლის შემდეგ, ქვეყანა ფინანსურად მყარად დადგება ფეხზე. სწორედ ფინანსური გარანტიების არარსებობის გამო მოხსნა თავისი კანდიდატურა და ვერ მიაღწია ბუენოს აირესამდე რომმა. გარდა ამისა, ყველას ახსოვდა ბასკი ტერორისტები და კატალონიელი სეპარატისტები, რომელთაგანაც ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი პროვოკაცია.

### არჩევა

რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, პირველ რაუნდში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების უმრავლესობა: ტოკიოს 42 ხმა ჰქონდა, მადრიდსა და სტამბოლს – 26- 26 ხმა (მათ შორის გაიმართა დამატებითი კენჭისყრა, რომელიც თურქების გამარჯვებით დასრულდა და მეორე რაუნდში სტამბოლი გადავიდა).

ბოლო კენჭისყრა ორ დარჩენილ კანდიდატს შორის დიდი უპირატესობით მოიგო ტოკიომ - 60 ხმა 36-ის წინააღმდეგ. ეს ქალაქი 1964 წლის შემდეგ მეორედ უმასპინძლებს ზაფხულის თამაშებს. გარდა ამისა, იაპონიაში 1998 წელს გაიმართა ზამთრის თამაშები, რომლის ორგანიზატორი იყო ნაგანო.

● ფორმულა 1. იტალიის გრანპრი

# ფეტელი ისევ დომინირებს

**სებასტიან ფეტელმა სეზონში მეექვსე გრანპრი მოიგო და როგორც მისი კოლეგები რბოლის შემდეგ ამბობდნენ, ამით მიმდინარე სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლა დასრულდა. გერმანელი კიდევ უფრო მიუახლოვდა მეოთხე ტიტულს. „რედ ბულის" პილოტმა ისეთივე სტილში მოიგო იტალიის გრანპრი, როგორც ორი კვირის წინ, ბელგიაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის კვალიფიკაციაშიც დომინირებდა და საუკეთესო დრო აჩვენა.**



სებასტიან ფეტელი

გუშინდელი რბოლის წინ, სტარტამდე დაახლოებით 40 წუთით ადრე წვიმა წამოვიდა. ბოქსებში პანიკა ატყდა, თუმცა განგაში ცრუ აღმოჩნდა: ნალექი მალე შეწყდა, ტრასა გაშრა და ბოლიდები ტრასაზე „სლიკებით" გავიდნენ.

კვალიფიკაციის მთავარი გმირი **ნიკო ჰიულკენბერგი** (მესამე ადგილი) სტარტზე ნაკლებად წარმატებული იყო - მან პირველივე მეტრებზე ორი „ფერარი" გაუშვა წინ. **ფელიპე მასა** ამით არ დაკმაყოფილდა, **მარკ უებერსაც** გაუსწრო და ერთბაშად მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, პელოტონში არეულობა მოხდა და რამდენიმე პილოტი დაზარალდა. **რაიკონენი** პირველ მოსახვევში დაეჯახა **პერესს** - მექსიკელი იძულებული გახდა მოსახვევი მოეჭრა, კიმი კი მაშინვე ბოქსებში შევიდა წინა ანტიფრთის შესაცვლელად. ნაკლებად გაუმართლა **დი რესტას**: ის ერთ-ერთ მოსახვევში უბრალოდ შეეჯახა **გროსჟანს** და წინა დაკიდება დაიზიანა. ამასთან, რომენმა, ვითომც არაფერი, გზა გააგრძელა.

**ფეტელმა** მომენტალურად შეიქმნა მასასთან კომფორტული უპირატესობა, ფელიპემ კი მეორე ადგილი მხოლოდ იმ მომენტამდე შეინარჩუნა, როცა **ალონსომ** შიდა რადიუსით გაუსწრო უებერს. შემდეგ ესპანელი თანაგუნდელს დაეწია და ყოველგვარი ბრძოლის გარეშე უკან ჩამოიტოვა ის.

რაიკონენის შემდეგ, მეორე უიღბლო აღმოჩნდა **ჰემილტონი**: მის მანქანაზე ერთ-ერთი საბურავი გამოვიდა მწყობრიდან და ლუისი დაგეგმილზე ადრე წავიდა პიტსტოპზე, შესაბამისად, ბრიტანელი იძულებით გადავიდა ორი გაჩერების ტაქტიკაზე. დანარჩენებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთხელ შეიარეს ბოქსებში.

პიტსტოპების ერთადერთი სერიის შემდეგ, ფეტელმა გააგრძელა დამაჯერებელი ლიდერობა. მისი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ გერმანელმა ინჟინრებისგან მიიღო მითითება, ეკონომიურ რეჟიმში წარემართა რბოლა. ამასობაში, ალონსოს არ ჰქონდა გარანტირებული მეორე პოზიცია, რადგან უებერმა მასას გასწრებით დაიბრუნა მესამე ადგილი და ესპანელს სწრაფად უახლოვდებოდა.

ჰიულკენბერგი ახერხებდა შაბათის ტემპის დადასტურებას: „ზაუბერი" ახლოსაც არ იკარებდა **როსბერგს**, რომელიც მეხუთე პოზიციაზე იყო. თუმცა ორივე ნიკომ, რაღაც მომენტში, ერთად გაატარეს ჰემილტონი, ვინც მეორე პიტსტოპამდე, უბრალოდ, დაფრინავდა ტრასაზე. როსბერგის უკან მოძრაობდა საკმაოდ მჭიდრო ჯგუფი **რიკარდოსა** და ორი „მაკლარენის" შემადგენლობით.

მათი ბრძოლა TOP10-ის ბოლოში კიდევ უფრო საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც გროსჟანმა ორივე „მაკლარენს" გაუსწრო და რიკარდოს გამოეკიდა. პერესის უკან რაიკონენი და ჰემილტონი აღმოჩნდნენ. სასტარტო მონაკვეთის ორმა უიღბლო პილოტმა მალე გაუსწრო რამდენიმე მოწინააღმდეგეს და მათ ერთმანეთში გამართეს ლამაზი ორთაბრძოლა. ფინელი დიდი ხანი იგერიებდა ჰემილტონის შეტევებს და მაინც, ბრიტანელი უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

ჰემილტონმა მალე პერესსაც გაუსწრო და ცხადი გახდა, რომ ბატონის უკან ჩამოტოვება და მეცხრე ადგილზე გადასვლა, გარდაუვალი იყო. ისე ჩანდა, უფრო მაღლა ჰემილტონი ვერ ავიდოდა - გროსჟანი სწრაფად მოძრაობდა. მაგრამ ლუისმა უსწრაფესი წრე გაიარა და მომენტალურად დაეწია რომენს - დაიწყო სამმაგი ბრძოლა მეშვიდე ადგილისთვის! მაგრამ პოზიციები აღარ შეცვლილა: რიკარდო დაშორდა კონკურენტებს, ჰემილტონმა კი ბოლო წრეზე მეორე მოსახვევი მოჭრა და იძულებული გახდა უკან დარჩენილიყო.

ლუისის გატარების შემდეგ, რაიკონენიც არ დანებდა და შეძლო ქულებისთვის ბრძოლაში ჩაბმა: „ლოტუსის" პილოტმა გაუსწრო პერესს, მაგრამ ბატონს ველარაფერი მოუხერხა. მეათე პოზიცია ჯენსონს დარჩა.

პელოტონის ზედა ნაწილში ჰიულკენბერგმა მოახერხა როსბერგის იერიშების მოგერიება და მეხუთე ადგილის შენარჩუნება. იგივე ითქმის ალონსოსა და უებერის წყვილზე: ავსტრალიელი ბევრს უტევდა, მაგრამ ესპანელი მაინც დარჩა მეორე ადგილზე.

რაც შეეხება ფეტელს, ის ამ რბოლაში უკონკურენციო იყო. მან სრულიად დამსახურებულად მოიპოვა 25 ქულა. და კვლავ უჩვენა გულშემატკივრებს საჩვენებელი თითი!

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### იტალიის გრან-პრი. XII ეტაპი

**მონცა (53 წრე, 306.720 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:18.33,352 (1 პიტსტოპი) |
| 2(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +5,467 (1) |
| 3(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +6,350 (1) |
| 4(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +9,361 (1) |
| 5(3). ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) | +10,355 (1) |
| 6(6). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +10,999 (1) |
| 7(7). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +32,329 (1) |
| 8(13). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | +33,130 (1) |
| 9(12). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | +33,527 (2) |
| 10(9). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +38,327 (1) |
| 11(11). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +38,695 (2) |
| 12(8). სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) | +39,765 (1) |
| 13(16). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +40,880 (1) |
| 14(14). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +49.085 (1) |
| 15(18). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | +56.827 (1) |
| 16(17). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 17(20). შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) | 1 წრე (2) |
| 18(19). გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) | 1 წრე (2) |
| 19(21). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | 1 წრე (1) |
| 20(22). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | 1 წრე (1) |
| 21(10). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 18 წრე |
| 22(15). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 53 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 222 (6 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 169 (2); 3. **ლუის ჰემილტონი** (მერსედესი, ბრიტანეთი) - 141 (1); 4. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 134 (1); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 130; 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 104 (2); 7. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 79; 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 57; 9. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 48; 10. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 36; 11. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 25; 12. **სერხიო პერესი** (მაკლარენი, მექსიკა) - 18; 13. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 18; 14. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ზაუბერი, გერმანია) - 17; 15. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 13; 16. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

### კონსტრუქტორთა თასი

**1. რედ ბული - 352; 2. ფერარი - 248; 3. მერსედესი - 245; 4. ლოტუსი - 191; 5. მაკლარენი - 66; 6. ფორს ინდია - 61; 7. ტორო როსო - 31; 8. ზაუბერი - 17; 9. უილიამსი - 1.**

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# საუკეთესოების ფინალი

უნიკალური სიტუაცია დაფიქსირდა ამერიკის ღია პირველობის ფინალების წინ - იშვიათად ხდება "დიდი სლემის" ტურნირებზე, როცა გადამწყვეტ მატჩში გადიან რეიტინგის პირველი და მეორე ნომრები.

პირველები კორტზე **სტანისლას ვავრინკა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გავიდნენ. ეს მატჩი უფრო საინტერესო იყო, ვიდრე მეორე ნახევარფინალი. ჯერ ერთი, ვავრინკამ წინა ორ ეტაპზე ძალიან დამაჯერებლად დაამარცხა **ტომაშ ბერდიხი** და **ენდი მარეი**, რაც მის კარგ ფორმაზე მეტყველებდა, გარდა ამისა, ყველას ახსოვდა ამ ჩოგბურთელთა თრილერი ავსტრალიის ღია პირველობაზე. საერთოდ, ჯოკოვიჩისა და ვავრინკას ურთიერთშეხვედრათა ანგარიში იყო - 12:2 ნოვაკის სასარგებლოდ. ძირითადად, სერბი მძიმედ იგებდა - ხუთი შეხვედრა გადამწყვეტ სეტში დასრულდა. ასევე უნდა აღინიშნოს საინტერესო ტენდენცია: ვავრინკამ ხუთჯერ მოიგო პირველი სეტი, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთხელ მიაღწია გამარჯვებას.

ისევე როგორც მელბურნში, ვავრინკამ კარგად დაიწყო შეხვედრა. საერთოდაც, მატჩის სცენარი ძალიან ჰგავდა მათ შეხვედრას ავსტრალიის ღიაზე. იქ ანგარიში იყო 6:1, 5:2 შვეიცარიელის სასარგებლოდ. აქ კი ვავრინკა 6:2, 4:2 დაწინაურდა. და ორივე შემთხვევაში, ნოვაკი გადაურჩა სეტებში 0:2-ს. სწორედ ამ დროს დაიწყო ნამდვილი თამაში. მატჩის შემდეგ, ჯოკოვიჩმა აღიარა, რომ მეტოქე მასზე გაცილებით კარგად და აქტიურად თამაშობდა, ნოვაკი კი ძირითადად მეტოქის შეცდომების მოლოდინში იყო, მაგრამ მოახერხა ბრეიკის დაბრუნება და მძიმე სეტის აღება ტაი-ბრეიკზე. შვეიცარიელს ნერვებმა უმტყუნეს – 2:3-ზე მან ორმაგი შეცდომა დაუშვა.

მართალია, სერბმა სეტებში ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ნოვაკი თავის ჩვეულ დონეზე გავიდა. ორივენი დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს, 3:4-ზე კი ჯოკოვიჩი ზედიზედ ოთხჯერ შეცდა და მეტოქეს ბრეიკი აჩუქა. შვეიცარიელმა ეს საჩუქარი მიიღო და სეტზე ჩააწოდა.

ვავრინკა გრძნობდა, რომ ჯოკოვიჩი არ იყო ფორმაში, ამიტომაც მესამე სეტის აქტიურად დაწყება და საქმის რაც შეიძლება სწრაფად მომთავრება სცადა, მაგრამ პირიქით მოხდა – სტანისლასმა წააგო პირველი სამი გეიმი, ჩოგანი დაამტვრია, მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო და ფეხი დაიზიანა. ექიმმა მას დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ შვეიცარიელმა მეხუთე სეტის თამაში ვერ აიცილა.

ნოვაკმა ისევ მოუმატა, გაცილებით ენერგიულად გამოიყურებოდა და უკეთ აღმოჩნდა მომზადებული მძიმე მატჩისთვის. გავლენა იქონია თამაშის მსვლელობაზე შვეიცარიელის დაზიანებამ: ის ყველა ბურთზე ველარ ასწრებდა და ველარ იყო ისეთი ზუსტი უკანა ხაზიდან. ვავრინკამ გაუძლო მარათონულ მესამე გეიმს (12-ჯერ დაფიქსირდა "თანაბარი"), რომელიც 21 წუთი გრძელდებოდა. მან მოიგო ეს დაძაბული გეიმი, მაგრამ ძალიან ბევრი ენერგია დახარჯა და წააგო მომდევნო საკუთარი მოწოდება, ხოლო ამის შემდეგ, მიღებაზე შანსი თითქმის აღარ ჰქონია - 2:6, 7:6 (7:4), 3:6, 6:3, 6:4.

ამ მოგებით, ჯოკოვიჩი შეინარჩუნებს პირველ ადგილს ახალ რეიტინგში. სერბი ზედიზედ მეოთხედ, ჯამში კი მეხუთედ გავიდა ამერიკის ღიას ფინალში. ეს გამარჯვება 50-ე იყო მისთვის ამ სეზონში.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთი ჩოგბურთელის მეორეზე უპირატესობა ძალიან დიდი იყო - **რიშარ გასკეს** ათიდან ერთხელაც არ ჰყავდა დამარცხებული **რაფაელ ნადალი**. მათი მე-11 მატჩის წინ, ბევრმა გაიხსენა შეხვედრა 1999 წელს, როცა ისინი 13 წლისანი იყვნენ და რიშარმა შეძლო რაფას დამარცხება.

ნადალმა მოიგო წილისყრა და მოწოდების მიღება აირჩია. როგორც გაირკვა, რაფამ სწორი არჩევანი გააკეთა, რადგან ფრანგი ძალიან ნერვიულობდა და მაშინვე წააგო საკუთარი მოწოდება. სეტის ბოლომდე ბრეიკი აღარ დაფიქსირებულა და ნადალმა ანგარიში წაიყვანა.

ესპანელმა იგივე მეორე სეტის სტარტზე გაიმეორა – ისევ აიღო მეტოქის მოწოდება პირველივე გეიმში. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტურნირზე რაფას არც ერთი საკუთარი მოწოდება არ ჰქონდა წაგებული, ამ სეტის მისთვის მიკუთვნება თავისუფლად შეიძლებოდა. მაგრამ გასკემ პატარი სასწაული მოახდინა – საპასუხო ბრეიკი გააკეთა და ანგარიში გაათანაბრა (ნადალის სერია 73-ე საკუთარ გეიმზე შეწყდა). ის გარკვეული ხანი ფლობდა ინიციატივას, მაგრამ ნადალი გაუმკლავდა რთულ მომენტს და ტაი-ბრეიკამდე მივიდა. შემოკლებულ გეიმში ბრძოლა არ გამოვიდა: ფრანგმა მაშინვე დაუშვა რამდენიმე შეცდომა და მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

0:2-ზე რიშარი აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ მარჯვნიდან დარტყმები და მისი საფირმო ბექჰენდი ნადალს დიდ პრობლემას არ უქმნიდა, არადა, ესპანელი თავის შესაძლებლობებზე სუსტად თამაშობდა. სეტის შუაში ნადალმა ბრეიკი გააკეთა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა – 6:4, 7:6(1), 6:2.

ნადალი მე-13 ტურნირს თამაშობს წელს და მე-12 ფინალში გავიდა. ჰარდზე მისი მოგებათა სერია 21 მატჩამდე ავიდა, TOP10-ის წევრებთან კი ამ სეზონში 16 მოგება და ერთი წაგება აქვს. რაფაელი მეთვრამეტედ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა ამერიკელ **პიტ სამპრასს**. ამ დუეტის წინ მხოლოდ **ივან ლენდლი** და **როჯერ ფედერერი** არიან.

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19) 3:6, 7:6(4), 3:6, 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-რიშარ გასკე (საფ, 8) 6:4, 7:6(1), 6:2.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# შარშანაც ასე იყო



ვიქტორია აზარენკა

ქალთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მომენტისთვის WTA-ის ორი საუკეთესო ჩოგბურთელი გავიდა ფინალში - ამერიკელი **სერენა უილიამსი** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**.

ორივემ ძალიან იოლად გაიარა ნახევარფინალური ბარიერი. უილიამსი ჩინელ **ნა ლის** ხვდებოდა, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში 8:1 იყო დაწინაურებული. მათი მატჩები თითქმის ყოველთვის რთულ ბრძოლაში მიმდინარეობდა - შვიდ მოგებულ შეხვედრაში სერენამ ექვსი პარტია ტაი-ბრეიკზე აიღო. მაგრამ, ამჯერად, ბრძოლა არ შედგა.

სერენამ თავიდანვე სერიოზულად მიხედა საქმეს და ლიმ მხოლოდ ორი გეიმი ჩაატარა თანაბარ ბრძოლაში. მაგრამ ეს გეიმები მაინც ამერიკელმა მოიგო და ამის შემდეგ, ჩინელის თამაში მოიშალა. ის შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და მალე "მშრალი" ანგარიშით დათმო სეტი.

ამას მოჰყვა მეორე სეტის სტარტზე ამერიკელის მხრიდან კიდევ ერთი გეიმის აღება და ისე გამოვიდა, რომ სერენას ზედიზედ 24 მოგებული გეიმი დაუგროვდა – ეს სერია **სლოუნ სტივენსთან** მერვედფინალში დაიწყო, როცა უილიამსმა ბოლო ხუთი გეიმი აიღო, შემდეგ 6:0, 6:0 გაანადგურა **კარლა სუარეს ნავარო** და ახლა, ზედიზედ შვიდი გეიმი მოუგო ნა ლის.

შესაძლოა, ლი არ იმსახურებდა ასეთი ანგარიშით წაგებას, მით უმეტეს, რომ მეორე სეტში ისევ ჩაება ბრძოლაში და ამჯერად, მოიგო რთული გეიმი მეტოქის მოწოდებაზე. იმ მომენტისთვის უილიამსი ბევრ შეცდომას უშვებდა და ისე ჩანდა, რომ სწრაფად ვერ გადალახავდა ამ ჩავარდნას. მაგრამ, ამის ნაცვლად, მან გაიბრძოლა იმ გეიმში, რომელშიც მეტოქეს სამმაგი გეიმბოლი ჰქონდა და საბოლოოდ, გაათანაბრა ანგარიში. სერენამ ისევ აქტიურად დაიწყო თამაში, ლი კი ჩქარობდა და შეცდომებს უშვებდა. თუმცა ბრძოლის ჟინი მან ბოლომდე შეინარჩუნა და 2:5-ზე ექვსი მატჩბოლიდან გადაარჩინა გეიმი, მაგრამ ამის შემდეგ, უილიამსმა თავისუფლად ჩააწოდა მატჩზე.

■ ■ ■

ოდნავ მეტი ჯაფა დაადგა ფინალში გასასვლელად **ვიქტორია აზარენკას**, რომელიც განუთესავ იტალიელ **ფლავია პენეტას** ხვდებოდა. მათ ურთიერთდაპირისპირებაში თანაფარდობა იყო, თან ფლავიამ მოიგო მათი ბოლო მატჩი 2011 წელს, დუბაის ჰარდზე.

აქაც, ყველაფერი ბრეიკით დაიწყო - აზარენკამ შეძლო მეტოქის მოწოდების აღება, მაგრამ იქვე დაეხმარა მეტოქეს თანაფარდობის აღდგენაში, როცა ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა. საერთოდ, პირველ სეტში ბევრი იყო საკუთარი გეიმების დაკარგვა (10 გეიმიდან შვიდში ბრეიკი დაფიქსირდა) და პენეტამ სამჯერ დაიბრუნა ბრეიკი. და მაინც, გადამწყვეტ მომენტში აზარენკამ მოწოდება ასე თუ ისე დაალაგა და პარტია მეექვსე სეტბოლზე თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტის სტარტზე ისევ ვიხილეთ ბრეიკების გაცვლა, შემდეგ კი გამოიკვეთა ვიქტორიას აშკარა სათამაშო უპირატესობა. ის უფრო სტაბილურად და მშვიდად თამაშობდა, უმკლავდებოდა მეტოქის კონტრშეტევებს და გათამაშებებს ბოლომდე არ კარგავდა კონცენტრაციას. თან პენეტას დაღლა დაეტყო. მართალია, იტალიელს დანებება არ უფიქრია და 1:4-ზე ერთი ბრეიკი მოიგო, მაგრამ მაინც დამარცხდა ორ სეტში – 4:6, 2:6.

ასე რომ, ქალთა ფინალის შემადგენლობა ისეთივეა, როგორიც გასულ წელს, ოღონდ, ახლა პირველ ნომრად განთესილი სერენაა. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ეს ჩოგბურთელები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ჰარდზე გამართულ ორივე მატჩში გამარჯვებული ბელარუსი ხდებოდა.

**1/2 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ნა ლი (ჩინ, 5) 6:0, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:4, 6:2.

## ამბები

**კრივი**

### ვიტალი 2014 წელს წავა?

ძმები **კლიჩკოების** პრომოუტერული კომპანია K2 Promotions-ის წარმომადგენელმა **ტომ ლეფლერმა** განაცხადა, რომ WBC-ის ვერსიით მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო კარიერას 2014 წელს დაასრულებს.

ბოლოს უკრაინელი მოკრივე რინგზე 2012 წელს გავიდა, როცა ნოკაუტით დაამარცხა გერმანელი **მანუელ ჩარი**. წელს უფროს კლიჩკოს ტიტული უნდა დაეცვა კანადელ **ბერმეინ სტივერნთან** ბრძოლაში, მაგრამ შეხვედრა გადაიდო ვიტალის ტრავმის გამო. ეს ბრძოლა მომავალ წელს უნდა შედგეს.

ლეფლერის თქმით, 2014 წელს, ვიტალი კლიჩკო (45-2, 41KO) მხოლოდ ერთ ბრძოლას ჩაატარებს და ეს იქნება მისი გამოთხოვება პროფესიულ კრივთან. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ვიტალიმ განაცხადა, რომ 2015 წელს აპირებს კენჭი იყაროს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში.

**კალათბურთი**

### სმიტს მარიხუანა არ აპატიეს

"ნიუ იორკ ნიქსის" მცველი **ჯეი არ სმიტი** ხუთი მატჩით არის დისკვალიფიცირებული NBA-ის ანტინარკოტიკული პროგრამის დარღვევისთვის. ამ მომენტისთვის, კალათბურთელი აღდგენით კურსს გადის მუხლის ტრავმის შემდეგ და ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას 30 ოქტომბერს, როცა ახალ რეგულარულ ჩემპიონატში პირველ მატჩს ჩაატარებს მისი გუნდი.

სმიტის დისკვალიფიკაციის ათვლა დაიწყება იმ მატჩიდან, რომლისთვისაც ის სრულად იქნება გამოჯანმრთელებული. როგორც ამერიკული პრესა წერს, მცველმა მარიხუანას მოწევის გამო მიიღო სასჯელი.

გასულ სეზონში, სმიტი საშუალოდ 18.1 ქულასა და 5.3 მოხსნას აგროვებდა და NBA-ის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის პრიზი მიიღო. ამ ზაფხულს, კალათბურთელმა "ნიქსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 17.9 მილიონი დოლარი.

### გარიცხული შეყვარებულის ცემისთვის

"ოკლაჰომა სიტის" მცველი **დეანდრე ლიგინსი** გუნდიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ შეყვარებულის ცემაშია ბრალდებული. 25 წლის ლიგინსის ჩვენების თანახმად, ის მსხვერპლს თმაში წვდა, საწოლზე დააგდო და რამდენჯერმე მუშტი უთავაზა. ამ მომენტისთვის, მცველი თავდებით არის განთავისუფლებული.

2012-13 წლების სეზონში ლიგინსმა 39-ჯერ დაიცვა "ოკლაჰომას" ღირსება და საშუალოდ 1.5 ქულა და 1.4 მოხსნა დააგროვა.

### დაშიჩი ევრობასკეტიდან გააგდეს

ევრობასკეტის მონაწილე ჩერნოგორიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა გუნდიდან გაუშვა ფორვარდი **ვლადიმირ დაშიჩი**. ამის მიზეზი გახდა კალათბურთელის საქციელი. დაშიჩს არ მოეწონა მთავარი მწვრთნელის **ლუკა პავლიჩევიჩის** მუშაობის მეთოდები, აგრეთვე უკმაყოფილება გამოთქვა სათამაშო დროის ოდენობის გამო.

დაშიჩმა ევრობასკეტზე ორი მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 3.5 ქულითა და 3.0 მოხსნით დაეხმარა გუნდს.

### ტრაგედია უნგრეთში

ტრაგედია მოხდა უნგრეთში. ავტობუსი, რომელსაც მორიგ მატჩზე მიჰყავდა ქალთა კალათბურთის გუნდი "უნი დიორი", ავტოკატასტროფაში მოხვდა. შემხვედრი მანქანა საპირისპირო ზოლში გადავიდა და ავტობუსს შეეჯახა.

ადგილზე დაიღუპა გუნდის მენეჯერი **პეტერ ტაპოდი**, მთავარმა მწვრთნელმა **ფუზი აკოსმა** კი უმძიმესი ტრავმები მიიღო და მაშინ გარდაიცვალა, როცა ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაჰყავდათ.

სერიოზული ტრავმები მიიღო ერთ-ერთმა მოთამაშემ – 19 წლის სერბმა ლეგიონერმა **ნასტასა კოვაჩევიჩმა**. მას ორივე ფეხი ძლიერ ჰქონდა დაზიანებული და ამპუტაცია გახდა საჭირო.

**ავტოსპორტი**

### ტოდტს ისევ პრეზიდენტობა უნდა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ფრანგმა **ჟან ტოდტმა** დაადასტურა, რომ მეორე ვადით აპირებს არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებას. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ოქტომბერში გაიმართება. ეს პოსტი ტოდტს 2009 წლიდან უკავია, როცა მან ბრიტანელი **მაქს მოსლი** შეცვალა.

*"რატომ არ უნდა ვცადო დაწყებული სამუშაოს ბოლომდე მიყვანა?"* - მოჰყავს ტოდტის სიტყვები გამოცემა Auto Motor und Sport-ს.

ტოდტის ერთი კონკურენტის ვინაობა უკვე ცნობილია. უფრო ადრე, არჩევნებში მონაწილეობა დაადასტურა ფედერაციის ფონდის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა **დევიდ უორდმა**. 2009 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ტოდტმა ფინელი **არი ვატანენი** დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## რაგბი. ოთხი ერი



აარონ სმითის ლელო

# ბოკე თუ ოლ ბლექსი

**ოთხი ერის გათამაშების პირველი წრის დასრულების შემდეგ, საბოლოოდ გამოიკვეთა ის ორი გუნდი, რომლებიც რეალურად იბრძოლებენ პირველობისთვის. ტურნირის დაწყებისასაც ნათლად ჩანდა, რომ ფავორიტები ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებები იყვნენ.**

„ოლ ბლექსმა" მესამე ტურის შეხვედრა შინ, ჰემილთონში გამართა არგენტინის ეროვნულ გუნდთან და 28:13 მოიგო. თუმცა ამ გამარჯვებას ვერაფრით დავარქმევთ იოლს. „პუმებმა" ბოლომდე, შეუპოვრად იბრძოლეს და მასპინძლებს თავსატეხი მრავლად გაუჩინეს. დასტურად ისიც საკმარისია, რომ ახალზელანდიელთა გუნდის კაპიტანმა და ლიდერმა, **რიჩი მაქოამ** ისევ ტრავმა მიიღო და ძნელი სათქმელია, მომავალ შეხვედრაში ითამაშებს თუ არა.

თამაში ყველასთვის მოულოდნელად არგენტინელთა შეტევებით დაიწყო და სტუმრებმა უკვე მე-4 წუთზე ლელო გაიტანეს. შეცდომა საკუთარი 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან „ოლ ბლექსის" დებიუტანტმა შუამარბმა **ფრანსის საილიმ** დაუშვა. მას ბურთი ხელიდან გაუვარდა. არგენტინელებმა ის უმალვე აიტაცეს, მარცხნივ სწრაფად ჩაათამაშეს და ჩათვლის მოედანში მესამეხაზელმა **ხუან მანუელ ლეგუსამონმა** შეაღწია. მგეზავმა **ნიკოლას სანჩესმა** გარდასახა.

ახალი ზელანდიის ნაკრები თამაშის აწყობას დიდხანს მოუნდა. ანგარიშში დაწინაურება მასპინძლებმა მხოლოდ 23-ე წუთზე შეძლეს, როცა 3:7 აგებდნენ და ცხრა ნომერმა **აარონ სმითმა** პირველი ლელო მიითვალა. მანვე სამ წუთში მესამეხაზელის **კირან რიდის** შესანიშნავი გადაცემა გამოიყენა და ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. მგეზავმა **დენ კარტერმა** ორიდან მხოლოდ ერთის გარდასახვა შეძლო - 15:7.

ნათელი გახდა, რომ „ოლ ბლექსი" მატჩის სადავეებს ხელიდან აღარ გაუშვებდა. თამაშის ბოლომდე არგენტინელებმა კიდევ ორი საჯარიმოს გატანა შეძლეს, რაზეც მასპინძლებმა ორი საჯარიმოთი და **ჯულიან სავეას** ლელოთი უპასუხეს.

სამი თამაშიდან სამივე წააგო ავსტრალიის ნაკრებმა. „ვოლაბები" ამჯერად სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან შინ ვერას გახდნენ. „ბოკე" თამაშიდან თამაშამდე უმატებს და ტურნირის ბოლოსთვის საკმაოდ სერიოზულ ძალად ჩამოყალიბდება. სტუმრებმა დაცვაში შესანიშნავად იასპარეზეს და ავსტრალიელებს მხოლოდ ოთხი საჯარიმოს გატანის საშუალება მისცეს. მაშინ, როცა თვითონ ოთხი ლელო მიითვალეს და ამდენივე საჯარიმოც ზედ მიაყოლეს.

გადამწყვეტი შეხვედრაში ის რვაწუთიანი მონაკვეთი გამოდგა, რომელშიც სამხრეთაფრიკელებმა სამი ლელო გაიტანეს. „ვოლაბები" ამან საბოლოოდ გატეხა და 12:38 წააგეს. ავსტრალიელები ახლა ნული ქულით სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე არიან.

### ახ. ზელანდია-არგენტინა 28:13

**ახალი ზელანდია** (15-9) დაგი (პიუტაუ 72), ბ. სმითი, კ. სმითი, საილი, სავეა, კარტერი (ბარეტი 54), ა.სმითი (კერ-ბარლოუ 75). (1-8) ვუდკოქი (კროკეტი 40), ჰორი (კოლი 46), ფაუმუინა (ფენქსი 70), რეტალეკი, ვაიტლოქი (თრუში 78), ლუატუა, მაქოა (კენი 59), რიდი.

**3ლ:** ა. სმითი (2), სავეა. 3ს: კარტერი (2), ბარეტი. 2გ: კარტერი.

**არგენტინა** (15-9) ჰენანდესი, კამაჩო (ამოროსინო 45), ბოსხი, ფერნანდესი (კონტეპომი 70), აგუჯა, სანჩესი, ლანდახო (კუბელი 64) (1-8) აიერსა (ლობო 69), გინასუ (კრევი 49), ფიგალო (ორლანდი 62), კარისა. კაბეჯო (გალარსა 55), ლობე, მატერა (მაკომე 75), ლეგუსამონი.

**ლ:** ლეგუსამონი. 2ს,გ: სანჩესი.

**მსაჯი:** ჟერომ გარსე (საფრანგეთი)

### ავსტრალია-სამხ. აფრიკა 12:38

**ავსტრალია** (15-9) ფოლაუ, კამინსი, ეშლი-კუპერი, ლეალიიფანო (ტოომია 74), ოკონორი, კუპერი, გენია (ვაითი 69). (1-8) სლიპერი (სიო 68), მური (ფაინგაა 74), კეპუ (ალექსანდერი 48), საიმონსი, ჰორვილი, ფერდი, ჰოპერი (გილი 69), მოვენი (მაკკალმენი 70).

**4ს:** ლეალიიფანო.

**სამხრეთ აფრიკა** (15-9) კირხნერი, ლე რუ, ენგელბერხტი, დე ფილიერსი (სერფონტეინი 70), ჰაბანა, სტეინი (ლამბიე 70), პინარი (ვერმაკი 75). (1-8) მთავარირა (სტენკამპი 57), ბ. დუ პლესი (სტრაუსი 57), ი. დუ პლესი (ოსტჰუიზენი 57)), ესტებესი, ფან დერ მერვე (კრუხერი 57), ლოუ, ალბერტსი, ვერმეულენი.

**4ლ:** ოსტჰუიზენი, დე ფილიერსი, კირხნერი, ლე რუ. 3გ,4ს: სტეინი.

**მსაჯი:** ჯორჯ კლენსი (ირლანდია)

### სატურნირო მდგომარეობა

1. სამხრეთ აფრიკა - 14 ქულა, 2. ახალი ზელანდია - 13, 3. არგენტინა - 1, 4. ავსტრალია - 0.

### IV ტური

ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია-არგენტინა

ბესიკ ჯანგვაძე

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2015

##### UNDER 21

| | |
|---|---|
| ისრაელი-აზერბაიჯანი | 1:1 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ავსტრალია | 6:0 |
| კანადა-მავრიტანია | 0:0 |

#### ინგლისი

##### I ლიგა

| | |
|---|---|
| მილტონი-სუინდონი | 1:1 |
| ტრანმერი-სტივენეიჯი | 0:0 |
| ქროული-ჯილინგემი | 3:2 |
| ქრიუ-პიტერბრო | 2:2 |
| როტერჰემი-შეფილდი | 3:1 |
| ბრედფორდი-ბრენტფორდი | 4:0 |
| კარლაილი-პორტ ვეილი | 0:1 |
| ქოვენთრი-კოლჩესტერი | 2:0 |

##### II ლიგა

| | |
|---|---|
| ჩელტენემი-პორტსმუტი | 2:2 |
| ჩესტერფილდი-აკრინგტონი | 1:0 |
| დაგენჰემი-ექსეტერი | 1:1 |
| ნორთჰემპტონი-სკანთორპი | 1:1 |
| საუთენდი-მორეკამბი | 1:3 |
| როჩდეილი-ბერი | 1:0 |
| ნიუპორტი-მენსფილდი | 1:1 |
| იორკი-უიმბლდონი | 0:2 |
| ჰარლტპული-უიკომბი | 1:2 |
| ფლიტვუდი-ტორკი | 4:1 |
| პლიმუტი-როვერსი | 1:0 |
| ბარტონი-ოქსფორდი | 0:2 |

##### ნასიონალი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-მაკლსფილდი | 1:0 |
| ალფრეტონი-უოკინგი | 3:1 |
| ბრენტრი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| ჩესტერი-დარტფორდი | 0:0 |
| გეიტშიდი-ჰერეფორდი | 2:1 |
| ჰალიფაქსი-ბარნეტი | 2:1 |
| ჰაიდი-კემბრიჯი | 0:1 |
| ლინკოლნი-სალისბერი | 0:1 |
| ნანიტონი-რექსჰემი | 2:0 |
| ტამუორტი-საუთპორტი | 4:1 |
| უელინგი-კიდერმინსტერი | 1:2 |
| ლუტონი-გრიმსბი | 0:0 |

#### იტალია

##### სერია B

| | |
|---|---|
| სპეცია-კაპრი | 0:2 |
| ბრეშა-ნოვარა | 1:1 |
| ჩეზენა-ლანჩანო | 0:1 |
| ემპოლი-ტრაპანი | 1:1 |
| ლატინა-ვარეზე | 0:3 |
| მოდენა-ჩიტადელა | 2:0 |
| პესკარა-კროტონე | 2:2 |
| რეჯინა-იუვე სტაბია | 3:1 |
| სიენა-ბარი | 3:2 |
| აველინო-ტერნანა | 1:0 |
| პადოვა-პალერმო | 0:3 |

##### სერია C1/A

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-ზუდტიროლი | 3:1 |
| კარარეზე-ენტელა | 0:1 |
| კომო-ვიჩენცა | 2:0 |
| კრემონეზე-ფერალპიზალი | 3:1 |
| პავია-სავონა | 2:1 |
| პრო ვერჩელი-პროპატრია | 1:0 |
| რეჯანა-სან მარინო | 2:0 |
| ვენეცია-ლუმეცანე | 5:3 |

##### სერია C1/B

| | |
|---|---|
| პიზა-ფროსინონე | 1:1 |
| ვიარეჯო-ნოჩერინა | 1:1 |
| პრატო-კატანძარო | 0:0 |
| ასკოლი-ბარლეტა | 0:0 |
| გროსეტო-ბენევენტო | 1:1 |
| ლეჩე-ლაკილა | 1:2 |
| პაგანეზე-პონტედერა | 1:2 |
| პერუჯა-გუბიო | 2:1 |

#### ესპანეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ალავესი-საბადელი | 1:1 |
| მალიორკა-ალკორკონი | 2:1 |
| სარაგოსა-ლუგო | 0:1 |
| ნუმანსია-ლას პალმასი | 1:1 |
| დეპორტივო-მურსია | 0:1 |
| პონფერადინა-სპორტინგი | 2:2 |
| ეიბარი-კორდოვა | 1:0 |
| რეალ ხაენი-ხირონა | 3:1 |
| რეალ კასტილია-მირანდესი | 0:1 |
| ტენერიფე-ბარსელონა B | 2:2 |
| რეკრეატივო-ერკულესი | 2:0 |

#### გერმანია

##### III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ხემნიცი-ჰანზა | 1:1 |
| ელვერსბერგი-ლაიპციგი | 1:0 |
| ჰაიდენჰაიმი-შტ. კიკერსი | 2:0 |
| კილი-ერფურტი | 1:2 |
| რეგენსბურგი-ზაარბრიუკენი | 2:0 |
| შტუტგარტი II-ბურგჰაუზენი | 4:0 |
| ვეენი-დუისბურგი | 2:0 |

##### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

| | |
|---|---|
| მემინგენი-ვიქტორია (ა) | 1:3 |
| მიუნხენი II-შალდინგი | 2:1 |
| ჰაიმშტეტენი-ფიურტი II | 0:1 |
| აუგსბურგი II-გუხბახი | 1:1 |
| რაინი-შვაინფურტი | 2:2 |
| ვიურცბურგერი-ნიურნბერგი II | 4:2 |
| როზენჰაიმი-ინგოლშტადტი II | 1:1 |
| ილერტისენი-აინტრახტი (ბ) | 4:1 |

##### რეგიონალლიგა (ჩრ)

| | |
|---|---|
| გოსლარერი-სტ. პაული II | 3:2 |
| მეპენი-ვილჰელმშავენი | 0:1 |
| აინტრახტი (ნ)-ჰამბურგი II | 1:0 |
| ვიქტორია-ნოიმუნსტერი | 1:3 |
| რედენი-ჰანოვერი II | 1:1 |
| ოლდენბურგი-ჰაველსე | 5:2 |
| აიხედი-ვოლფსბურგი II | 0:6 |

##### რეგიონალლიგა (დ)

| | |
|---|---|
| ვიქტორია-ობერჰაუზენი | 3:0 |

##### რეგიონალლიგა (ს-დ)

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი II-ულმი | 1:1 |
| ჰომბურგი-ზონენჰოფი | 0:3 |
| კაიზერი II-ვორმატია | 1:1 |
| ოფენბახი-მაინცი II | 2:1 |
| ნეკარელცი-ბაუნატალი | 3:0 |
| აინტრახტი II-ცვაიბრიუკენი | 3:0 |
| პფიულენდორფი-კობლენცი | 1:2 |

#### საფრანგეთი

##### ნასიონალი

| | |
|---|---|
| ბურჟი-კოლმარი | 4:2 |
| პონ დუ გარი-ლუკონი | 4:2 |
| ორლეანი-გფკო აიაჩო | 1:1 |
| დუნკერკი-ამიენი | 2:1 |
| ფრეჟუსი-პარიზი | 0:1 |
| ლე პუარი-კარკეფუ | 1:1 |
| რედ სტარი-ბულონი | 0:1 |
| სტრასბური-ვანი | 2:0 |
| კოლომიერი-ლუზენაკი | 0:0 |

#### ჰოლანდია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ალმერი-სპარტა | 2:4 |
| დენ ბოში-ვოლენდამი | 2:4 |
| გრააფსხაპი-ტელსტარი | 3:0 |
| დორდრეხტი-ვენლო | 5:0 |
| მაასტრიხტი-ექსელსიორი | 0:1 |
| ვილემი-პსვ II | 2:0 |
| ახილესი-აიაქსი II | 2:1 |
| ფორტუნა-ჰელმონდი | 5:2 |

#### ბელგია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| მუსკრონი-ანტვერპენი | 1:0 |
| ლომელი-რუზელარე | 0:0 |
| ტუბეკე-ვოლუვე | 0:3 |
| ეუპენი-დესელი | 5:0 |
| ვირტონი-ვესტერლო | 0:1 |
| ჰაისტი-ჰუგსტრატენი | 2:1 |
| სტ. ტრუიდენი-ბრიუსელი | 1:0 |
| ვიზე-ბორინაჟი | 0:1 |
| გეელი-აალსტი | 0:1 |

#### პორტუგალია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-ტროფენსე | 1:0 |
| მორეირენსე-ფარენსე | 2:1 |
| სანტა კლარა-ოლივეირენსე | 1:0 |
| ტონდელა-ფეირენსე | 2:0 |
| ვიზეუ-შავეში | 1:2 |

#### დანია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| მარიენლისტი-ბრონსჰოი | 1:2 |
| ჰვიდოვრე-ჰორსენსი | 1:4 |
| ვენდსისელი-აკადემისკი | 1:0 |
| ფრედერისია-ლუნგბიუ | 2:5 |

#### ნორვეგია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰიოდი-ბოდო გლიმტი | 2:1 |
| რანჰაიმი-კრისტიანსუნდი | 1:1 |
| სტრიომენი-ულ კისა | 3:2 |
| ჰამ კამი-ბრინი | 3:2 |
| მიონდალენი-კონგსვინგერი | 3:0 |
| ვარდ ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი | 2:1 |

#### ფინეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ოპს-იიპო | 3:0 |
| პკ35-კოტეპე | 1:0 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| შემროკი-კორკი | 2:1 |
| ბოჰემიანსი-სლიგო | 0:2 |
| ლიმერიკი-სტ. პატსი | 0:0 |
| ბრეი-უნივერსიტი | 1:1 |
| დანდალკი-დროგედა | 1:0 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| მერვუ-უოტერფორდი | 1:0 |
| ლონგფორდი-ფინ ჰარპსი | 3:1 |
| კობ რამბლერსი-ეთლონი | 0:1 |
| უექსფორდი-გალვეი | 2:1 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-ბანგორი | 0:3 |
| ეირბასი-ნიუთაუნი | 6:1 |
| კარმარტენი-რილი | 1:0 |
| პორტ ტელბოტი-ებერისტვიტი | 3:0 |
| პრესტატინი-ქონეჰსი | 1:2 |

#### ჩეხეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-კარვინა | 1:0 |
| ლოკო-ბუდეიოვიცე | 0:5 |
| პარდუბიცე-ჟლინი | 1:0 |
| უსტი-სლოვანი | 0:0 |
| ვლაშიმი-ტაბორსკო | 0:3 |
| ფრიდეკი-ტრშინეცი | 0:1 |
| მოსტი-ჟიჟკოვი | 2:2 |
| ჰრადეცი-სოკოლოვი | 2:0 |

#### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| არდსი-ლინფილდი | 1:3 |
| ბალიმენა-კლიფტონვილი | 0:1 |
| დუნგანონი-კოლრეინი | 1:0 |
| გლენავონი-უორენპოინტი | 3:1 |
| გლენტორანი-კრუზეიდერსი | 0:3 |
| პორტდაუნი-ბალინამალარდი | 11:0 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| ტაურასი-სუდუვა | 3:3 |

#### არგენტინა

| | |
|---|---|
| ველესი-ნიუელსი | 3:0 |
| ესტუდიანტესი-ბელგრანო | 1:1 |
| გოდოი-კოლონი | 1:0 |
| არგ. ხუნიორსი-ოლ ბოისი | 1:0 |
| ატ. რაფაელა-ხიმნასია | 2:1 |
| რასინგი-ლანუსი | 1:1 |
| როსარიო-სან ლორენსო | 0:2 |
| კილმესი-არსენალი | 0:1 |
| რივერი-ტიგრე | 3:0 |

#### ბრაზილია

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ბაია | 1:0 |
| პონტე პრეტა-ინტერნასიონალი | 1:3 |
| სანტოსი-გოიაში | 1:0 |
| ვიტორია-ატ. მინეირო | 1:1 |
| გრემიო-პორტუგეზა | 3:2 |
| კორინთიანსი-ნაუტიკო | 0:0 |
| კორიტიბა-სან პაულუ | 2:0 |
| კრუზეირო-ფლამენგო | 1:0 |

#### მექსიკა

| | |
|---|---|
| კერეტარო-პუებლა | 1:0 |
| ტიხუანა-ვერაკრუსი | 3:0 |
| ამერიკა-მონტერეი | 1:0 |
| ტიგრესი-გვადალახარა | 3:3 |
| პაჩუკა-პუმასი | 0:0 |
| ატლანტე-მორელია | 2:2 |
| ლეონი-ხაგუარესი | 0:1 |
| ატლასი-ს. ლაგუნა | 2:2 |
| ტოლუკა-კრუს ასული | 1:2 |

#### კოლუმბია

| | |
|---|---|
| ჩიკო-მილიონარიოსი | 1:1 |
| ატ. ნასიონალი-დეპ, კინდიო | 2:1 |
| ალ. პეტროლერა-იტაგუი | 1:0 |

#### პარაგვაი

| | |
|---|---|
| ლუკენო-ნასიონალი | 2:2 |

#### ურუგვაი

| | |
|---|---|
| მირამარი-რენტისტასი | 1:1 |
| რივერი-სერო ლარგო | 3:1 |

#### აშშ

| | |
|---|---|
| დალასი-ვანკუვერი | 3:1 |
| კანზას სიტი-კოლამბუსი | 3:0 |
| სიეტლი-ჩიკაგო | 2:1 |
| ლოს ანჯელესი-კოლორადო | 0:1 |
| პორტლენდი-ტორონტო | 4:0 |
| ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1:4 |

### კალათბურთი

#### ევრობასკეტი

| | |
|---|---|
| ბრიტანეთი-გერმანია | 81:74 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 71:77 |
| ისრაელი-ბელგია | 87:69 |
| ბოსნია-მაკედონია | 62:54 |
| სერბეთი-ლატვია | 80:71 |
| ლიტვა-ჩერნოგორია | 77:70 (ო) |
| პოლონეთი-ესპანეთი | 53:89 |
| სლოვენია-ხორვატია | 74:76 (ო) |
| ფინეთი-რუსეთი | 86:83 (ო) |
| საბერძნეთი-იტალია | 72:81 |
| შვედეთი-თურქეთი | 74:87 |

### ფრენბურთი

#### ევ. ჩემპიონატი

##### ქალები

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ხორვატია | 0:3 |
| ჩეხეთი-ბულგარეთი | 3:2 |
| ესპანეთი-ჰოლანდია | 0:3 |
| შვეიცარია-საფრანგეთი | 2:3 |
| პოლონეთი-სერბეთი | 1:3 |
| რუსეთი-აზერბაიჯანი | 3:0 |
| გერმანია-თურქეთი | 3:0 |
| ბელგია-იტალია | 3:1 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ლოკომოტივი | 5:2 |
| იუგრა-ატლანტი | 4:1 |
| ავტომობილისტი-სკა | 4:6 |
| ბარისი-სევერსტალი | 10:1 |
| ტორპედო-ტრაქტორი | 3:4 |
| აკ ბარსი-ს. იულიაევი | 4:3 (ბ) |
| ვიტიაზი-მეტალურგი (მ) | 4:5 |
| დინამო (მ)-ნეფტეხიმიკი | 4:0 |
| სპარტაკი-სლოვანი | 5:0 |
| დინამო (მნ)-ცსკა | 1:2 (ო) |
| დონბასი-ლევი | 3:2 (ო) |
| ზაგრები-დინამო (რ) | 1:5 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ლინცი-გრაცი | 2:0 |
| ზნოიმო-ფეჰერვარი | 2:4 |
| ინსბრუკი-ბოლცანო | 1:6 |
| ვენა-კლაგენფიურტი | 4:1 |

euro pe-bet

# იტალია ერთადერთი დაუმარცხებელია

ევროპასკეტის პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა და დღევანდელ მატჩებში დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი, რადგან მხოლოდ D ჯგუფშია გარკვეული ყველაფერი. აქ უკვე გაინაღდა პირველი ადგილი იტალიამ, რომელიც ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია. მასთან ერთად, მეორე რაუნდში გადავიდნენ საბერძნეთი და ფინეთი. შინ მიემგზავრებიან თურქეთი და რუსეთი, რაც პირველი ეტაპის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა.

## A ჯგუფი

**ბრიტანეთი 81**
16:23, 26:15, 17:18, 22:18
**გერმანია 74**

ბ: ლოურენსი (23), ჰესონი (21+11 მოხსნა), კლარკი (17+7 მოხსნა), ეჩარა (11+5 მოხსნა).
გ: პლიაისი (20+14 მოხსნა), ბენცინგი (12), კინგი (11).
**ორქულიანები:** 13/37 (35,1%) - 20/40 (50,0%)
**სამქულიანები:** 12/30 (40,0%) - 8/22 (36,4%)
**საჯარიმოები:** 19/25 (76,0%) - 10/13 (76,9%)
**მოხსნები:** 40-37. **პასები:** 10-7. **შეცდომები:** 7-15.

**გადამწყვეტი მომენტი:** დაახლოებით მეოთხედნახევრის შემდეგ, გერმანია ათი ქულით იგებდა შეხვედრას (23:13), რასაც მოჰყვა ბრიტანეთის მხრიდან 11 უპასუხო ქულის ჩაგდება. ანგარიში გახდა 24:23 და ამის შემდეგ, გერმანელები მუდმივად მდევრის როლში იყვნენ. გერმანიამ დაკარგა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი, არადა, ამ გუნდმა პირველ ტურში ევრობასკეტის ფავორიტი საფრანგეთი დაამარცხა.

**მატჩის გმირი: ლოურენსმა** ორივე გუნდში ყველაზე მეტი ქულა (23) დააგროვა, თუმცა ასევე აღსანიშნავია **მაილს ჰესონის** 21 ქულა და 11 მოხსნა. აქედან შვიდი მოხსნა მეტოქის ფარზე მოდის.

**სტატისტიკა არ ტყუის:** გერმანელებმა ძალიან ბევრი - 15 შეცდომა დაუშვეს, რისი წყალობითაც, ბრიტანეთმა 19 ქულა აიღო.

**უკრაინა 71**
16:14, 20:21, 15:16, 20:26
**საფრანგეთი 77**

უ: ჯეტერი (20+6 მოხსნა), ნატიაჟკო (6+10 მოხსნა).
ს: პარკერი (28), დიაო (15), ჟელაბალი (10+5 მოხსნა), აჟინკა (5+11 მოხსნა).
**ორქულიანები:** 11/33 (33,3%) - 21/47 (44,7%)
**სამქულიანები:** 13/26 (50%) - 6/18 (33,3%)
**საჯარიმოები:** 10/18 (55,6%) - 17/24 (70,8%)
**მოხსნები:** 32-46. **პასები:** 9-9. **შეცდომები:** 13-12.

**გადამწყვეტი მომენტი: ტონი პარკერმა** მეოთხე მეოთხედი ზედიზედ ცხრა ქულით დაიწყო და საფრანგეთი ამის წყალობით 11:0 გაიქცა, რამაც თანაბარ თამაშში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

**მატჩის გმირი:** პარკერმა ამ ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან არა მარტო 28 ქულით გამოიჩინა თავი, არამედ რეალურად პირველად გამოავლინა ლიდერის ფუნქციები.

**სტატისტიკა არ ტყუის:** პირველ სამ მეოთხედში პარკერმა 13 ქულა დააგროვა და 10-დან ხუთი ბურთი მოათავსა კალათში. სამაგიეროდ, მეოთხე ათწუთეულში მის ანგარიშზე 15 ქულა და რვიდან ექვსი ჩაგდებული ბურთი მოდის.

**ისრაელი 87**
19:15, 22:18, 32:13, 14:23
**ბელგია 69**

ი: ნისიმი (23+5 პასი), ჰალპერინი (13+5 მოხსნა), ელიაჰუ (13+6 პასი), პნინი (12).
ბ: დე ზეუვი (14), ერველი (13+7 მოხსნა).

**ორქულიანები:** 24/43 (55.8%) - 19/36 (52,8%)
**სამქულიანები:** 10/16 (62,5%) - 6/22 (27,3%)
**საჯარიმოები:** 9/15 (60%) - 13/21 (61,9%)
**მოხსნები:** 30-31. **პასები:** 23-13. **შეცდომები:** 9-11.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 321-279 | 7 |
| 2. უკრაინა | 4 | 3 | 1 | 291-284 | 7 |
| 3. ბელგია | 4 | 2 | 2 | 279-289 | 6 |
| 4. ბრიტანეთი | 4 | 2 | 2 | 292-309 | 6 |
| 5. გერმანია | 4 | 1 | 3 | 310-320 | 5 |
| 6. ისრაელი | 4 | 1 | 3 | 288-300 | 3 |

**ბოლო ტური. 9 სექტემბერი.** ბრიტანეთი-უკრაინა (16:30), გერმანია-ისრაელი (19:45), ბელგია-საფრანგეთი (23:00).

## B ჯგუფი

**ბოსნია 62**
16:15, 13:13, 12:17, 21:9
**მაკედონია 54**

ბ: ტელეტოვიჩი (22+7 მოხსნა), ჯედოვიჩი (20+7 მოხსნა+6 პასი), რაიტი (3+12 მოხსნა).
მ: მაკალები (19+6 მოხსნა), ანტიჩი (17+7 მოხსნა).
**ორქულიანები:** 14/36 (38,9%) - 18/41 (43,9%)
**სამქულიანები:** 7/19 (36,8%) - 3/25 (12,0%)
**საჯარიმოები:** 13/16 (81,3%) - 9/15 (60,0%)
**მოხსნები:** 45-34. **პასები:** 11-8. **შეცდომები:** 16-9.

**გადამწყვეტი მომენტი:** ბოსნიის ნაკრებმა შეხვედრა მთავარი მწვრთნელის **ალექსანდრ პეტროვიჩის** გარეშე დაასრულა - მეოთხე მეოთხედში მსაჯმა ის მოედნიდან გააძევა მეორე ტექნიკური ჯარიმის გამო. ამ ფაქტმა ბოსნიელი კალათბურთელები კიდევ უფრო აგრესიული გახადა და მათ მეოთხედის წინ ოთხქულიანი ჩამორჩენა რვაქულიან უპირატესობად აქციეს, რითაც წინა ევრობასკეტის მეოთხე პრიზიორი ჯგუფში ჩატოვეს.

**მატჩის გმირი: ნიჰად ჯედოვიჩმა** თავისი 20 ქულიდან 12 მეორე ტაიმში დააგროვა და დიდი წვლილი შეიტანა ბოსნიის მოგებაში.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ბოსნიამ მეტოქეზე შვიდით მეტი შეცდომა დააგროვა და მეტოქეს 14 იოლი ქულის მოპოვების საშუალება მისცა, თუმცა მეოთხე მეოთხედში უშეცდომოდ ითამაშა.

**სერბეთი 80**
28:15, 10:13, 20:25, 22:18
**ლატვია 71**

ს: ნენად კრსტიჩი (25+5 მოხსნა), ბიელიცა (11+5 მოხსნა), კატიჩი (11), კალინიჩი (2+11 მოხსნა).
ლ: იანიჩენოკსი (18), ბერტანში (14), ბლუმსი (12), მეიერსი (10).
**ორქულიანები:** 23/44 (52,3%) - 14/30 (46,7%)
**სამქულიანები:** 5/18 (27,8%) - 8/24 (33,3%)
**საჯარიმოები:** 19/24 (79,2%) - 19/30 (63,3%)
**მოხსნები:** 39-33. **პასები:** 15-10. **შეცდომები:** 15-15.

**გადამწყვეტი მომენტი:** მეოთხე მეოთხედის კრიტიკულ მომენტში, სერბეთის ნაკრებმა მეტოქის ზედიზედ სამი შეტევა მოიგერია, შეტევაში კი ჯერ **სტეფან მარკოვიჩმა** ჩააგდო ორქულიანი და ოთხი წუთით ადრე ექვს ქულამდე გაზარდა სერბეთის უპირატესობა, შემდეგი შეტევისას კი **ნემანია ნედოვიჩმა** მოათავსა კუთხიდან სამქულიანი და პრაქტიკულად გაუნაღდა თავის გუნდს რთული გამარჯვება.

**მატჩის გმირი: ნენად კრსტიჩმა** პირველ მეოთხედში 13 ქულა ჩააგდო და საფუძველი ჩაუყარა თავისიანების გამარჯვებას. მეორე და მესამე მეოთხედებში მისმა პროდუქტიულობამ იკლო, სამაგიეროდ, მატჩის ბოლო ორ წუთში ზუსტმა ტყორცნებმა კრსტიჩი საბოლოოდ აქცია ამ შეხვედრის გმირად.

**სტატისტიკა არ ტყუის:** სერბეთი დომინირებდა სამწამიანში: პირველ ტაიმში ამ ზონიდან დაგროვილი ქულებით ლატვიას 24:10 მოუგო, მეორეში - 36:20.

**ლიტვა 77 (ო)**
19:19, 13:15, 19:13, 12:16, 14:7
**ჩერნოგორია 70**

ლ: კ. ლავრინოვიჩი (24), ვალანჩუნასი (12+10 მოხსნა), კალნიეტისი (10+7 პასი), კლეიზა (10).
ჩ: რაისი (19), დუბლევიჩი (14+6 მოხსნა).
**ორქულიანები:** 17/36 (47,2%) - 21/42 (50%)
**სამქულიანები:** 10/23 (43,5%) - 6/29 (20,7%)
**საჯარიმოები:** 13/18 (72,2%) - 10/16 (62,5%)
**მოხსნები:** 31-44. **პასები:** 17-10. **შეცდომები:** 9-14.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 4 | 3 | 1 | 275-259 | 7 |
| 2. სერბეთი | 4 | 3 | 1 | 295-283 | 7 |
| 3. ლატვია | 4 | 2 | 2 | 289-294 | 6 |
| 4. ბოსნია | 4 | 2 | 2 | 280-287 | 6 |
| 5. მაკედონია | 4 | 1 | 3 | 290-293 | 5 |
| 6. ჩერნოგორია | 4 | 1 | 3 | 293-306 | 5 |

**ბოლო ტური. 9 სექტემბერი.** ლატვია-მაკედონია (16:30), ლიტვა-ბოსნია (19:45), ჩერნოგორია-სერბეთი (23:00).

## D ჯგუფი

**რუსეთი 62**
15:18, 14:16, 16:18, 17:29
**შვედეთი 81**

რ: შვედი (15), ანტონოვი (13).
შ: ტეილორი (25+6 მოხსნა+4 პასი), ჟერებკო (22+13 მოხსნა), გრინი (11).
**ორქულიანები:** 18/41 (43,9%) - 26/51 (51,0%)
**სამქულიანები:** 3/17 (17,6%) - 5/14 (35,7%)
**საჯარიმოები:** 17/24 (70,8%) - 14/19 (73,7%)
**მოხსნები:** 31-44. **პასები:** 14-14. **შეცდომები:** 24-22.

**გადამწყვეტი მომენტი:** მესამე მეოთხედში ერთი ქულით ჩამორჩენის (34:35) შემდეგ, შვედების ოკეანისგაღმელმა ლეგიონერებმა - **ჯეფრი ტეილორმა და იონას ჟერებკომ** ჯამში 12 ქულა დააგროვეს და საკუთარ გუნდს 16:3 გაქცევის საშუალება მისცეს. სწორედ ამ სპურტის შემდეგ გადაწყდა ამ მატჩის ბედი.

**მატჩის გმირი:** ჯეფრი ტეილორი 25 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო. ამას ემატება ექვსი მოხსნა, ოთხი პასი და სამი ჩაჭრა. შეხვედრის ყველაზე ლამაზი ეპიზოდიც „შარლოტ ბობკეტსის" კალათბურთელის მონაწილეობით შედგა - მან 360 გრადუსი ბრუნის შემდეგ ჩატენა ბურთი კალათში.

**სტატისტიკა არ ტყუის:** 22 შეცდომის მიუხედავად, შვედეთის დაცვამ მეტოქეს 17-დან მხოლოდ სამი სამქულიანი ჩააგდებინა. გარდა ამისა, სკანდინავიელები კარგად აკონტროლებდნენ ფარს - მოხსნებში 44:31 მოიგეს.

**იტალია 62**
14:17, 17:9, 15:8, 16:10
**ფინეთი 44**

ი: დატომე (10+8 მოხსნა+4 პასი), ჩინჩარინი (9+8 მოხსნა).
ფ: კოპონენი (8), სალინი (8+6 მოხსნა), რანიკო (8).
**ორქულიანები:** 19/45 (42,2%) - 15/40 (37,5%)
**სამქულიანები:** 4/12 (33,3%) - 3/26 (11,5%)
**საჯარიმოები:** 12/18 (66,7%) - 5/11 (45,5%)
**მოხსნები:** 47-36. **პასები:** 10-5. **შეცდომები:** 13-11.

**გადამწყვეტი მომენტი:** ლიდერთა მატჩში ფინეთმა 6:2 გაქცევით დაიწყო მეორე ტაიმი და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ **პიეტრო არადორიმ** და **ნიკოლო მელიმ** ერთად 13:2 გაქცევის მოწყობა შეძლეს და ბოლო მეოთხედის წინ, იტალიას 12-ქულიანი უპირატესობა მოუტანეს.

**მატჩის გმირი:** ამ მოგებაში ყველამ შეიტანა წვლილი, თუმცა ნიკოლო მელიმ უკვე ნახსენებ გაქცევაში დიდი როლი ითამაშა, გარდა ამისა, ექვსი ქულა და ექვსი მოხსნა დააგროვა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ფინეთმა თამაშიდან 37 პროცენტის სიზუსტით ისროლა და საერთოდ ვერ გამოიყენა თავისი მთავარი იარაღი - შორეული ტყორცნა. სკანდინავიელთა 26 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ სამმა მიაღწია მიზანს. არადა, წინა ორ მატჩში ფინეთი 36 და 38 პროცენტის სიზუსტით აგდებდა სამქულიანებს.

**თურქეთი 60**
16:21, 19:20, 14:23, 12:20
**საბერძნეთი 84**

თ: ილიასოვა (13+3 ჩაჭრა), არსლანი (9+5 პასი), პრელჯიჩი (9), გიონლუმი (8+8 მოხსნა).
ს: ბურუსისი (21), სლუკასი (14), პერპეროგლუ (12+5 მოხსნა), პაპანიკოლაუ (11), ზისისი (6+11 პასი).
**ორქულიანები:** 17/32 (53,1%) - 22/37 (59,5%)
**სამქულიანები:** 4/17 (23,5%) - 10/15 (66,7%)
**საჯარიმოები:** 15/24 (62,5%) - 10/18 (55,6%)
**მოხსნები:** 25-30. **პასები:** 12-21. **შეცდომები:** 12-12.

**გადამწყვეტი მომენტი:** თურქეთი პირველ ტაიმში ასე თუ ისე პასუხობდა მეტოქის სამქულიანებს, მაგრამ მეორე ტაიმში **სტრატოს პერპეროგლუმ** და **ანტონის ფოცისმა** შორეული ტყორცნებით 14:6 გაქცევის საშუალება მისცეს საკუთარ გუნდს, რითაც ბერძნების უპირატესობა 13 ქულამდე გაიზარდა - 59:46.

**მატჩის გმირი: იანის ბურუსისი** შეუჩერებელი იყო - 10-დან რვა სროლა ჩააგდო და 21 ქულით ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** საბერძნეთმა თითქმის 60-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა თამაშიდან, სამქულიანებს კი უფრო ეფექტურად იყენებდა - 66.7 პროცენტი. გარდა ამისა, გამარჯვებულმა გუნდმა 21 შედეგიანი პასიც შეასრულა. მატჩის ანტიგმირი იყო **ჰედო თუროქგლუ** - მან თამაშიდან ცხრავე ტყორცნა ააცილა.

**ფინეთი 86 (2ო)**
16:18, 15:12, 10:16, 26:21, 8:8,
**რუსეთი 83**

ფ: ჰუფი (20+9 მოხსნა), მოტოლა (12), კოტი (12+10 მოხსნა), სალინი (12+10 მოხსნა+4 პასი), კოპონენი (11+11 პასი+3 ჩაჭრა).
რ: შვედი (25+5 მოხსნა+6 პასი), ფრიძონი (16+10 მოხსნა+6 პასი), ანტონოვი (10+5 მოხსნა).
**ორქულიანები:** 14/41 (34,1%) - 22/42 (52,4%)
**სამქულიანები:** 9/35 (25,7%) - 4/25 (16%)
**საჯარიმოები:** 31/44 (70,5%) - 27/43 (62,8%)
**მოხსნები:** 52-52. **პასები:** 16-16. **შეცდომები:** 14-15.

**გადამწყვეტი მომენტი:** ორი დღის განმავლობაში, წინა ევრობასკეტის ბრინჯაოს პრიზიორმა ორ სკანდინავიურ გუნდთან წააგო. მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე წუთითა და 27 წამით ადრე, **ჯერალდ ლიმ** რუსების სამქულიანს ჩატენვით უპასუხა და ფინეთს ბოლომდე აღარ დაუთმია ლიდერობა.

**მატჩის გმირი:** ძირითად დროში ფინეთი ვეტერანმა **ჰანო მოტოლამ** გადაარჩინა, რომელმაც 3 წამით ადრე ორი საჯარიმო გამოიყენა. მანვე მეორე ოვერტაიმში მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ფინეთმა სამქულიანების მხოლოდ 16 პროცენტი გამოაყენებინა მეტოქეს და შეტევაში 19 მოხსნა მიითვალა. სკანდინავიელებმა მოიგეს მატჩი თამაშიდან 34 პროცენტი სიზუსტის მიუხედავად.

**საბერძნეთი 72**
16:16, 22:20, 18:27, 16:18
**იტალია 81**

ს: ზისისი (16+4 პასი), პერპეროგლუ (12), პაპანიკოლაუ (11), ბურუსისი (11).
ი: ბელინელი (23+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), დატომე (19), ჯენტილე (16).
**ორქულიანები:** 19/34 (55,9%) - 22/38 (57,9%)
**სამქულიანები:** 7/20 (35%) - 8/19 (42,1%)
**საჯარიმოები:** 13/17 (76,5%) - 13/17 (76,5%)
**მოხსნები:** 33-24. **პასები:** 14-9. **შეცდომები:** 14-5.

**გადამწყვეტი მომენტი:** იტალიის ნაკრებმა ზედიზედ მეორედ დაუმარცხებელ გუნდს მოუგო და თავის ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. მესამე მეოთხედში საბერძნეთი სამი ქულით დაწინაურდა (45:42), როცა **ლუიჯი დატომემ** და **მარკო ბელინელიმ** სამი სამქულიანი ჩააგდეს და თავიანთი გუნდის 19:6 გაქცევას გაუკეთეს ორგანიზება.

**მატჩის გმირი:** მარკო ბელინელი 23 ქულით, შვიდი მოხსნით, სამი პასითა და სამი ჩაჭრით საუკეთესო იყო ორივე გუნდში.

**სტატისტიკა არ ტყუის:** იტალიამ ძალიან სუფთად ითამაშა და მხოლოდ ხუთი შეცდომა დაუშვა. ამან გადაწონა ბერძნების უპირატესობა მოხსნებში: 33:24.

**შვედეთი 74**
17:17, 18:23, 23:27, 16:20
**თურქეთი 87**

შ: ტეილორი (19), ჟერებკო (17), გრანტი (14+5 მოხსნა+4 პასი).
თ: არსლანი (22), ილიასოვა (21+5 მოხსნა), გიონლუმი (19+5 მოხსნა), პრელჯიჩი (11+10 პასი).
**ორქულიანები:** 24/38 (63,2%) - 24/38 (63,2%)
**სამქულიანები:** 5/19 (26,3%) - 9/20 (45%)
**საჯარიმოები:** 11/12 (91,7%) - 12/17 (70,6%)
**მოხსნები:** 27-26. **პასები:** 11-22. **შეცდომები:** 22-17.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 4 | 4 | 0 | 309-260 | 8 |
| 2. საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 315-264 | 7 |
| 3. ფინეთი | 4 | 3 | 1 | 272-260 | 7 |
| 4. თურქეთი | 4 | 1 | 3 | 278-309 | 5 |
| 5. შვედეთი | 4 | 1 | 3 | 266-309 | 5 |
| 6. რუსეთი | 4 | 0 | 4 | 285-323 | 4 |

**ბოლო ტური. 9 სექტემბერი.** საბერძნეთი-ფინეთი (16:30), იტალია-შვედეთი (19:45), თურქეთი-რუსეთი (23:00).

**გია თვალაბეიშვილი**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38);** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608